# წითელი სხივი



№ 11—12

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

გვერდი

1. ამხ. მ. ვ. ფრუნზე . . . . . . . . . . . . . . . . 1
2. მომავალ თაობას—ლექსი—ე. პოლუმორდვინოვისა . . . 2
3. პატარა გმირი—ს. ერ—ლისა . . . . . . . . . . 5
4. პიონერების სიმღერა—ლექსი ჯოკოსი . . . . . . . 10
5. „აკი"-ს ნიშანი—კ. ლ—ძისა . . . . . . . . . . 11
6. შრომას—ლექსი მ. ზენათელისა . . . . . . . . . 14
7. ტიონიტ— დიომიდე ანთაძისა . . . . . . . . . . 15
8. ბატონი და მოჯამაგირე—ო. თუმანიანისა, თარგმანი ლ. ქარაპეტიანისა . . . . . . . . . . . . . . . . 21
9. ბავშვებს—ლექსი ე. პოლუმორდვინოვისა . . . . . . 24
10. ბაჯუ—ჯ. მდივნისა . . . . . . . . . . . . . . 25
11. ტფილისი 1905 წელში—სეზმან ერთაწმინდელისა . . 29
12. ბავშვები იმპერიალისტური ომის შემდეგ—შ. რ—ისა . . 36
13. პიონერთა მუშაობის მორიგი ამოცანები . . . . . . . 38
14. შვილდოსანი ვილჰელმ ტელ—პიესა სამ მოქმედებად—კ-სი 41
15. გამოქვაბულთა დროის ადამიანები მე-20-ე საუკ. თარგმ. X-ისა 54
16. ზღაპრული ქვეყანა ატლანტიდა—თარგმანი X-ისა . . . 55
17. საჰაერო მამონტების ოჯახი . . . . . . . . . . . 56

ნ-63.




1925
ნოემბ.—დეკ.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალ. კომიტეტის ჟურნალი ბავშვებისათვის.

წელიწადი 2
№ 11—12

1085.



## ამხ. მიხეილ ვასილის ძე ფრუნზე.

ის ახლახან გარდაიცვალა, დაიბადა 1885 წ. ახლანდელ თურქესტანის რესპუბლიკის ჯეტისუის ოლქში, სამაზრო ქალაქ პიშპეკში, სადაც მისი მამა, იყო ჯარისკაცად—გარუსებული მოლდავანი, ხერსონიდან; დედაც გლეხის ქალი იყო, ვორონეჟიდან.

მიუხედავად სიღარიბისა, ის ათავებს გიმნაზიას და შედის პეტროგრადის (ახლა ლენინგრადი) პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში.

ის ადრევე დაობლდა და ოჯახს არჩენდა გაკვეთილების ძლევით.

რევოლიუციონურ მოძრაობას გიმნაზიაშივე ეცნობა და 1904 წლიდან აქტიური მონაწილეა ბოლშევიკურ ორგანიზაციებში.

იგი სხვადასხვა ქალაქებში მუშაობს, უმთავრესად ივანოვო-ვოზნესენსკში. მეფის მთავრობის მიერ ორჯერ სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი, რომელიც 6 წ. კატორღით შეეცვალა, რომელსაც ზედ მიემატა წინად გადაწყვეტილი 4 წ. კატორღაც. ის იყო დელეგატი ლონდონის მესამე სტოკჰოლმის და მეოთხე პარტიულ ყრილობაზე.

იგი იყო საუკეთესო ორგანიზატორის ნიჭით დაჯილდოებული მარქსისტი-ბოლშევიკი. ტერორისტი, მხედარი, სარდალი, მოდმიდი აჯანყებული სოლით, დაუღალავი ენერგიით ბარიკადებზე მებრძოლი, ფრონტებზე თავზარდამცემი მტერთა. მას სპეციალური, თეორიული სამხედრო ცოდნა არ მიუღია, მაგრამ დიდი პრაქტიკოსი იყო; მან თავისი უშუალო მონაწილეობით მიიღო ბრძოლებში სამხედრო ცოდნა.

ის ყველგან დადიოდა ყოფილი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეში, ყველგან რევოლიუციონურ დროშას აფრიალებდა, რის თვისაც სდევნიდა მეფის მთავრობა, მაგრამ ის სხვადასხვა გვარებით დადო-

(ჟ93-36ჯ-14(3)



63.

და. რედაქტორობდა ორ ბოლშევიკურ გაზეთს.

იმპერიალისტური ომის დროს ჯარში მუშაობდა დაავრცელებდა რევოლიუციონურ იდეებს, სამოქალაქო ომში ხომ საარაკო გმირად გადაიქცა: მან დაამარცხა კორნილოვი, კოლჩაკი, პეტლიურა, მახნო, ვრანგელი და სხვა მრავალი. ორჯერ დაიჭრა. ერთხელ კონტუზია მიიღო.

ორი წითელი დროშის ორდენით იყო დაჯილდოებული და საპატიო ხმლით. მან გამოიჩინა საუკეთესო მხედართმთავრის ნიჭი. იგი ერთსადაიმავე დროს რამდენიმე არმიის წინამძღოლი იყო და თანაც მრავალ საპასუხისმგებლო მოვალეობას ასრულებდა სამოქალაქო ორგანიზაციებში.

საბჭოთა მესამე ყრილობიდან სრ. რუს. აღმასკომის წევრად იყო. რუს. კომპარტიის ყრილობიდან სიკვდილამდე პარტიის ცეკას წევრად იყო.

1924 წ. 1 აპრილიდან ის არის საბჭ. კავშ. რევსამხსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, წითელი არმიის შტაბის უფროსი, სამხედრო აკადემიის უფროსი, უმაღლესი სამხედრო სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე.

1925 წ. 26 იანვარს დაინიშნა სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრად და საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ.

ამავე დროს იყო რუსეთის კომპარტიის ცეკას წევრი, უკრაინის კომპარტიის ცეკას წევრი და საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.

# მომავალ თაობას.

გადაირბინეს წარსულ დღეებმა
ეკალ-ნარებით დასერილ გზებზე,
მშრომელი ხალხის ერთგულმა ძმებმა
დაანთეს რწმენა მოგონებებზე...

იყო დროება უხმო-უსიტყვო,
როდესაც სუნთქვაც ტუჩზე შრებოდა,
მაგრამ წარსული გადაისეტყვა
და მზემ ბრწყინვალემ გადმოიხედა.

ყველა ტკივილი გულის განკურნა,
გაბანა ტანჯვა, ოფლად დაღვრილი,
დაჩაგრულ მოძმეთ შვება არგუნა
და გაუმართა ზურგი დახრილი.

ცამ გაიცინა გაზაფხულივით,
ცამ სილამაზით გამოანათა,
მისცა ქვეყანას ხსნა-სიხარული,
გულს მოევლინა ცვრად და ნამათა...

შრომის ქვეყანამ ბავშთა რიგები
ძლიერ დროშის ქვეშ აამღელვარა,
შეუხვატკბილა შვების მიზნები
მომავალ ბედის გამოსადარად...

აგერ, მოჰქრიან უცხო ფერებში
განათებული სახის შვენებით,
გრძნობას ჰფანტავენ ტკბილ სიმღერებში,
დაუღალავი თვალთა ჩვენებით.

ყვავილებივით წამოიზარდენ
და სიხარულით აავსეს ქუჩა,
ძველ სიბოროტეს ატანენ დარდებს,
ფიქრი სახეზე არავის უჩანს.

აქ ყველა გზები თქვენ შემოგცინის,
დაფნის ფოთლებით ამოვსებული,
მას გადაივლით, როგორც მზე დილით
აღწევს მწვერვალებს ამოგზნებული...

მაშინ მამათა დაღლილი მკერდი,
ტანჯვის დღებით გადასარული,
კვლავ განმტკიცდება სანეტარ ხვედრით,
ჩამოეცლება სევდა ფარული.

და მშობლიური ახმატკილებით
გულს ჩაგინერგავთ შრომის სიყვარულს,
რომ ხალხისათვის მუდამ მზად იყოთ,
ვიდრე ქვეყანას მოჰფენთ სიხარულს...

ე. პოლუმორდვინოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პატარა გმირი

(სურათები)

I.

სამოქალაქო ომი გამწვავდა...

ბრბოდ წოდებული აჯანყებული ხალხი მშიერი, მწყურვალი, შიშველი მოდიოდა ყიჟინით...

ისმოდა:

— აჯანყება!..

— შეიარაღდით!..

— სმენააა!..

თავისუფლება სამსხვერპლოზე ერეკებოდა ლამაზ ზვარაკებს...

სცემდა ბუკი.

ქალაქი სოფელს ეჯიბრება ხელიდან ხელში სვლას...

ველზე დადგა სისხლის ტბები.

II.

— სადაა მამა? — ეკითხება პატარა ბიჭი დედას, რა უკვე ერთი კვირა გადიოდა, რომ ის აღარ სჩანდა.

— მამა? - ჰმ...



— ჰო, მამა!

— ბარიკადებზე დაეცა, რომ მკერდით დაეცვა წითელი დროშა — მიუგო დედამ და თვალის ქუთუთოებზე გადმოეკიდა ამარგალიტებული ცრემლთ-ორი მძივი...

მას ბევრი რამ გაეგონა მამისგან წითელ დროშაზე... თავისუფლებაზე... და პატარა შუბლი ფიქრებმა დაუნისლა.

მაშ მოჰკლეს, არა? ეკითხება დედას.

— მოჰკლეს, შვილო, მოჰკლეს... უპასუხებს დედა.

— ვინა?

— თეთრებმა.

— მაშ, დედოჩემო, მომეცი ნება, წავიდე ბრძოლის ველზე, შევუერთდე წითლებს და შური ვიძიო.

— ო, გენაცვალოს დედაშენი, ჯერ პატარა ხარ; არ მიგიღებენ...

— როგორც პატარა მოხალისეს?

— არ ვიცი...

აღარაფერი უკითხავს დედისათვის.

უკვე ერთი კვირაა, რაც აღარა სჩანს...

ქალაქი თეთრების ხელშია...

ორი კვირაა, რაც თავის მრავალრიცხოვანებით წაართვეს წითლების მცირე რაზმს...

ქალაქში საალყო წესები სუფევს... სასტიკი დევნა.. ვაი მას, ვიზედაც კი ეჭვს მიიტანენ წითლების მომხრეობაში!

ტყვია.. სარჩობელა... კარ-მიდამოს გადაბუგვა... ცეცხლში დაწვა... მოსახლეობის მუდამ მათი ხმლის ქვეშ გაწვდილი კისერი... თავაშვებულება... უკანონობა... შეურაცყოფა... გალეშილი სახეები... დაცინვა...

გენერლების ხრინწიანი ყვირილი...

ოფიცრების მიერ თავის გამოსაჩენად ბავშთა აკუწვა...

ყაზახების დაუნდობი მზერა...

ძალად გამოყვანილი ჯარისკაცები...

სუნთქვაშეკრული ჰაერი, ტყვიის სიმძიმით...

ათეული დღეებით ქუჩებზე დაყრილ მოკლულთა მძოვრის სიმყრალე, რომელთა დამარხვის ნებაც არვის ეძლევა...

უძილო ღამეები, აფორიაქების მოლოდინში,..

ქალაქით გასვლის ნება არავისა აქვს ..

მშრომელი მოსახლეობა თუმცა მოიღალა ამდენი შიშიანობით, მუდამ სიკვდილის მოლოდინში, თუმცა ამდენმა ხოცვა-ჟლეტამ, ყუმბარების აფეთქებამ; ყალყზე ამდგარი ცხენების ჭიხვინმა მოღალა, საჭიროებს დასვენებას, მაგრამ მაინც ენატრება წითლების გამოჩენა, რომელნიც გაანთავისუფლეებენ ამ ჯალათების ყულფიდან, რომელნიც მოუტანენ მშვიდობას.

მათ შესცქერიან, მათ ელიან-..

ყველანი მზად არიან, ჩასდგენ მათ რიგებში, რომ ანანონ ამდენი თავხედობა თეთრგვარდიელებს.

— დედა, მშიან... ტიტინით ეუბნება პატარა გოგონა დედას.

დედას გული, ეწვის.

ბავში, რომელიც უკვე ერთი კვირაა, რაც თავის მოსიყვარულე ძმას ველარ ხედავს, ეკითხება:

დედა, სადაა პეტიკო?

მშობელს ცრემლები უსველებენ ლოყებს, ვერაფერს ეუბნება. მან დაჰკარგა საყვარელი ქმარი, ახლა აღარ იცის, თუ სად იმყოფება მისი ბიჭიკო...

— შვილებო, საყვარელო შვილებო...

ეს სიტყვები-ღა სწყდება მის აქვითინებულ გაცრეცილ ტუჩებს ..

III.

ღამე... ბნელა... ნელი სიო ჰქრის... ვარსკვლავნაჭიდ ცას შორით ნამგალა მთვარე ამოექარგა ..

წყნარ მინდორზე უთქმი დუდუნით ტოემართება მდინარე...

ზედ გადებული რკინისგზის ხიდი ჩამოკიდებულა...

ნაღმებჩაწყობილს, პატრუქის ბოლოს, თუ მოწინააღმდეგე გამოჩნდა, სწრაფ ასწევს ჰაერში...

აქეთა ყურზე გუშაგი სთვლემს თოფზე დაყრდნობით...

ცოტა მოშორებით, მოფარებით რამდენიმე ჯარისკაცია, რომელთა უფროსს იქვე სძინავს ფარაჯაზე... თოფები ჯოჯგონად შეუყენებიათ, პატარა ცეცხლი დაუნთიათ. . ლაპარაკობენ... და ლაზღანდარობენ... ჩუ-ჩულობენ...

— არა, ჩვენ რა გვაქვს მათთან საბრძოლველი? ისინი ხომ ჩვენთვის ზრუნავენ? ამბობს ერთი.

— სსუ, არ გაგვიგოს — აფრთხილებს მეორე, უფროსზე თვალის ნიშნებით.

ბალახებში კი დაოთხილი ფრთხილად მიცოცავს ვიღაც. მას უნდა გაღმა გასვლა, მაგრამ არ ძალუძს: როგორ გაეპაროს ყარაულებს?

რა ხიდს მიუახლოვდა, წამოიწია, თავი მაღლა აიღო, კურცღელივით სცქვიტა ყურები. კოცონის მკრთალ შუქზე გაარჩია ჯარისკაცთა დაღლილი სახეები .. — ხიდი დანაღმულია... თუ წითლები გამოჩნდენ, ნაბრძანებია ავაფეთქოთ — ესმის მას ჯარისკაცთა საუბარი...

— ჰმ... ჰფიქრობს ის. აქამდის თუ სცდილობდა გაღმა გასვლას, წითლების ბანაკში მხოლოდ მოხალისედ შესვლას, ახლა ამ ამბით შეიარაღებული მაინც მივა. პატარა პეტიკოს გული აჩქროლდა... მაგრამ, რა თოფებს შეხედა, იფიქრა:

— რა იქნება, რომ ერთი როგორმე ვიგდო ხელში?

გაუელვა ამ აზრმა, მაგრამ ჯარისკაცები ფხიზლობდენ, ძნელი იყო ამ სურვილის დაკმაყოფილება.

ახლოს მიცოცდა ხიდთან... როგორმე უნდა გავიდეს, მაგრამ ამ გუშაგს როგორ გაეპაროს? ყური დაუგდო, დაათვალიერა კარგად.

— აა! — ალმოხდა სიხარულით, რა გუშაგი თავჩაქინდრული შეამჩნია. მისი პატარა, გამოუცდელი გონება მოხერხებულ გეგმებს ადგენდა... როდესაც ეპარებოდა ცოცვით, ხელი ქვას მოხვდა. ამ ქვას თავში დავცხებ, დარეტიანდება, და მე კი მოვკურცხლავ მ ორე ნაპირისკენ — სწყვეტს ის.

გუშაგი შეინძრა ფაჩუნზე...

პეტიკო გაიხაბა...

გუშაგმა რა მიათვალიერ-მოათვალიერა და საეჭვო ვერაფერი შეამჩნია, ცოტა სიფხიზლის შემდეგ კვლავ თვლემა შემოეპარა...

პეტიკოს კარგა ხანი მოუხდა ცდა, ვიდრე არ დარწმუნდა გუშაგის ხვრინვაში...

ავიდა, ის იყო უნდა ქვა დაეკრა თავში, რომელიც იმ საცოდავ გუშაგს ისე დაბლა ჩაეკიდა .. შესდგა: შეეცოდა... მას გაახსენდა მამის მიერ არაერთხელ თქმული სიტყვები, რომ ეს ხალხი თეთრების მიერ ძალად იყო გამოყვანილი, რომ ესენიც ისეთივე მშრომელნი იყვნენ, როგორც მისი მამა.

ქვა გადაუძახა ხევში, რომ ისე გადაპარულიყო. გუშაგი შეინძრა. მაშინ, მეტი გზა აღარ იყო, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ორივე ხელი ჰკრა...

მოულოდნელი თავდასხმით შეკრთალმა გუშაგმა თავი ველარ შეიკავა, დატორტმანდა და ზურგით გადაეშვა უკან, ფლატეზე, ღრიალით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომღაც თოფს ხელი უშვა, რომელიც პეტიკოს შერჩა...

მირბოდა ბავში. მიუხედავად თოფის სიმძიმისა, მაინც მიათრევდა თან...

გუშაგის დრიალზე ჯარისკაცები წამოცვივდენ და თოფებს დასტაცეს ხელი... მათი შეშინებული სახეები უფრო აირია... შეიქნა უთავბოლო სროლა... გუშაგი დაბლიდან ითხოვდა შველას...

— წითლები დაგვეცენ!—ყვიროდა ის, მაგრამ დამცემნი არსად სჩანდენ.

მათ შეამჩნიეს, რომ ვიღაცა მირბოდა სიბნელეში.

გამოუდგენ, მაგრამ გაქცეულმა გზას აუქცია, ყანებს შეერია და შეჩვეული ფოფხვით გასწია... მას ესმოდა სროლა და ჯარისკაცე'ის გინება.

IV.

— ამხანაგო უფროსო, ჩვენმა მძიებლებმა ვიღაცა პატარა ბიჭი მოიყვანეს,—მოახსენა მორიგემ რაზმის უფროსს განთიადისას, რა კარავში შემოვიდა, რომელიც შტაბის შენობის მაგიერობას ასრულებდა.



უფროსი, რომელიც კომისართან და სხვა რამდენიმე მეთაურთან ერთად მაგიდას შემოჯდომოდა, რუკაზე რაღაც ზოლებს ავლებდა; ეტყობოდა, შეტევის გეგმას ადგენდენ. მან თავი მაღლა აიღო და შეეკითხა:

— ჰა? ბავში? ვინაა?

— არ ვიცი.

— რა მინდაო?

— რაზმის უფროსი მაჩვენეთო.

— თეთრების ჯაშუში ხომ არაა?

— რა მოგახსენოთ.., მძიებელთა უფროსმა სთქვა, ჩვენი ბანაკისაკენ მობობღავდა და შევიპყარითო. თვითონაც აქაა და, თუ მიბრძანებთ...

— შემოიყვანეთ.

ორი წუთის შემდეგ შემოვიდა მძიებელთ უფროსი და თან პეტიკო შემოიყვანა მიწაში მოთხუპნული.

მძიებელთ უფროსმა მოახსენა ყველაფერი.

— და, აი, ეს თოფიც ჩამოვართვით, რომელსაც ძლივს მოათრევდა,—სიცილით დაუმატა მანვე.

კარავში მყოფებმა ახედ დახედეს ბავშს გამომკითხავი თვალებით.

— ვინა ხარ, ბიჭუნი, რა გინდა? ვინ გამოგზავნა?—შეეკითხა რაზმის უფროსი.

— მე? არავინ. თეთრების ტყვეობას გამოვექეცი—მიუგო ბავშმა ამაყად.

— ვისი ხარ? შეეკითხა ჯავშნოსანი მატარებლის უფროსი, რომელიც აქვე იღებდა მონაწილეობას თათბირში.

— ვისი და, ვისი უნდა ვიყო... მამაჩემი თეთრებმა მოჰკლეს ბარიკადზე, მე კი თქვენთან წამოვედი, რომ შური ვიძიო მათზე.

— ყოჩაღ!—წამოიძახა სამხედრო კომისარმა და თავზე ხელი გადაუსვა ალერსით. ბავშმა დაუსახელა თავისი გვარი და მამა, თუ რომელ ქარხანაში მუშაობდა. — აა, ჩვენი რაზმის უკანდახევას ის იცავდა რამდენიმე ამხანაგით—რა მოაგონდა კომისარს, გვარის გაგებაზე, მიმართა რაზმის უფროსს.

მოისვეს გვერდზე და დაუწყეს გამოკითხვა, თუ რა მდგომარეობაში იყო ქალაქი...

პეტიკომ უამბო ყველაფერი, რაც იცოდა, და თან დაუმატა:

— თქვენ მისვლას დღედღეზე ელიან..

— სახლში ვინა გყავს კიდევ?—შეეკითხა კომისარი მზრუნველობით.

— დედა და პაწია და,—უპასუხა და გული ამოუჯდა.—ისინი ტიტვლები არიან, მშივრები... თეთრები ყველაფერს ართმევენ მცხოვრებლებს..

დაუმატა მანვე.

— მერე და როგორ მოახერხე გადმოსვლა? შეეკითხა უფროსი.

პეტიკომ დაწვრილებით უამბო მთელი თავისი მოგზაურობა...

— თოფი ვილამ მოგცა?

— თოფი?—ბავშს გაეღიმა...

— ვინა და, ჩემმა გაბედულებამ, რკინისგზის ხიდის გუშაგის ფლატეზე გადაყირვებამ.—დაუმატა მანვე და დოინჯი შემოიყარა.

— მოჰკალი?

— არა... მამისაგან ხშირად გამიგონია, რომ

ისინიც მშრომელი ხალხის შვილებია, თეთრების მიერ ძალად გამოყვანილიო, და დამენანა. . რომელსაც ჩასთვლიმა, მხოლოდ ხელის კვრით დავკმაყოფილდი და მისი თოფი როგორ შემრჩა ხელში, აღარ მახსოვს...

ბავში, კიდევ რამოდენიმე საჭირო ამბის გამოკითხვის შემდეგ, მორიგეს ჩააბარეს...

მთელი რაზმის საყვარელი შეიქნა...

ხშირად ისეთს საშიშ დავალებებს ასრულებდა, განსაკუთრებით ძიებაში, რომ ყველა აღტაცებაში მოდიოდა.

პატარა გმირის სახელი გაითქვა...

V.

წითლების ძალა თანდათან იზრდებოდა თეთრებისაგან გადმოპარული ჯარისკაცებით, თავის ნებით შემოსული გლეხებით, ქალაქიდან ტყვეობას თავდახწეული მუშებით...

მზადდებოდა ქალაქის ისევ ხელში ჩაგდება...

განთიადმა რა ნისკარტი ჰკრა ღამის მისუსტებულ თვლემას, რაზმი აბანაკდა შეტევად...

წინ გაუშვეს ჯავშნოსანი მატარებელი...

— პეტიკო სადაა?—იკითხა კომისარმა, რა ბავში თავისთან ვერ დაინახა, როგორც ყოველთვის. დაუწყეს ძებნა, მაგრამ ვერსად ნახეს...

პეტიკო კი ამ დროს ერთ პატარა გორაკზე წამომჯდარიყო და ნაღვლიანად გასცქეროდა შორს, მდინარის გაღმა, თავის მშობელ პატარ. ქალაქს, რომელსაც აქამდის თეთრები ჰფლობდენს.

მისი გული მოუთმენლად ელოდა იქ შესვლასა რადგან იქ ეგულებოდა თავის საყვარელი დედა. პატარა დაიკო...

— ვინ იცის, იმ ჯალათებმა იქნება დახოცე, კიდეც—გაიფიქრა მან გულის ტკივილით.

— მაშინ მე ვაჩვენებ სეირს იმ არამზადებს—ამოხდა მას და მუშტი შეიქნია, თითქოს მტერს უკვე ხედავდა...

მას ცრემლები მოადგა დედის და დის უნახაობით დანაღვლიანებულს...

აგერ მეორე კვირა თავდება, რაც გამოიპარა სახლიდან და გული აღარ უთმენს; რათაც უნდა დაუჯდეს—უნდა ნახოს ისინი...

მან უკვე გეგმების შედგენაც დაიწყო, რომ, თუ ვინიცობაა წითლებმა დააგვიანეს შეტევა, შეიპაროს ქალაქში, ნახოს დედიკო, პატარა ლენა და ისევ ამოვიდეს რაზმში...

მისი დაფიქრებული გატაცება გაჰფანტა ჯავშნოსანი ორთქლმავალის ნელმა ქშენამ...

ფეხზე წამოიჭრა...

შეხედა თავიანთ ჯავშნოსანს, რომელსაც წითელი დროშა აბერტყდა კალთას, ქარის გადიზიანებით...

შორს მოსდევდა თავდადებულთა რაზმიც...

— აა, უკვე დაიწყო?—წამოიძახა და თითქოს რაღაცამ დაჰკრა თავში ამ სიხარულთან ერთად.

რა იყო?

— მატარებელმა ხომ ხიდზე უნდა გაიაროს? გაიფიქრა მან, და გაახსენდა გუშაგების საუბარი, რომელიც აქამდის, დავიწყების გამო, ვეღარ უთხრა რაზმის უფროსს...

— ხიდი დანაღმულია.. თუ წითლები გამოჩნდენ, ნაბრძანებია ავაფეთქოთ — დასწივლა კვლამ ამ სიტყვებმა და გაქანდა მატარებლისაკენ.

— შეჩერდით!—დაუძახა მან ორთქლმავლიდან თავგამოყოფილ მემანქანეს

— რა არის, პეტიკო?—შეეკითხა ის და სვლას უკლო.

— რა მოხდა? იკითხა ჯავშნოსნის უფროსმა, რა ბავშის შეშფოთებული სახე შენიშნა.

— ხიდი დანაღმულია, ააფეთქებენ - მიუგო პეტიკომ და უამბო მაშინ გაგებული სიტყვები, როდესაც ხიდზე გადაიპარა. შტაბი სწრაფ შეიკრიბა; გეგმა შეიცვალა...

მძიებლების ცნობიდან ჩანდა, რომ თეთრებიც ემზადებოდენ შეტევაზე გადმოსვლას.

და, მართლაც, შტაბი რა ჯერ კიდევ ბჭობაში იყო, ქალაქის მხრიდან გამოჩნდა აეროპლანი, ეტყობა, დასაზვერად...

მოდარაჯეებმა სროლა აუტეხეს... გაბრუნდა... რაზმმა გეზი იცვალა... კავალერია შემოვლად წავიდა...

VI.

ჯერ მზეს კიდევ არ შეევარაყებია არემარე თავისი ოქროსფერი სხივებით, რომ ძიებად გასულმა ცხენოსანმა გუნდმა მოხერხებით მოხსნა მტრის საგუშაგო ხიდზე და... გადასჭრა პატრული...

ასაფეთქებლად გაწვდილი ხელი ისევე დარჩა განგმირულ ჯარისკაცს...

— ბავში რა იქნა?—იკითხა ჯავშნოსნის უფროსმა, რა შეამჩნია, რომ ის აღარ იყო მატარებელზე.

— რა ვიცი, წელან კავალერისტებთან კი ტრიალებდა და...—მიუგო წითელრაზმელმა.

პეტიკო კი ძია ანდრეის გაჰყვა...

ასე ეძახოდენ კავალერისტების გუნდის უფროსს, რომელმაც მოხსნა საგუშაგო მცირე სროლის შემდეგ, და პეტიკოს მხოლოდ დიდი ხვეწნის შემდეგ დაეთანხმა, შემოსვა იგი თავის ცხენზე.

„შეუპოვარმა“ დროზე მოასწრო, ჯარისკაცის ასაფეთქებლად გაწვდილი ხელი დაედუნებია... ეს „შეუპოვარი“ მართლაც დიდ საქმეებს სჩადიოდა და ეს სახელიც მას მსოფლიო ომიდანვე ჰქონდა შერჩენილი თავისი შეუპოვარი გმირობისათვის...

ეს იყო ძია ანდრია, რომელსაც ასე ძალიან დაუმეგობრდა პეტიკო.

— რათ მოჰკალი, ძია, ის?—შეეკითხა პეტიკო გულუბრყვილოდ, ღანანებით.

„შეუპოვარს“ ჩაეცინა.

— მაშ შუბლში ხომ არ ვაკოცებდი; შეპყრობას ვერ მოვასწრებდით, რომ ის უკვე პატრუქს გამოჰკრავდა; მაშინ ხომ ხიდი ჩაინგრეოდა, ჩვენი გამარჯვება შეფერხდებოდა და შენც ველარ იძიებდი შურს მტრებზე, ველარ ნახავდი დედას, და—უთხრა ალერსით.

პეტიკოს ალარაფერი უთქვამს.

— ალბათ, ასე უნდა... ფიქრობდა ის.

შეშინებული ტყვეები პატიებას ითხოვდენ, რომელთაც ზურგში გზავნიდა ძია ანდრია.— ნუ გეშინიათ; თქვენც ხომ მშრომელი ხალხის შვილები ხართ? ჩვენები არ დაგხოცავენ—უთხრა პეტიკომ თანაგრძნობით და შეხედა ძიას, თითქოს სთხოვდა, რომ უბედურთათვის, როგორც ის ეძახდა, არაფერი ექნა.

— ხომ, ძია?

— ჰო, ჩემო ბიჭიკო. ჩვენ ტყვეებს არაფერს ვერჩით—მიუგო „შეუპოვარმა“ და ხელი თავზე გადაუსვა ალერსით. ყველაზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ბავშის გულკეთილობამ.

## VII.

განცხრომაში გართული მტერი, რომელიც წითლებს მასხრად იგდებდა, უდისციპლინო ბრბოს ეძახდა და მიუხედავად თავისი მზვერავების გაფრთხილებისა, რომ წითლები მალე შეუტევდენ, მაინც არ აჩქარებდა შეტევაზე გადასვლას—რა ქალაქის მიდამოებში შეიქნა ყიჟინა, სროლა, გრიალი, მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა და იწყო თადარიგი, ბრძანების გაცემა, მაგრამ გვიანლა იყო...

წინიდან ჯავშნოსანი ჰქუხდა, გვერდით ქვეითი რაზმი უტევდა, უკანით კავალერია დაეცა, შემოვლით, სადაც პეტიკოც იყო ძია ანდრიას უკან ჩაბღაუქებული... ცხენი ყალყზე დგებოდა, ჰიხვინებდა...

ქალაქი ცეცხლში გაეხვა...

დედამიწა ზანზარებდა ყუმბარების გრიალით...

წითელი დროშა დაფლეთილ კალთებს გამარჯვებით იბერტყდა...

ერთი გზა-ღა იყო დარჩენილი, რომელიც წითლებმა მცირერიცხოვანობის გამო ვერ გადასჭრეს და სწორედ აქეთ ეცა გადარჩენილი ნაწილი...

გაქცევა-ღა იყო ერთადერთი საშველი, მაგრამ...

— იცი, ძია, აი ისე გაუშვი ცხენი, დანარჩენებსაც მოვიმწყვდევთ—უთხრა პეტიკომ შეუპოვარს და აჩვენა მოკლე გზა, ვიწრო ქუჩით. შეუპოვარს“ ბევრი ალარ უფიქრია და დასჭყივლა თავის ცხენოსნებს... მიჰქრიან ყიჟინით...

პეტიკო, რომელსაც წინათ თოფის სროლის გაგონება შიშსა ჰგვრიდა ხოლმე, ამ ბოლო დროს ისე შეეჩვია, მუდამ მხედრობაში ყოფნით, განუწყვეტელი სროლის სმენით, რომ ტყვიების ზუზუნს ალარაფრად სთვლიდა... იგი ძიასთან ერთად მიჰქროდა მტრის დევნად...

აჰა, ქალაქის ბოლოს უყელეს კიდეც და. . „შეუპოვარი“ გადმოეშვა ცხენიდან, მოხეტიალე ტყვიით დაჭრილი... ცხენი მაინც მიჰქრის...

პეტიკო, რომელიც ძიას გადმოვარდნის შემდეგ შეშინებული უნაგირს მოებღაუჭა, წვდა ლვირში, მოსწია...

ჰკვიანმა ცხენი, რა იგრძნო უპატრონობა, ბავშის მიერ სუსტი მოწევა, შესდგა; მობრუნდა, შესჭიხვინა...

პეტიკო ჩამოცოცდა ცხენიდან და მივიდა ძიასთან, რომელიც მხართეძოზე იწვა და მკერდიდან გადმონადენ სისხლს ბამბით იწმენდდა, რომელსაც ის მუდამ ატარებდა ხმლის ვადაზე.

პეტიკო ძალიან შეწუხდა ძიას ამ ყოფაში ნახვით და მუხლზე დაეშვა, ხელი მოხვია, აცრემლდა...

— ძია, რაღა ვქნა ახლა?—უთხრა კანკალით.

მან შესცინა ალერსით, რა ბავშს შეწუხება შეატყო და უთხრა: ნუ გეშინია, ბიჭუნი; რა უშავს... მოვრჩები მალე... ეს პირველი ხომ არაა? მსოფლიო ომში თერთმეტი ჭრილობა მქონდა. იმ დროს, როდესაც მეფე თავისა და მდიდრების დასაცველად გვერეკებოდა იმ უაზრო სასაკლაოზე და ერთი, მეთორმეტე, რომ ხალხს ვანაცვალო თავი, განა დიდი საქმეა?!

მისი ვაჟკაცური სახე ამტკიცებდა მის თქმულს...

მან ცხენის ალვირს მოსწია, სცადა ადგომა, რომ შემჯდარიყო, მაგრამ ღონემ უმტყუნა, ისევ დაეცა ძირს...

გუნდი კი, რომელიც ისე გაერთო მტრის დევნით, რომ წინამძღოლის გადმოვარდნა მთლად მიავიწყდა, თავზარდამცემად აელვებდა ხმლებს მზის სხივებზე...

მტერი სროლით იგერიებდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII.

— წადი, ჩემო ბიჭიკო, თავს უშველე, თორემ ვაი თუ მტერი დაბრუნდეს და, ხომ იცი, რა დღეს დაგაყრის—უთხრა ანდრიამ მისუსტებული ხმით, რა შეატყო, რომ ბავში სწუხდა, არ შორდებოდა.

— მერე და შენ, ძია?—შეეკითხა ბავში მწუხარედ.

— მე? მე... მე მაინც ვკვდები და ველარაფერი მიშველის...

თავზე ხელი გადაუსვა...

— იყავი შეუპოვარი მებრძოლი და გიყვარდეს თავისუფლება ..—დაატანა მანვე.

ბავში აქვითინდა.

ის ხედავდა, რომ ძია კვდებოდა თავისუფლებისათვის, სისხლი სდიოდა...

პეტიკომ გაიხადა ხალათი და შეუხვია. მერე წამოსწია, რომ ცხენზე შეესვა, მაგრამ სუსტი აღმოჩნდა ამისთვის.—ძია, არაფრის გულისთვის არ დაგტოვებ აქ.—უთხრა მან მხედარს და იქვე, მახლობლად, დამწვარ სახლთან მიირბინა, ფიცრის ნამტვრევები, აგურები და დამწვარი ავეჯი მოზიდა ხელით, ერთმანეთზე შეაკოკოლავა, ცხენი მოუყენა ახლოს და შეუწგა მხარში ძიას. - აბა, ძია, წამოიწი. .



თუმცა გაუჭირდა, მაგრამ რა მხედარმაც უკანასკნელი ღონე მოიკრიფა, შესვა ცხენზე, შემოუჯდა უკან, როგორც ყოველთვის, და მიუშვა ცხენი ქალაქის შუაგულისკენ, საიდანაც ჯერ კიდევ ისმოდა კანტიკუნტი სროლა სახლებში ჩამალულ მტრის ნაშთებსა და წითლებს შორის.

წინად თუ თვით ებღაუჭებოდა ძიას, რათა თავი შეემაგრებია და არ გადმოვარდნილიყო, ახლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოიკრიბა, რომ დაჭრილი ძია არ გადმოვარდნილიყო...

ცხენი ნელი ნაბიჯით მიუშვა...

IX.

— შვილო, გენაცვალოს დედა!—შეჰკივლა წითლების გამარჯვებით და შვილის დაბრუნებით გახარებულმა ქალმა, რა პეტიკო მიადგა სახლს.

— გამარჯობა, დედავ! ლენა სადაა? შესძახა მხიარულად ბიჭმა, და თან იკითხა, რომელიც იქ ვერ შეამჩნია.—ის შენ საძებრად გამოიქცა, შვილო...ალბათ, მოვა მალე, ქუჩაში იქნება სადმე.

— აბა, დედაჩემო, ერთი მიშველე ჩამოყვანა.

— ვინაა, შვილო?

— ვინა და ვინც ჩვენი განთავისუფლებისათვის სასიკვდილოდ დაიჭრა—მიუგო პეტიკომ, რა უკვე გადმოიყვანეს ცხენიდან...

— ჩემო ბიჭიკო, ჩემო პატარა გმირო— ეუბნებოდა ანდრია მისუსტებული ხმით.

— ჩემი საყვარელი ბავში.., დაატანა დედამ..

— მომეცი ფიცი, რომ, როცა გაიზრდები, კაი კაცი დადგები, შეუპოვარი მებრძოლი და, თუ საჭირო შეიქნება, შუბლშეუხრელად დაეცემი ხალხის სადარაჯოზე—უთხრა „შეუპოვარმა“ დარიგებით, რა უკვე დააწვინეს ოთახში. დედა დატრიალდა; ჭრილობა მობანეს მხედარს...

— პეტიკო სადაა? -იკითხა მხედარმა, მილეული თვალები შემოავლო ირგვლივ, რა იქ ვერ ნახა ბავში...

გონებას ჰკარგავდა თანდათან...

- პეტიკო? ახლავე მოვა—უთხრა ქალმა და ბალიში გაუსწორა.

პეტიკო კი მირბოდა ქუჩაში. .

X.

— ძია ანდრია დაჭრილია, საჭიროა შველა—შეჰყვირა მან ნაცნობ მხედრებს, რომელნიც გამარჯვებული სახეებით მიერეკებოდენ ტყვეებს.

— სადაა? -იკითხა ერთმა მათგანმა.

— ჩვენსა წევს—მიუგო ბავშმა.

— ჰმ... ჩვენ შევწუხდით, რა ის ველარ ვნახეთ.

ერთმა ტყვეები ამხანაგებს გაატანა და თვითონ ბავშს გაჰყვა.

— ახლავე ექიმს მოვიყვან— წარმოსთქვა მან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გონებამიხდილ ანდრიას შეხედა, და სწრაფ ცხენს შემოახტა, გაჰქუსლა...

პეტიკო არ შორდებოდა ძიას სასთუმალს...

დაღონებული შესცქეროდა დახუჭულ თვალებში...

— პეტკა! შეჰყვირა ლენამ, რა შემოვიდა სახლში და ძმას შეხედა... გახარებული გაქანდა და გადაეხვია...

— სსუ... შე პატარა ეშმაკო... უთხრა მან ღიმილით და თითი ტუჩზე მიიდო.

— რა არის? იკითხა გოგონამ.

— სსუ, სძინავს ძიას... მიუგო მან.

გოგონას აღარაფერი უკითხავს; ის იმითაც კმაყოფილი იყო, რომ ძამიკო ისევა ნახა.

— ვინაა, დედიკო?

— ისა, შვილო, პეტიკოს ძიაა.

— მაშ ჩემი ძიაც იქნება...

— ჰო, გენაცვალე, ჰო... ჩუმად...

სიჩუმე ჩამოვარდა ექიმის მოლოდინში.

XI.

— გათავდა. . წარმოსთქვა ექიმმა მწუხარედ, რა დაჭრილი გასინჯა.

— როგორ? მოკვდა? იკითხა ერთმა ამხანაგთაგანმა, რომელმაც ექიმი მოიყვანა.

— ტყვია ცუდ ალაგას აქვს მოხვედრილი და... საკვირველია, რომ აქამდის კიდევ მოუხწევია ცოცხალს—მიუგო ექიმმა.

პეტიკო ღრიალით დაეცა ძიას გვამს... ძლივსღა მოაშორეს ..

— მე ერთხელ კიდევ გაძლევ ფიცს, საყვარელო ძია, რომ ვადავუხდი შენს და მამაჩემის მომკვლელებს—წარმოსთქვა მან მარჯვენა ხელის მაღლა აწევით. ყველაზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ამ სიტყვებმა. ესევე სიტყვები განიმეორა ბავშმა, როცა მესამე დღეს ძმათა სასაფლაოზე მარხავდენ ოქტომბრის რევოლიუციის მსხვერპლებს, რომელნიც ამ ქალაქის აღების დროს დაიხოცენ, რომელთა შორის ძია ანდრიაც იყო. მუსიკა სამგლოვიარო მარშს უკრავდა...

ყველგან გამარჯვებული დროშები, დაფლეთილი კალთებით, ოდნავ დაიხარენ ძირს გმირთა კუბოებზე...

გაისმა საპატივცემულო სალუტი...

გვირგვინები აყვავილდა სისხლისფერი ლენტებით...

XII.

ქალაქი პურმარილით შეეგება გამარჯვებულთ..

— სალამი თქვენ, ოქტომბრის რევოლიუციის გმირებს!—ჰყიოდა იგი.

პეტიკოზე ლეგენდები შეიქმნა..

— ეს ოქტომბრის ყვავილია, ესაა მომავალი მომღერალი კომუნის—ღიმილით უპასუხა ტრიბუნიდან რაზმის კომისარმა მოზეიმე ხალხს მიტინგზე და პეტიკო ხელში აიყვანა.

გაისმა ტაში, ინტერნაციონალის ჰიმნი...

პეტიკოს დედა სიხარულის ცრემლებს აფრქვევს...

ის ქმრის თავდადებით და შვილის გმირობით თითით საჩვენებელი შეიქნა, ქალაქის მიერ ქონებით უზრუნველყოფილი...

რა რაზმმა წესიერება აღადგინა ქალაქში და დამკვიდრდა ხელისუფლება, კვლავ განემზადა სალაშქროდ...

— როგორ?! შენ კიდევ ჩვენთან მოდიხარ?!—იკითხა რაზმის უფროსმა, უკვე წასასვლელად განმზადებულებს პეტიკო რომ შემოუერთდა, ძიას ცხენზე.

— თქვენთან სიკვდილი, თქვენთან სიცოცხლე!—შეჰყვირა მან.

— ვაშაა!—იგრიალა რაზმმა.

-- გაუმარჯოს პატარა გმირს!—ბანი მისცა ხალხმა და ქუდები მაღლა შეათამაშა. რაზმის უფროსმა და კომისარმა შუაში ჩაიყენეს ის...

გაისმა საყვირი...

მუსიკამ დაჰკრა მარში.

და რაზმი დაიძრა...

შორს ჯერ კიდევ ისმოდა ომახიანი სიმღერა...

მზის სიცილზე მოსჩანდა ნელი ნიავით არხეული წითელი დროშის ელვარება...

ის საშემოდგომო ნისლით გამზადებულ დღეს სისხლისფრად სერავდა... გმირ ბავშზე კი თანდათან უფრო და უფრო შარავანდედით მოსილი ამბები ისმოდა...

ოქტომბრის ფრთებზე ისმოდა ნორჩი სიმღერა...

ს. ერ—ლი.

# პიონერების სიმღერა



(ძღვნად პიონერებს).

რწმენის დროშა გადავუშვით
მილიონი და მრავალი,
ჩვენ ოქტომბრის მზეში ვიშვით,
ჩვენ, ოქტომბრის მომავალი.

ჩვენს სიხარულს, ნეტარებას
ბუნებაც ხომ ადასტურებს,
აღარ მივცემთ ჩვენ მტრებს ნებას,
შეგვადარონ მაიმუნებს.

ჩვენ სიმარდეს და ჩვენ ხალისს
ქუჩის კიდეც ვეღარ წვდება,
შეძახილი მთა და ბარის
ჩვენს ძახილში იმალება.

გვიყვარს ქუჩა, მწყობრი რიგი,
ჟრიამული და სიმღერა,
დიდ ოქტომბრის გზა და ხიდი
წინ მიგვიძღვის ასე ყველა.

პიონერო! „მზად ვარ მუდამ!!“
ეს დევიზი სულ თან გვახლავს,
წინსვლას ვერვინ შეგვიზღუდავს,
რწმენას ვერვინ შეგვილახავს!

ბრძოლებში ხომ ვიჭედებით
მომავალის ურყევ რწმენით,
უფროს ძმების დევიზებით
წინ მივდივართ ასე ჩვენით.

ჩვენ მტრის საზღვრებს გადავლახავთ,
მთელ მსოფლიოს მოვედებით,
ჩვენ ბრძოლის მარშს შემოვძახებთ
გამარჯვების იმედებით.

ასე შევქმნით ახალ ყოფას,
ავამაღლებთ ჩაგრულ კერას,
მთელ მსოფლიოს გავაგონებთ
პიონერთა მწყობრ სიმღერას.

გვიყვარს ქუჩა, მწყობრი რიგი,
ჟრიამული და სიმღერა,
დიდ ოქტომბრის გზა და ხიდი
წინ მიგვიძღვის ასე ყველა!

ჯოკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტფილისის პიონერები.

# „აკი"-ს ნიშანი

### თავი 1-ლი

სად მოხდა ეს?

ჯიმ ბროდლეის შეეძლო დაეფიცა, რომ ღამით, როდესაც ის იდგა ბეკერ-სტრიტის დიდ სახლთან სადარაჯოზე, სრულიად არავინ არ დაუნახავს.

ამისდა მიუხედავად, დილით ნათელი იყო ჩადენილი დანაშაულობა: ადრე ამდგარმა პოლიციის უფროსმა იპოვა მთელი ფურცელი დაბეჭდილი ქაღალდისა, რომელი სრული აჯანყებისაკენ მომწოდებელი ლოზუნგებით იყო სავსე.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი.

იატაკზე მან უცაბედად დაადგა ფეხი რაღაცა წვეტიანს.

წამოიყვირა—და დაიხარა ასაღებად,

იატაკზე, წითელი ემალით მბრწყინავი, პატარა ნიშანი ეგდო.

სურათს ზევით, რომელიც ძილ-მღვიძარე პოლიციის უფროსმა ვერ გაარჩია, თვალებში მხოლოდ სამი უცნაური ასო „აკი" ეცა.

### თავი მე-2-ე.

იპოვეთ დამნაშავე!

აწკრიალდა ტელეფონის ზარები.

ნათელი იყო, რომ მხარეს რაღაც საშინელება უახლოვდებოდა.

პოლიციელებს დამნაშავის ძებნაში გონება ერეოდათ.

— ბოლშევიკები!—ღმუოდა პოლიციის უფროსი.

— დასწყევლოს ეშმაკმა! ცხვირის წინ მოგვიხდინეს რევოლიუცია.

ხმები თანდათან ძლიერდებოდა.

მუშათა რაიონის ქუჩის ერთ-ერთ კუთხეში იპოვეს წითელი დროშა.

პოლიციის უფროსი გაშმაგებით სვამდა წყალს და შუბლიდან ღვართქაფა ოფლს ხელსახოცით იწმენდდა.

ლონდონის ნისლოვან ქუჩებში მას უკვე წითელი დროშები ელანდებოდა.

### თავი მე-3-ე.

და ამ დროს..

განმარტოებულ მუშათა უბნის ნახევრად დანგრეულ ქოხში შეიკრიბა ახალგაზრდობა.

მუშავდებოდა დემონსტრაციის ჩატარების გეგმა, ლოზუნგები:

—ძირს—ომი!—

— ძირს ფაშიზმი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირიდან ახლად ჩამოსული კომკავშირელი დიდხანს ლაპარაკობდა, აჯერებდა ამხანაგებს:

— წინ, მეგობრებო! ლენინის არმიის რიგებში! არ არის მასზე უდიდესი სიხარული, როდესაც გრძნობ გულზე ნიშანს..—მსწრაფლ იტაცა გულზე ხელი და შეკრთა, გაფითრდა: ნიშანი არ იყო.

გავიდა გვერდზე და იგონებდა, თუ სად დაჰკარგა. ახსოვს, რაღაც შემთხვევით ვიღაცა მსუქანი კაცის ოთახში მოხვდა.

შემდეგ ძლივს-ძლივობით გადმოფორთხდა იქიდან, მარჯვეთ მოუარა პოლიციელს და... მისთვის ყოველივე ნათელი გახდა:

აი, სწორედ იქ დაჰკარგა მან ნიშანი.—

## თავი მე-4-ე.

უფროსის კაბინეტში შეიკრიბა კომისია

მოისმინეს:

უფროსის საწოლ ოთახში საიდუმლო ნიშნის ნახვის ამბავი.

დაადგინეს:

1. ეს ამბავი ზინოვიევის მოხერხულ საქმედ იქნეს აღიარებული.

2. მიღებულ იქნას ზომები ბოლშევიკური სენის აღმოსაფხვრელად.

3. სასწრაფოდ ახსნილ იქნას საიდუმლო ასოების მნიშვნელობა.

პირველად გამოვიდა საიდუმლო აგენტი ჯონ ბული.

— ასო კ—ნიშნავს აუცილებლად—კომუნისტურს;—ი—ინტერნაციონალს.

პოლიციის უფროსი გაფითრდა და სავარძელს გადაეყრდნო,

—ასო ა..... შეჩერდა.

ჯაშუში ნეიტონი სკამზე შეტრიალდა.

— მე ავხსნი!

— როდის?

— მომეცით სამი დღის ვადა!

— მოდის!

— დარწმუნებული ხართ თქვენ, რომ ასო ი --ინტერნაციონალს ნიშნავს?

— რასაკვირველია!

— წადით!

პოლიციის უფროსი მძიმედ სუნთქავდა. ერთიმეორეზე დასტოვეს ჯაშუშებმა შენობა.

## თავი მე-5-ე.

მიშა ეძებს.

დამწვარივით გაქანდა მიშა ბეკერ სტრიტში, იმ სახლისკენ, სადაც გუშინ შემთხვევით მოხვდა.

მან იცის, რომ ნიშნის და ფურცლის ნახვა მთელ პოლიციას დააყენებს ფეხზე და დემონსტრაციის გატარებას ხელს შეუშლის.

ამიტომ საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება.

ფრთხილად შეიპარა მისაღებ ოთახში.

ავიდა კიბეზე.

იცნო: აქ იყო ის გუშინ.

არავინ არის

გავიდა.

შეაღო კარები.

შევიდა;

კაბინეტი... დიდი მაგიდა.

დახედა მაგიდას.

აიღო რაღაც ქაღალდი და თვალებთან მიიტანა. გულთან თითქოს რაღაცამ დაჰკრა.

გაქვავდა.

— ყველამ იცის!

გაიცინა, როდესაც ზინოვიევის შესახებ წაიკითხა. მაგიდაზე ხელები ააფათურა.

კარებმა გაიჭრიალა.

მიშა შეკრთა.

გაისმა ხმა.

— რას აკეთებთ აქ თქვენ?

მსხვილი სამხედრო კაცი შემოგორდა კარებში და სტაცა მიშას ხელი.

## თავი მე-6-ე.

მიშამ ახსნა.

მიშა არ დაიბნა.

— მე თქვენთან ვარ!

— რაშია საქმე!

— მე გუშინ ნახული ნიშნის ახსნა შემიძლია.

— დაჯექით.

პოლიციის უფროსი სიხარულით ხელებს ისრესდა.

— სად არის ნიშანი?—იკითხა მიშამ.

უფროსმა გამოსწია უჯრა.

ამოიღო.

— ეს არის.

მიშამ თითები შემოხვია ნიშანს

წამოდგა. კარები ღია იყო.

— ა — ნიშნავს....

უფროსი სმენად გადაიქცა.

კისერი დაიგრძელა.

— აღმოსავლეთის...

— კ —ნიშნავს—კიცონს.

— როგორ? ნუთუ...

დანარჩენი, თუკი სხვა რამ უნდოდა ეთქვა, პოლიციის უფროსს უთუოდ იატაკზე, სასაცილო მდგომარეობაში, უნდა დაემთავრებია, რადგან მიშას მარჯვეთ მოქნეულმა ფეხმა ის მსწრაფლ ძირს გაშხვართა.

—ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი—მოესმა უფროსს მრისხანე ხმა, და როცა მის ღრიალზე აბაკუნდა ფეხები, მან ფანჯრიდან დაინახა, თუ როგორ მსწრაფლ მოუხვია ბიჭმა და მიიმალა.

მოისმა სროლა, ერთი, ორი...

მიშა კი ქარივით მიჰქროდა.

## თავი მე-7-ე

კრება.

ახალგაზრდები კიდევ არ დაშლილიყვენ. მიშა ხელის ქნევით შევარდა. ხელში „აკი"-ს, ნიშანი ბრწყინავდა.

— ხედავთ—აქ არის!

— აკი!

— გაუმარჯოს მას!

— დღეს უნდა შედუღდეს ჩვენი ძალა კაპიტალის წინაამდეგ!

იღვრებოდა მხნე სიტყვები.

კუთხეში ჯოხზე ამაგრებდენ დროშას.

იწყვანდიენ ლოზუნგებს.

მიშა ამბობდა:

— ამ დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ ქვეყნის ყოველ კუთხეში;

ფართოვდება კომუნიზმისათვის მებრძოლ ახალგაზრდათა რიგები.

გაუმარჯოს „აკი"-ს!

იგრიალა გუნდმა:

— აღსდეგ, კლულვითა დაღდასმულო, ქვეყანავ მშიერ მონების!

. . . . . . . . . . . . . . . . . .

ქუჩაში ჯაშუში ნეიტონი სიხარულით თრთოდა.

ფიქრობდა საჩუქარზე, როცა უფროსთან მიიჩქაროდა.

მესამე ასო ახსნილი იყო.

ის ნიშნავდა:

— ახალგაზრდათა.

## თავი მე-8-ე

ნეიტონი უფროსთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააკაკუნა.

— შემოდით!

შევარდა.

— არის!

— რა?

— ავხსენი!

უფროსმა ზიზღით შეხედა.

— გმადლობთ, უთქვენოდაც ვიცით! და წააკითხა:

— ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი. ნეიტონი შეინძრა.

— საიდან?

— ამ წუთში ზინოვიევი ხელიდან გაგვექცა!.. დანარჩენი დამალა.

ნეიტონს გონება ეკარგებოდა.

— მხარე მოწამლულია!

— რა ვქნათ?—ჩაიხრიალა ნეიტონმა. მთავრობას დეპეშით ვაცნობე ჯარების გამოგზავნის შესახებ.

— ხომ არ დაიგვიანებენ?

— არ ვიცი, შეიძლება.

ნეიტონი ფანჯარასთან მივიდა.

უცებ აკანკალდა.

— შეხედეთ, შეხედეთ!

უფროსი მიუახლოვდა.

ქუჩაში დროშები ფრიალებდა, მოდიოდა ხალხი.

პლაკატები.

სიმღერა.

უფროსი მოშორდა მაგიდას.

აწკრიალდა ტელეფონი.

— დაშალეთ!—რაზმები!—ჩქარა . . .

ტელეფონის მილიდან მოისმა.

— მესმის!

— არ დაზოგოთ ვაზნები!—ესროლეთ.

— მესმის!

უფროსი კმაყოფილების ნიშნად ხელებს ისრესდა. ქუჩის მეორე მხრიდან პოლიციელთა რაზმი მოჰქროდა შიშველი ხმლებით.

## თავი მე-9-ე

არ ზოგავენ.

მიჰქროდენ.

უბრძანეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაიშალეთ!

პასუხად: — გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!—სროლა.

უფროსი ხელებს ისრესდა.

— გაგისწორდებით, დალახვროს ეშმაკმა!

— კომუნარების გზით!

იდგენ მედგრად.

ეცილებოდენ, კვდებოდენ.

მაგრამ ძლიერი იყო სული. ძლიერდებოდა ამოძახილი:—გაუმარჯოს კომუნიზმს!

მიშა დაეცა.

აკის ნიშანი მოღუნა ტყვიამ...

თვალებში სიკვდილი აეტუზა. გათხელდა რიგები.

პოლიცია არ ზოგავდა ვაზნებს.

**თავი მე-10-ე.**

მაგრამ...

არა მარტო ინგლისში.

ყველგან ამ დღეს ასევე შფოთდებიან პოლიციელები და მსხვილი ბურჟუები, როცა უცქერიან რევოლიუციონურ ახალგაზრდათა რიგებს...

როცა ისმენენ მათ ლოზუნგებს...

რადგან ყოველი მათგანი გრძნობს, რომ მალე დადგება ის დრო, როცა ეს დღე მსოფლიო რევოლიუციის ქარიშხლად გადაიქროლებს ყველგან.

„აკი“ გაიმარჯვებს.

„აკი“ შესცვლის ძველ მებრძოლებს.

„აკი“ იმედია მსოფლიო პროლეტარიატის.

„აკი“ შიშია კაპიტალისა და მისი ლაქიების.

— ჩვენ გავიმარჯვებთ.

კ. ლ- ძე.

# შრომას

ო, შენს წიაღში
როს გადიშალა
ჩემი არსება,
როს დაეუფლა
შენს წმინდა ნაყოფს
სიცოცხლე ჩემი,
მაშინ ვიგრძენი
მე ნეტარება,
ქვეყნად რომ ჰყვავის,
მაშინ ვიხილე
მე განთიადის
სხივი ნაფრქვევი.

—

სხივი ნაფრქვევი
როს თავს დაესხა
მტარვალით მიდამოს,
სხივმა ნაფრქვევმა,
ო, როს ჩაფერფლა
კაეშნის ბუდე,
მაშინ გამოჩნდენ
მთების გადაღმა
მისი თანხლები,
მაშინ დაიმსხვრა,
ო, ბოროტების
ნამდვილი ზღუდე!

დღეს შენს წიაღის
წითელ გულიდან
გადმომდინარი
წყალი ანკარა,
ტრფობით აღსავსე
ქვეყანას ამკობს,
ქვეყნის შვილი კი,
ენერგით სავსე,
მკვეთრი მახვილით
შენს ზედაპირზე
დაჰქრის ქარივით
და სიმებს აწყობს.

—

ო, მთელ მსოფლიოს
დღეს მოეფინა
შენი სახელი,
ო, დღეს მტარვალებს
შიშის ზარსა სცემს
შენი ხსენება,
შრომავ სპეტაკო,
მტიცე ფუძეზე
შენ აღმოცენდი
და შენი სახე
მარადიულად
ქვეყნად იქნება!

მ. ზენათელი.

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა





ამბობდენ, რომ ტაონიტ 15 წლისა იყო ამბობდენ იმასაც, რომ ტაონიტ ძალიან ლამაზი და გულკეთილი იყო.

ყველაფერი ეს მართალია, და ვინც ამას ამბობდა, იგი სრულებით არა სცდებოდა.

დაღესტნელი ტაონიტ ცხოვრობდა შორს, კავკასიონის მთებს იქით, საინგილოს, საჩეჩნოს და კასპიის ზღვის შუა მდინარე ქურახ-ჩაიზე მდებარე აულში. სარწმუნოებით მაჰმადიანი იყო და თაყვანს სცემდა ალლაჰს, მის წინასწარმეტყველ მოჰამედს და დიად წიგნს „ყურანს".

ტაონიტის მოხუცი მამა პატეიბა ბულათი განთქმულ მოჯირითედ და მუშაკად ითვლებოდა, დედა კი—მოწინავე და გულკეთილ ადამიანად. მთელი აულის სიამაყე იყო ტაონიტი. გასაკვირველიც არ არის: მუდამ მომცინარე, შინაგანი მზით ნაშუქი კეკლუცი პირისახე, მარდი მიხვრა-მოხვრა უნებლიედ იზიდავდა და ალტაცებაში მოჰყავდა ადამიანი. მიუხედავად ამისა, არა ერთხელ უთქვამს დედას:

— თოხ-ტა, ტაონიტ! ამოდენა ქალიშვილი ხარ, სირცხვილია ამდენი ცელქობა! ჩვენი ადათით, შენ უკვე საქმრომ უნდა წაგიყვანოს და შენ კი... ეჰ, ტაონიტ, სირცხვილია! „საქმრო ქალიშვილი" თავს ჩაღუნავდა ხოლმე და ლოყებაწითლებული ყურს უგდებდა დედის შენიშვნას. მაგრამ ბევრჯერაც უქია დედას ტაონიტის მუშაობის უნარიანობა.

ტაონიტს აგრეთვე ძმა ჰყავდა, მხოლოდ ერთი წლით უმცროსი ძმა—გირეი, შავთვალა, ფიცხი და თავაზიანი ძმა გირეი.

ერთხელ წვიმიან საღამოს შემოვარდა მიწურ ქოხში გაწუწნული გირეი და უცნაურ ამბავს მოჰყვა:

— დედა! გიაურები და რუსები ესტუმრენ ჩვენს აულს. ქალები, კაცები—სულ მთლად გაწუწნულები. ოო... ძალიან ბევრნი არიან, ძალიან, ძალიან. მამამ ბინა უშოვნა. შემოგითვალა: ჩვენი წილი საჭმელი მოამზადეო. თვითონ, ალბათ, გვიან მობრძანდება. ტაონიტ! რომ იცოდე, რა მშვენიერი ყუთები და ტანსაცმელები აქვთ,—თვალები ზედ დაგრჩება. ყველანი ცხენებით მოვიდენ. არ წამომყვები, ტაონიტ?

დედამ თავისი ტაონიტ არ გაუშვა და ამიტომ იყო, რომ ტაონიტ ტიროდა. ტირილში ჩაეძინა და, ალბათ, კარგ სიზმარს ხედავდა: ის ტკბილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიმებოდა. და თეთრ მწყობრ კბილებს ტუჩებს შუა აჩენდა.

გათენდა. აულმა გამოიღვიძა. მინარეთიდან მოლა ლოცვით უხმობდა და მორწმუნე დაღესტნელები პირქვე დაემხენ. ასეთი საქციელი ტაონიტს ყოველთვის აკვირვებდა და შიშსაც ჰგვრიდა.

ლოცვა გათავდა, ხალხი აიშალა. უცებ ლობეზე გადმოხტა გირეი, მივიდა თავის დასთან და დესაც უცნაური ამბავი უთხრა:



— ალლაჰ, ტაონიტ! იმ ურუსებს ეშმაკიც ვერ გაუგებს, თუ რას სჩადიან. შენზე ცოტა დიდი ბიჭი დგას და ვარჯიშობს. მის წინ ვიღაცა კაცი სამფეხზე მოწყობილ კოლოფს უმიზნებს, ალბათ, მოსაკლავად, მაგრამ რამდენი ხანი გავიდა, ყუთი რაკრაკებს, ბიჭი არ კვდება და ის კი სულ რაღაცას ატრიალებს ხელით. აბა, წამოდი, ვნახოთ! მთელი აული იქ შეიყრის თავს. მაგრამ, რომ იცოდე, ტაონიტ, რა მშვენიერი ბრჭყვიალა კოლოფია! ჩქარა, ჩქარა, წავიდეთ.

და და ძმა გაექანენ იმ ადგილისკენ, სადაც ყველაფერი ეს ხდებოდა. გირეის სიტყვები გამართლდა, მხოლოდ ბიჭს ახლა ქალიც მიემატა. იქვე ახლო მოლა ელაპარაკებოდა ურუსს, რომელიც პაპიროსს სწევდა და მგონი ბრძანებებს აძლევდა პატარა ბიჭს. მოლა ურუსის სიტყვებს უთარგმნიდა თანამოძმეებს.

— ჰეჰეი! ვისი გოგოა ეს? — უცებ იკითხა ურუსმა და მიუთითა ტაონიტზე. ტაონიტმა რუსული იცოდა და ეს სიტყვები კარგა გაიგო.

— პატეიპ ბულათის, ბატონო, — უპასუხა მოლამ.

— სად არის პატეიპა? დაუძახეთ, — სთქვა ურუსმა.

პატეიპა იქვე გაჩნდა.

— რა ნებავს ურუსს?

— მე მინდა, აი, ამ ყუთით შენი ქალიშვილი გადავიღო კინოში. კინემატოგრაფი არ იცი?

— არა, ბატონო! გამიგონია.

— ფულს მოგცემ. ძალიან ლამაზი ქალი გყავს. ეკრანზე მინდა გადავიღო.

ურუსი მიუბრუნდა თავისიანებს:

— რა ძნელია ამათთან ლაპარაკი. აბა, კარგად დააცქერდით მაგ გოგოს, ხომ ლამაზია? მშვენიერია. ჰეი, გოგონი, მოდი აქ.

ტაონიტ ადგილიდან არ იძროდა. ,,რა უნდა ურუსს''? ჰფიქრობდა იგი. „კოლოფის დამიზნება? ჩემი მოკვლა? როგორ! გადამიღოს? დედა... დედა..." უნდოდა გაქცევა, მაგრამ ეს დიდი უზრდელობა იქნებოდა. უნდოდა ყვირილი, ტირილი, მაგრამ ადათი-კანონი ნებას არ აძლევდა.

მთელი აული მას შესცქეროდა. ტაონიტს არ უნდოდა შეერცხვინა აული. იგი ამაყად იდგა და გულისფანცქალით, გაშეშებული თვალებით შეჰყურებდა დედას, რომელიც თავაზიანად წელში მოხრილიყო და უცდიდა ქმრის სიტყვებს. ბოლოს პატეიპამ უპასუხა ურუსს:

— ტაონიტ ვერ მოვა თქვენთან. ჩვენი ადათი ნებას არ აძლევს, ქალი ვაჟს მიუახლოვდეს, თუ მისი საქმრო არ არის. ტაონიტს კი არ შეუძლია შენი ცოლი გახდეს, იმიტომ, რომ შენ ურუსი ხარ.

— რასაკვირველია, პატეიპ. მე არც მინდა, რომ ჩემი ცოლი გახდეს. მე მინდა მხოლოდ ცოტა ხნით ვათამაშო, ეკრანზე გადავიღო. ფულს კი მოგცემ. ჰა?

— არა, არ იქნება ურუს, —უპასუხა პატეიპამ, მიუბრუნდა თავის ხალხს და მათდა გასაგონად წამოიძახა: ტაონიტ კარგი გოგოა, იგი ოთხასი მანეთი ღირს, დიაღ, ოთხასი მანეთი.

„ალლაჰ“—გაისმა დაღესტნელებში. ტაონიტის შერთვა ცოლად ბევრს უნდოდა, მაგრამ ოთხასი მანეთი ძალიან დიდი ფული იყო. დიაღ, ოთხასი მანეთი ძალიან დიდი ფული იყო.



— ბატონო რეჟისორო, — მიმართა კაცმა, რომელიც კოლოფს უმიზნებდა, იმას, ვინც პატეიპას ელაპარაკებოდა. — ბატონო რეჟისორო! ძალიან კარგი სახე აქვს ამ გოგონას. ძალიან კარგად გამოვა ეკრანზე. ძალიან მოძრავი სახე აქვს, ალბათ...

— მოიცა, ვიფიქრო. წამოდი აქეთ.

ორი ურუსი ცოტა გვერდით იდგენ და, აი, რას ჩურჩულებდენ:

— შენ ვითომ მაჰმადიანი ხარ, გესმის?

— დიაღ, მაგრამ მე,..

— შენ შეირთავ, გესმის?

— დიაღ, მაგრამ მე...

— მოიცა. როცა გავცილდებით აულს, მე ავუხსნი იმ გოგოს, რაშია საქმე. ვიშვილებ, აღვზრდი და... მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. მე სრულებით ვერ მოვიფიქრებდი, რომ დაღესტანში აქამდის არსებობს ეს კანონი.

— ბატონო რეჟისორო, ეგ ვერაფერი საქმეა. მე ცოლი მყავს, მე დოკუმენტები არა მაქვს.

— არაფერია, არაფერი, ჩვენ ექსპედიციაში გვყავს ერთი მაჰმადიანი.

— ალი?!

— ჰო. გამოართვი მოწმობა. ოთხას მანეთს მე მოგცემ. შეირთავ იმ გოგოს, შემდეგ მოწმობას ალის დაუბრუნებ, ქალიშვილს მე ვიშვილებ. თანახმა ხარ?

— დიაღ.

დაღესტნელებში რაღაც ჩურჩული ისმოდა. ტაონიტ სულ ისევ ისე იდგა იმიტომ, რომ მამის უნებართვოდ მას არ შეეძლო წასულიყო, მაგრამ მისი პირისახე ისეთ ტანჯვას გამოხატავდა, რომ გირეიმ ველარ მოითმინა, ტუჩზე იკბინა და აკანკალდა.

— ჰეი, პატეიპა ბულათ, —სთქვა კაცმა, რომელიც კოლოფს უმიზნებდა. —მე ვყიდულობ შენ ქალიშვილს და ალლაჰი იყოს ჩვენი მფარველი.

ტაონიტ უღონოდ დაეშვა მიწაზე.

სირცხვილი პატეიპა ბულათს. სირცხვილი მას იმიტომ, რომ მის ქალიშვილს არ შეეძლო უფრო მედგრად, პროტესტით შეხვედროდა ამ მოვლენას.

დაღესტნელები წავიდ-წამოვიდენ, თუმცა გულში გულჩათხრობილ წუხილს ჰგრძნობდენ: ტაონიტ ხომ იმ კუთხის სიამაყე იყო.

---

მხოლოდ რამოდენიმე დღემ განვლო, რაც ტაონიტი ურუსმა შეირთო, მხოლოდ რამოდენიმე დღემ განვლო, რაც ტაონიტი გაშორდა აულს, მაგრამ მხოლოდ დღეს აუხსნა კინო-ექსპედიციის რეჟისორმა, თუ რატომ იყიდეს ტაონიტ.

— მაშ შენ უკვე იცი, თუ რატომ მინდა შენი წაყვანა. შენ უნდა იმუშაო კინოში. გადაიხდი იმ ვალს, რომელიც შენ ყიდვაში მივეცი მამაშენს და იქნები ისეთივე თავისუფალი მოქალაქე, როგორც მე, ჩემი ცოლი და სხვა. შენ ბევრ ახალ რამეს გაიგებ, შეითვისებ. ახალგაზრდა ხარ, დრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინა გაქვს, ბი, ნახე და ერთი თვის შემდეგ მიპასუხე. ისე კი, როცა გინდა, ესტუმრე ხოლმე თქვენებს. შენ ძმას რა ჰქვიან?

— გირეი, ბატონო, — უპასუხა ტაონიტმა.

მან უკვე გაიგო, რომ ის ისევ თავისუფალია; მან უკვე გაიგო, რომ მას ისევ ისე შეუძლია მხიარულობა, თამაშობა. იგი უკვე ჩაუჯდა სავნებს და განსაცვიფრებელი სისწრაფით ითვისებდა. მას ატელიეში ყველა სიყვარულით ეპყრობოდა. ხშირად კინოაპარატი იღებდა მას და შემდეგ თავისთავს კინემატოგრაფში ხედავდა ხოლმე. ხანდახან იგი დედმამას ესტუმრებოდა. გირეი ხშირ-ხშირად ჩამოდიოდა მასთან.



გაიარა დრომ. ტაონიტ ქალაქში დარჩა, მაგრამ ჯერ მთავარ როლში არ ეთამაშნა, რადგან რეჟისორი ამბობდა, ჯერ ადრეაო.

რამდენ უცნაურობას გაეცნო ტაონიტ: ავტომობილებს, ტრამვაის, აეროპლანებს, გემებს!

ყველაფერი ანცვიფრებდა მას, მაგრამ ტაონიტ ყოველ ახალ მოვლენას თავშეკავებულად ხვდებოდა.

მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი აპარატის წინ იდგა, მისი თავშეკავებულობა სადაც ჰქრებოდა და ტაონიტ სწორედ იმას ჰგრძნობდა და სახის გამომეტყველებას ისე სცვლიდა, როგორც მას რეჟისორი უბრძანებდა ხოლმე.

ყველა, ვინც კი იცნობდა, ყველა მისი ამხანაგი იყო, მხიარული თანამგრძნობი ამხანაგი.

ერთხელ რეჟისორი შემოვიდა ტაონიტის ოთახში და უთხრა:

— ტაონიტ, ხვალიდან შენ მთავარ როლში ითამაშებ. ეს დიდი და ძნელი საქმეა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, შენ მას კარგად შეასრულებ, იმიტომ, რომ იმ როლებმა, რომელსაც შენ ასრულებდი, ბოლოდროს დამარწმუნეს, რომ შენ მომზადებული ხარ. მაშ ასე, ხვალ დილით ექვს საათზე ატელიეში. მზე ამოსული იქნება, რაც ძვირფასია აპარატისთვის. მაშ ასე. თანახმა ხარ?

— დიახ, ბატონო.

— დედ-მამისაგან რა ცნობებია?

— გმადლობთ, კარგად არიან. მოკითხვას გითვლიან. გირეის უნდა ჩამოსვლა.

— ოო, ძალიან კარგი. ჩამოვიდეს.

რეჟისორი გავიდა და დასტოვა მარტოდ ახალგაზრდა კინო-მსახიობი ტაონიტ ბულათი.

მეორე დილით, ექვს საათზე, კინო-ატელიეში დამდგარი დაღესტნური მიწურ-ქოხიდან გამოვიდა დაღესტნურად ჩაცმული ტაონიტი და გაეშურა აპარატისკენ, რომელიც მას იღებდა.

— ტაონიტ, გაიღიმე, სთქვა რეჟისორმა და ტაონიტმა გაიღიმა.

— მშვენიერია, მშვენიერი... — სიხარულით წამოიძახა რეჟისორმა. კიდევ ბევრი რამ ბრძანა მან. ყველაფერი მომხიბვლელად იყო შესრულებული ტაონიტის მიერ.

გავიდა კიდევ დრო და რეჟისორმა ბრძანა, რომ ყველა მსახიობები, ვინც კი ამ სურათში იღებდენ მონაწილეობას, მომზადებულიყვნენ დაღესტანში წასასვლელად.

დაღესტანში მათ საუცხოო ამინდები დახვდათ და მათ ამ დღეებით მშვენივრად ისარგებლეს.

ერთ მაღალ მთაზე იყო ძალიან ვიწრო, ვიწრო ბილიკი. ბილიკის ერთ მხარეს ამართული იყო სალი კლდე, რომელსაც ბილიკი ჩამოუდიოდა, მეორე მხარეს კი უფსკრული იყო. პირდაპირ ამ ბილიკზე უნდა გაევლო ცხენზე შემჯდარ ტაონიტს.

მშვენივრად კამკაშებდა მზე. მთელი ექსპედიცია ტაონიტს უყურებდა. ბილიკის ბოლოს იდგა ოპერატორი აპარატით და ელოდა რეჟისორის ნიშანს. მსახიობები გულისფანცქალით მოელოდენ საშიშ სცენას. რეჟისორმა ხელი დააქნია, ტაონიტმა ცხენს ოდნავ შემოჰკრა დეზი და აპარატის ხელიც დატრიალდა. ცხენი დიდი სიფრთხილით მიდიოდა ვიწრო ბილიკზე. ყოველი მისი ფეხის გადადგმა საშიში იყო, მაგრამ კლდეზე სიარულს შეჩვეული ცხენი ფრთხილად მიაბიჯებდა და ოდნავ არხევდა გაფითრებული სახით მჯდარ ტაონიტს, რომელსაც ამ წუთს მხოლოდ მიზნის მიხწევა სწადდა. იგი თითქოს ახლოსა იყო. სულ რამოდენიმე ადლი, მაგრამ...

ცხენს უკანა მარცხენა ფეხი დაუსხლტდა, შე-

შინდა, ინსტინქტურად წინ წაიწია, მაგრამ მარცხენა უკანა ფეხმა ისევ ვერ იპოვა ნიადაგი და ამ ფეხს მარცხენა წინა ფეხიც მოჰყვა.

— ჰაუ...—დასჭყივლა ტაონიტმა. ცხენი გადატრიალდა, ჩავარდა.. უნაგირიდან ამომხტარი ტაონიტი იდგა ბილიკზე და მთლად ცახცახებდა. მიიხედა, დაინახა რეჟისორი, რომელსაც პალტოში ჩაეყო თავი, და მსახიობები გაფითრებულნი, აცახცახებულნი, თითქოს ამ ტრიუკში დანაშაულობას ჰგრძნობდენ. ოპერატორი კი მაშინალურად ატრიალებდა აპარატის ხელს, თვალები სასაცილოდ გაჰფართოებოდა. ტაონიტმა საწყლად გაიცინა და დაიძახა:

— ჰაუ! ცოცხალი ვარ.

გაიარა რამდენიმე წუთმა. ყველა გამოერკვა, ყველა ალაპარაკდა: აქებდენ ტაონიტის სიმარდეს.

ტაონიტს გაახსენდა თავისიანები, აული, რომელსაც იგი გადაუდგა, თავისი ხალხის მარტივი ცხოვრება და ქალაქური ცხოვრების თავაშვებულობა. ახალგაზრდა მსახიობი იტანჯებოდა: მას უძნელდებოდა ძველის მოსპობა და ახლის შეგუება.

სულ პირველად მას ისიც კი უკვირდა, როცა ქალი და ვაჟი ხელს ართმევდენ ერთმანეთს, უკვირდა, რომ ქალები ვაჟების შემოსვლის დროს ფეხზე არ დგებოდენ და, როდესაც რეჟისორმა უთხრა, რომ მთელ ს. ს. რ. კ-ში, დაღესტნის გარდა, ქალების ცოლად გაყიდვა არსად არ არის, ტაონიტ განცვიფრდა. ყველაფერი ეს იყო პირველ ხანებში. ახლა კი ტაონიტ რაღაც ყოყმანს ჰგრძნობდა.

ყოველი მისი ქცევა განახევრებული იყო. ტაონიტ თვითონ ჰგრძნობდა, რომ ამ შემთხვევაში მას მარტო დრო თუ უშველიდა. არა ერთხელ უთქვამს აღტაცებით ტაონიტს:

— კიდევ რამდენი დრო მაქვს. უუ... რამდენი! მიუხედავად ამისა, იგი ჰგრძნობდა, რომ არ შეეძლო ეფიქრა ისე, როგორც ურუსი ქალები ფიქრობდენ და ძალიან დიდი შინაგანი ბრძოლა უნდა გადაეტანა თავის თავთან.

უკვე სამი თვე შესრულდა, რაც ტაონიტს გირეი არ ენახა და სახლიდან წერილი არ მოსვლოდა. სწუხდა ტაონიტ და გზავნიდა წერილს წერილზე, მაგრამ პასუხი არ ჩანდა. უნდოდა თავისიანებისაკენ გამგზავრება, მაგრამ მამისაგან ამის ნებართვა იყო საჭირო. რეჟისორიც არ უშვებდა, რადგანაც იგი მთავარ როლში თამაშობდა და მისი წასვლა ძალიან შეაფერხებდა მუშაობას. ყველაფერი ეს მას თითქოს თანდათან აშორებდა ნათესავებს.

როგორც იყო, სურათის გადაღება გაათავეს. მის გასაშინჯავად შეგროვდა კინო-თეატრში მოწვეული საზოგადოება. თეატრი გაჭედილი იყო, როცა ტაონიტი და რეჟისორი შევიდენ შიგ. ტაონიტს გააჟრიალა და აღელვების ნიშნები დაეტყო.

სურათი დაიწყო.



ხალხი გულმოდგინედ უყურებდა და აქა-იქ, კანტიკუნტად, ისმოდა განცვიფრებული ხმები. ტაონიტის უბრალო, მაგრამ მომაჯადოებელმა თამაშმა სულ მთლად მოხიბლა აუდიტორია და დაჰსწრეთა მისწრაფებანი და გრძნობები გააერთიანა.

მისი ლამაზი სახის ცვალებადობა ყოველთვის ამცნებდა მაყურებელს ყველაფერს იმას, რაც კი ეს თვითონ მას, ტაონიტს, სწადდა.

რეჟისორის მუშაობას გრიფიტცის მიბაძვა ეტყობოდა, მაგრამ იმდენი თავისებურობა იყო შიგ, რომ მაყურებელს სურათის ბოლო-ნაწილებში სრულიად ავიწყდებოდა ეს მოვლენა.

ტაონიტ ვერ უყურებდა ამ სურათს მხოლოდ იმიტომ, რომ სიხარულისაგან სტიროდა, სტიროდა სულ ჩუმად, რომ არავის შეემჩნია.

მას ესმოდა ხალხის აღტაცება, კინემატოგრაფის დამტესებელი ხალხის ტაში—და ყველაფერი ეს სჭიმავდა ტაონიტის ნერვებს, უჭრელებდა თვალებს.

უაღრესმა სიამოვნებამ დაისადგურა მის სულში. არ ახსოვს მას, როგორ გამოვიდენ კინოდან. არ

ახსოვს, თუ როგორ მიუახლოვდენ სახლს. რეჟისორმა კარები გააღო და კარებთან დაინახა გირეი. ტაონიტ გაიქცა ძმისკენ საკოცნელად, მაგრამ ძმამ უკოცნელად მოიშორა თავისი და და მიმართა რეჟისორს:

— ბოდიშს ვიხდი, ურუს, მე მინდა ველაპარაკო ჩემ დას. რეჟისორმა მიიპატიჟა სახლში გირეი, მაგრამ მან უარი სთქვა. როცა მარტო დარჩენ, გირეიმ სიყვარულით აკოცა დას.

— მამამ შემოგითვალა, ტაონიტ, რომ შენ დაბრუნდე შინ. მაშინ იქნება გაპატიოს დანაშაული. მთელ დაღესტანში ამბობენ, რომ შენ ქმართან აღარა ცხოვრობ და ჩვენ მოგვატყუე. დაღესტანში კიდევ იმას ამბობენ, რომ შენ დაჰკარგე სირცხვილი, ტაონიტ, გამოდიხარ რაღაც სურათებში, ჰკოცნი ვიღაცებს, ცხოვრობ ბებერთან და იგრიხები ისე, როგორც ის ბიჭი, მაშინ კოლოფთან რომ იგრიხებოდა. დედა ტირის, მამა მოღუშულია. ყველა ამბობს, რომ შენ ადათი დაარღვიე. ჩვენს აულში ჩვენ სახლთან არავინ დადის, სტუმრებს არ უშვებენ ჩვენთან. უწინ ჩავქოლავდენ ამისთვის; ახლა სხვა დროა, ტაონიტ, და მამამ შემოგითვალა, რომ შენ დაბრუნდე შინ. იქნებ მაშინ გაპატიოს.

ძმა ჩააცქერდა დას მოლოდინით. ტაონიტ დიდხანს სდუმდა და შემდეგ დასუსტებული ხმით უპასუხა:

— გირეი, მე ვერ წამოვალ შინ, მე აქ უნდა დავრჩე, გირეი! რომ იცოდე...

მაგრამ გირეი უცებ მიტრიალდა, ჩქარი ნაბიჯით გაეშურა და გაჰქრა.

ტაონიტ უცებ გაიმართა. მისმა სახემ ამაყი გამომეტყველება მიიღო, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ ატირდა, წაბარბაცდა...

ძალ-ღონე მოიკრიბა და მთვრალი ნაბიჯებით შევიდა „ახალ“, მაგრამ თავის სახლში.

დიომიდე ანთაძე



აფხაზეთი. პირველი საოლქო კურსი ბავშთა კომმოძრაობის მუშაკთა მოსამზადებლად.

# ბატონი და მოჯამაგირე

(ზღაპარი).

იყო და არა იყო რა, იყო ორი საწყალი ძმა.

იფიქრეს, იფიქრეს, თუ როგორ მოიქცენ, რომ ოჯახი შეინახონ.

ბოლოს გადასწყვიტეს, რომ უმცროსი შინ დარჩენილიყო, უფროსი კი წასულიყო და ერთს მდიდართან მოჯამაგირედ დამდგარიყო.

ასეც მოიქცნენ. წავიდა უფროსი და ერთ მდიდარს დაუდგა მოჯამაგირედ.

მან უცნაური პირობა დაუდო: უნდა მემსახურო გაზაფხულამდის, სანამ გუგულის ხმას არ გავიგონებთ. ამ ხნის განმავლობაში თუ მე გავჯავრდე, ათასი მანეთი ჯარიმა მოგცე, და თუ შენ გაჯავრდე, შენ მომეცი ათასი მანეთიო.

— მე რომ ათასი მანეთი არა მაქვს, საიდან მოგცეო? — უთხრა მოჯამაგირემ.



— არა უშავს რა, სამაგიეროდ ათ წელიწადს მემსახურეო.

ვაჟს შეეშინდა ამ საოცარი პირობისა, მაგრამ თანაც ფიქრობდა: რა უნდა მოხდეს? ბატონმა რაც უნდა ჰქნას, არ გავჯავრდები, პირობას თვითონვე დაარღვევს და მოგებული მე დავრჩებიო.

მოჯამაგირე დათანხმდა. პირობა შეჰკრეს.

მეორე დღეს ბატონმა ადრიანა გააღვიძა მოჯამაგირე და ყანის მოსამკელად გაგზავნა და უთხრა:

— წადი, ვიდრე სინათლეა, მკე; როდესაც დაბნელდეს, შინ დაბრუნდიო.

მოჯამაგირე წავიდა, მთელი დღე იმუშავა, საღამოზე დაღლილ-დაქანცული დაბრუნდა შინ.

ბატონმა ჰკითხა:

— რათ მოხველ!

— მზე ჩავიდა და მეც წამოველი.

— არა, მე შენ აკი გითხარი, ვიდრე სინათლე იყოს, უნდა იმუშაო მეთქი? მზე ჩავიდა, მაგრამ მთვარე ხომ ამოვიდა! განა მთვარე არ ანათებს...

— ეგ როგორ იქნება? გაუკვირდა მოჯამაგირეს.

— ჰა? შენ უკვე ჯავრობ?

— არა! არ ვჯავრობ... დაღლილი ვარ... ცოტას მოვისვენებ...

შეშინებული მოჯამაგირე ხელახლა წავიდა ყანის სამკელად, მთელ ღამე იმუშავა გარიჟრაჟზე მთვარე გაქრა, მაგრამ მზე ამოვიდა.

დასუსტებული მოჯამაგირე ყანაში დაეცა.

— ვაი! არამცი იყოს შენი ყანაც, შენი მოცემული ჯამაგირიც.

— ჰმ? შენ ჯავრობ? თავს წაადგა ამ დროს მდიდარი. რადგან ჯავრობ, ჩვენი პირობა უკვე დაირღვა. ახლა სხვა გზა აღარ გაქვს: ან ათასი მანეთი უნდა მომცე, ან ათ წელიწადს უნდა მემსახურო მუქთად.

მოჯამაგირე შეწუხდა. ბევრი ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა. ამისთანა კაცთან სამსახური წამე-

ბა იქნებაო, ათასი მანეთის თამასუქი მისცა და ხელცარიელი დაბრუნდა შინ.

II.

— ჰა! რა ჰქენ? ჰკითხა უმცროსმა ძმამ.

უფროსმა ძმამ უამბო თავისი თავგადასავალი.

— არა უშავს რა, უთხრა უმცროსმა ძმამ, ნუ ინაღვლებ. შენ შინ დარჩი. ახლა მე წავალ!

ადგა უმცროსი ძმა, წავიდა და მოჯამაგირედ დაუდგა იმ მდიდარს.

მდიდარმა იმავე პირობით მიიღო, როგორც უფროსი ძმა.

— არა! ეგ ცოტაა, უთხრა ვაჟმა: თუ შენ გაჯავრდე, მე ორი ათასი მანეთი მომე, თუ მე გავჯავრდე, შენ მიიღე ჩემგან ორი ათასი, გინდა და ოც წელიწადს უსასყიდლოდ გემსახურები.

მდიდარს გაეხარდა. პირობა შეჰკრეს.

დილა გათენდა, მოჯამაგირე ლოგინიდან არა დგება. ბატონი ხან გარეთ გადის, ხან სახლში შემოდის. მოჯამაგირეს ისევ სძინავს.

— ეი, ბიჭო! ადექ, შუადღე გადავიდა.

— ჰა! ხომ არა ჯავრობ? ეკითხება მოჯამაგირე და თან ლოგინიდან თავს ოდნავ სწევს.

— არა, არ ვჯავრობ, მხოლოდ გეუბნები: ყანაში უნდა წავიდეთ მოსამკელად.



— მაგის თქმა კი შეგიძლია, მაგრამ ჯერ ადრეა, რა გეჩქარება!?

მოსამსახურე, როგორც იყო, ადგა და ქალამნების ჩაცმა დაიწყო.

ბატონი ხან გარეთ გადის, ხან შემოვა, მოჯამაგირე კი ისევ ქალამნებს იცვამს.

— ბიჭო, დროით ჩაიცვი!..

— ჰა! ხომ არა ჯავრობ?

— არა! ვინა ჯავრობს? მე მხოლოდ მინდოდა მეთქვა, რომ ვგვიანდებით...

— ჰო! ეგ სხვა საქმეა, თორემ პირობა პირობაა.



სანამ მოჯამაგირე ქალამნებს ჩაიცვამდა და ყანაში წავიდოდენ, სადილობამაც მოაწია.

— ახლა მომკის დრო აღარ არის,—ეუბნება მოჯამაგირე; ხედავ, ყველანი სადილობენ; ჩვენც ვისადილოთ!

დასხდენ და ისადილეს. ჭამა რომ გაათავეს, ბატონს ეუბნება: „მუშა ხალხი ვართ, უნდა ცოტა დავიძინოთ, დავისვენოთ“. მიდო თავი ბალახებში და დაიძინა.

— ეი! ადექ! დაღამდა, სხვებმა მომკეს, ჩვენი ყანა დარჩა .. ვაი, შენს გამომგზავნელს კი მოსტყდეს კისერი! არაში იყოს შენზე ლუკმა პური!... ეს რა ცეცხლში ჩავვარდი? დაიწყო ყვირილი იმედგადაწყვეტილმა ბატონმა.

— ჰა? ხომ არა ჯავრობ?

— არა! ვინა ჯავრობს? მე ვამბობდი: დაღამებულა, შინ წასვლის დროა მეთქი.

— ჰო, ეგ სხვა საქმეა. წავიდეთ! როდესაც მივიდენ, შინ სტუმარი დახვდათ. ბატონმა მოჯამაგირე ცხვრის დასაკლავად გაგზავნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომელი დავკლა? ეკითხება მოჯამაგირე.
— რომელიც შეგხვდეს.

ცოტა ხნის შემდეგ ბატონს ამბავი მოუტანეს: მოეშველე, შენმა მოჯამაგირემ მთელი ფარა ამოჟლიტაო.

მდიდარი გაიქცა და რას ხედავს: რაც ცხვარი ჰყავდა, სულ დაეხოცა მოჯამაგირეს.

ბატონმა თავში შემოიკრა და დაიყვირა:

— ეს რა გიქნია, შე ულმერთო, შე ოჯახდაქცეულო? ჩემი ოჯახი რათ დააქციე?..

— შენ აკი მითხარი: რომელიც შეგხვდეს, დაკალიო, და დავხოცე. სხვა რა მიქნია? წყნარად უპასუხა მოჯამაგირემ.—მაგრამ შენ, მგონია, ჯავრობ?..

— არა, არა, არ ვჯავრობ, მხოლოდ მენანება, რომ ამდენი ცხვარი ამოგიჟლეტია.

— კარგი! რადგან არ ჯავრობ, კიდევ გემსახურები!

## III.

მდიდარი საგონებელში ჩავარდა: რა ჰქნას, რომ ეს მოჯამაგირე თავიდან მოიშოროს. პირობა აქვს შეკრული გაზაფხულამდის, გუგულის ხმის გაგონებამდის, ჯერ კი ზამთარიც არ გასულა.

იფიქრა, იფიქრა და ერთი საშუალება გამონახა: ცოლი ტყეში წაიყვანა, ერთ ხეზე შესვა და დაარიგა: „გუგუ“ დაიძახეო, თვათონ კი მოჯამაგირე წაიყვანა, ვითომ სანადიროდ, და იქ მიიყვანა, სადაც ცოლი ხეზე იჯდა.

ცოლმა დაიძახა: „გუგუ! გუგუ!“.

— ჰა, გესმის? გუგული იძახის, ვადა შესრულდა!..

მოჯამაგირე მიხვდა ბატონის ეშმაკობას.

— არა, ეუბნება მოჯამაგირე, ვის გაუგონია რომ ამ დროს, შუა ზამთარში, გუგულმა დაიძახოს? ეს რა გუგულია? უნდა მოიკლას—სთქვა და თოფი დაუმიზნა.

ბატონი ყვირილით გადაელობა:

— ვაი, არ გაისროლო, ღვთის გულისთვის... წყეულიმც იყოს ის დღე, როცა შენ შემხვდი.

— არც ახლა ჯავრობ? .

— ჰო, ძმაო, კმარა! მოდი, რა ჯარიმაც გერგება, მიიღე, ოღონდ თავი დამანებე.

მოჯამაგირემ ძმის თამასუქი დაახევინა, ზედმეტი ასი თუმანიც ჩამოართვა და შინ დაბრუნდა.

თარგ. ლ. კარაპეტიანისა.



# ბავშვებს



ახლა ჩემს გულში,
სიხარულის მთელი ზღვა არის
და გონებაშიც იმართება
უცხო ფიქრები...
მინდა,
ცხოვრების ვარდ-ყვავილებს
წავესაუბრო,
რომ სიყვარული და ხალისი
გულს ჩავუნერგო...
ჩემი ბავშობაც
სწორედ ისე მიმდინარეობდა,
ვით უდარდელი,
დაუთალხავ დღეთა წუთები,
და არაოდეს
გული სევდას არ ატარებდა,
დედის კალთაში
ვიყავ მუდამ ჩანახუტები...

მე ჩემს გარშემო
სულ ვხედავდი ალმზრდელ მიდამოს,
მთაწმინდის მთებით გამომცქირალს
ჩემთვის საყვარელს.

თამაში, ხტომა და სიცილქე
სულ თან დამდევდა
და დრო ნეტარი
წლიწადებს თან გავაყოლე...

მე რა ვიცოდი,
რომ ლუკმები გამხმარი პურის,
რომელსაც გრძნობით მაწოდებდა
საბრალო დედა,
იყო შრომაში
ტანჯვის ოფლით მონაპოვარი,
რაც საბოლოოდ
თვის სიკვდილით გამოისყიდა ..
მე არ შემეძლო ის გამეგო,
რომ მამაჩემი
თვის საყვარელს შვილს
აუტანელ ტანჯვითა მზრდიდა...

და იშვიათად დაქანცული,
სევდას ნაჩვევი,
ძვირფას ოჯახში დასასვენად
ღილებს იხსნიდა...

შევიგრძნე გვიან,
როცა მკერდში ცეცხლი
ამენთო
და გონებაში
ნათელ სხივმა შემოშუქა...
მივხვდი, რომ მტერი მშრო-
მელ ხალხის
მრავალი იყო,
რომ სილატაკე მდიდარ ხალხმა
ბედად გვაჩუქა...
მივხვდი და ახლა
ჩემს სიძულვილს საზღვარი
არ აქვს,
ტანჯული ხალხის სასყიდელი
ვერ მიპოვია,
მაგრამ ეს გული,
სიხალისე
და სიყვარული
მარადი ტრფობით
ამ ხალხისთვის დამილოცია ..

შრომის ბავშვებო!..
ანთებულნო მომავლის რწმენად,
ჩემი ფიქრები შეიწირეთ
ნდობის ნაკვესად,
იცოდეთ, რომ დღეს გადაშლილი
ცხოვრების დენა
დაუზარელი გატაცებით
თქვენს ხმას აჰყვება...
თქვენი მშობლები
თავისუფლად მზეს შესცქერიან.
სუნთქავენ შვებით
და დაჩაგვრა აღარ აწუხებსთ,
და თუ ოდესღაც
მათ მათრახი ზურგში სდევნიდა,
ის ერთგულ ბრძოლით
სამუდამოდ გაანადგურეს...
ახლა თქვენს სახეს
სიხარული უნდა ჰფარავდეს,
რადგან ყველა გზა
ბრძოლის შემდეგ საჩუქრად გერგოთ...
არ დაივიწყოთ,
ჩემი სიტყვა იმას გავალებსთ,
რომ მშრომელ ხალხის სიყვარული
გულს ჩაინერგოთ...

ე. პოლუმორდვინოვი.




(პატარა სვანის ცხოვრებიდან. ძღვნად ბ. რატიანს)

მკათათვის ოქროსფერი დღე იწვა.

მზე უკანასკნელად ლოკავდა კითხვის ნიშანივით შეკრულ-შემოკრულ პურის ყანებს. სვანეთის სოფლის ციცაბო ბილიკზე ქარავანივით მიეშურებოდენ შინისაკენ მუშაობით მოღლილი გლეხები.

სოფელს ღამის ჩრდილი გადაეფარა ბადესავით.

სოფელმა მიიძინა.

დადეშკელიანის კოშკის ნანგრევები ფრთამოტეხილი არწივივით დაყურებდა სოფელს და დავიწყებულ ზღაპარივით კარგავდა თვალმიუწვდენელ კლდეებში გადაწოლილ მთვარის ჩრდილს.

ქორის ბუდესავით კლდეზე მიშენებულ ქვრივ მარინე რატიანის ქოხში ციალებდა ჭრაქის სინათლე. პატარა ბაჯუ, ერთადერთი ნუგეში მარინესი, ბებერ მურიას ეთამაშებოდა. უცბად შეჩერდა, თითქოს რაღაც მოაგონდა, სახე მოაბრუნა და მიმართა დედას.

— დედა! ვინ არიან ის ხალხი, დღეს რომ მოვიდენ სოფელში?

— ისინი, შვილო, ქალაქიდან არიან.

მერე აქ რა უნდათ?

— რა და სვანეთი უნდა დახატონ.



— დედა, მითხარი, ქალაქი როგორია, ჰგავს თუ არა ჩვენს სოფელს?

— არა, შვილო, ქალაქი დიდია, იქ ბევრი სახლია, სადაც ცხოვრობს აურებელი ხალხი და სადაც ურმები უცხენოდ დარბიან.

„ქალაქი დიდი, ბევრი სახლები, ურმები უცხენოდ დარბიან“ — მოეჩვენა ზღაპარივით და ფართე, ჩვილი არწივის თვალების მსგავსი თვალები უფრო გაუფართოვდა და გაუბრწყინდა.

— დედა! მე რომ გავიზრდები, ხომ წამიყვან ქალაქში? მე მინდა ვნახო უცხენო ურმები.

ბაჯუ დედას ეტიტინებოდა და კითხავდა ქალაქის ამბებს. მარინეს მეტი კითხვებით თავი მოაბეზრა და ბოლოს მან დატუქსა:

— დაიძინე ახლა, შვილო, ხვალ ადრე ყანაში უნდა წავიდეთ.

ჭრაქი ჩააქრეს. მარინეს ჩაეძინა.

პატარა ბაჯუ ვერ ისვენებდა.

ბნელ ქოხში თვალწინ წარმოუდგა დიდი ქალაქი უზარმაზარი სახლებით, სხვადასხვა ხალხის მოძრაობა, ურმები, რომლებიც უცხენოდ დარბიან, და ათასი სხვა, რომელიც მას ზღაპრად გაეგონა.

ქოხი მოიკუმშა.

ქოხში ბაჯუ ველარ დაეტია.

საბანში ტრიალი დაიწყო და ტახტიდან გადმოვარდა.

მარინეს გამოეღვიძა, გამოფხიზლებული ბაჯუ ლოგინში ჩასვა; შუბლზე ხელი დაადო და გულში ჩიხუტა.

ბაჯუმ ჩაიძინა.

ესიზმრა: ისევ ქალაქი, უცხენო ურმები და მთელი ღამე სანატრელი სიზმრებით გაათენა.

ინათლა.

ბაჯუს გაეღვიძა და იყურება ქოხის ჭუჭრუტანიდან. უნდა, მალე გათენდეს, უნდა, ერთხელ

კიდევ ნახოს ის ხალხი, რომლებიც ისეთი უცნაური ქვეყნიდან არიან მოსული. დრო გაიზრდა, დრო გაგრძელდა და წამები მთელ საათებად ეჩვენება.

მზეს კიდევ არ ეთქვა სალამი სვანეთის თვალ-მიუწვდენელი კოშკების მწვერვალებისთვის, რომ ბაჯუმ ჩაიცვა შემოხეული პატარა ჩოხა, ნაზად ჩაიცვა ქალამნები და ჩამოიფხატა დედის მოთელილი, ფარფატინა, გაშლილი მატყლის ქუდი.

— დედა!

— რა გინდა, შვილო?

— მე დღეს ყანაში არ წამოვალ. გამიშვი იქ.

— სად?

— აი, იმ ხალხთან, გუშინ რომ მოვიდნენ. მინდა ვიყურო, თუ რას აკეთებენ; — მისი ცოცხალი სახე ეხვეწებოდა და ემუდარებოდა დედას.



მარინემ გაიცინა, პატარა შვილს გაუსწორა ჩოხაზე სპილენძის ღილები, აკოცა თვალის ქუთუთოებზე და ნება დართო. ბაჯუ სიხარულით რამოდენიმეჯერ შემოტრიალდა, თავზე ხელი წაჰკრა საყვარელ ბებერ მურიას და სირბილით დაეკიდა ბაწარივით დაკიდებულ ბილიკს.

— გენაცვალოს დედაშენი, — მიაძახა ეზოს გადასაბიჯთან მდგომმა თვალცრემლიანმა მარინემ.

— დედა, მშვიდობით... მშვიდობით, დედა. — იქნევდა ფარფატინა ქუდს და მოეფარა მაღალი ხევის დაღმართს.

მარინე შემოტრიალდა.

მარინეს ყურებში ზარასავით რეკდა ბაჯუს უკანასკნელი სიტყვები.

„დედა, მშვიდობით... მშვიდობით, დედა". გული აუჩვილდა, შებრუნდა ქოხში და ტირილით დაუწყო კოცნა ქმრის ნაქონ მოჭედილ [illegible].

---

დადეშკელიანების ძველ კოშკთან ხალხს თავი მოეყარა.

ქალაქიდან ჩამოსული ხალხი იღებდა კინო-სურათებს.

სურათების გადაღება გაგრძელდა საღამომდის. პატარა ბაჯუ მთელი დღე დაუსვენებლივ დასდევდა და მათ ყოველ მოძრაობას ათვალიერებდა ცნობისმოყვარეობით ერთმა ჩამოსულმა შეამჩნია პატარა ბაჯუს ცოცხალი და მოუღალავი სახე.

— ხოჩალადე, პატარა სვანის ბიჭო!

— გაგიმარჯოს, ბატონო, — მიუგო ბაჯუმ.

— მთელი დღე რომ დარბიხარ, არ დაიღალე?

— არა, ბატონო, მე მიყვარს ქალაქის ხალხი.

გოგის გაეცინა, შეხედა პატარა გამბედავ სვანის ბიჭს, საჭმელი მიაწოდა და ჰკითხა:

— წამოხვალ ჩემთან ქალაქში, რომ წაგიყვანო?

— კი, ბატონო.

— დედ-მამა გყავს?

— დედა კი, მამა არა.

— დედამ რომ არ გამოგიშვას.

— დედას შევეხვეწები და, თუ არ გამომიშვა, გამოვიპარები.

— არა, გაპარვა არ შეიძლება. მე ვეტყვი დედაშენს და ნებას დაგრთავს.

ბაჯუ სიხარულით გოგის წელზე შემოეხვია, მინდორზე შეთამაშდა და კისრით ყირამალა გადავიდა.

ცოცხალი სახით და სიცქვიტით ბაჯუმ მიიპყრო ყველას ყურადღება და მას მიუალერსეს.

ბაჯუს დაავიწყდა შინ წასვლა, დაავიწყდა, რომ დაღამდა.

მუშაობიდან დაბრუნებული მარინე შეშფოთდა.

„დედა, მშვიდობით... მშვიდობით, დედა" — არ ასვენებდა ეს სიტყვები მარინეს, გარეტიანებულმა გადარაზა ქოხის კარები და გადირბინა ციცაბო ბილიკი.

სადაც დადეშკელიანების კოშკის და ციხის ბოლო თავდებოდა, ქალაქიდან ჩამოსულ სტუმრებს კარვები გაეშალათ და საპატარძლო დაირასა-

ვით ახალამოწურულ მთვარეს ხვდებოდენ მხიარულებით და ცეკვა-თამაშით.

ბაჯუ სტუმრებს შეჩვეოდა.

ბაჯუ მათთან მხიარულობდა.

მარინე შორს შეჩერდა, თვალი მოჰკრა ბაჯუს, რომელიც ყველას ეთამაშებოდა და მასაც ყველა გულწრფელად ელერსებოდა.

სიხარულით გაშეშდა; შემდეგ გონს მოვიდა, ნაბიჯი გადადგა და დაუძახა.

ბაჯუმ დედის ხმა გაიგონა.

მოაგონდა დედა, მოაგონდა, რომ დაღამდა.

დედისკენ გაიქცა, მაგრამ მალე შემოტრიალდა, შემოეხვია გოგის ფეხებზე და დაუწყო ხვეწნა, რომ დედასთვის ეთქვა რამ.

გოგი წამოდგა, ბაჯუ სახელოზე ჩამოეკიდა და მიიყვანა დედასთან.

— გამარჯვება! თქვენ ბრძანდებით ბაჯუს დედა?

— დიახ, ბატონო,—მიუგო მარინემ.

— მე გახლავარ გოგი გუგუნავა. ბაჯუ ცოცხალი ბიჭია. ცოდვაა, რომ უსწავლელი დარჩეს. თუ თქვენი ნება იქნება, მე ვიშვილებ, გამოვზრდი და ნასწავლი შვილი გეყოლებათ.

მარინემ, ამ სიტყვების გაგონებაზე, არ იცოდა რა ეთქვა. ბევრი ყოყმანის შემდეგ სთხოვა, რომ რამოდენიმე დღით დაფიქრება ეცლია.

---

ქორის ბუდესავით კლდეზე მიშენებულ მარინეს ქოხის ეზოში გაშლილ სუფრას მოჯდომოდა ოცამდე სტუმარი.

მოხუცმა სვანმა, რომლის თეთრი თივთიკი, ვით წვერი ჩამავალი მზის სხივებს ეთამაშებოდა ასწია სავსე ჯიხვი და სამამაშვილოდ დალოცა, ძველი ჩვეულებისამებრ, გოგი და ბაჯუ.

ყველამ ერთბაშად ასწიეს ყანწები და ბაჯუ სასმისით ხელში მიჰგვარეს გოგის. მარინემ გოგის ბლუზის ღილები გაუხსნა და ტიტველ მკერდზე ბაჯუს სამჯერ აკოცნიეს.

— შენ მამა, მე შვილი... შენ მამა, მე შვილი.. შენ მამა, მე შვილი—გაამეორებიეს სამჯერ ბაჯუს და შვილობილმა და გოგიმ დასცალეს ერთი სასმისი ნახევარ-ნახევარ.

საზანდრის ღიღინს აჰყვა სვანური სიმღერები, ცეკვა-თამაში და მარინეს რამოდენიმე წლით დაყრუებულ ეზოში ქეიფი გაჩაღდა.

---

თვალცრემლიანი მარინე აცილებდა ქალაქისკენ მიმავალ ბაჯუს.

— დედა, მშვიდობით... მშვიდობით, დედა!

„დედა მშვიდობით, მშვიდობით, დედა!“—ზარივით რეკდა მარინეს ყურებში.

სვანეთის ულელტეხილი ცამდის ავარდნილ თვალმიუწვდენელ მთებით ისტუმრებდა ცხენოსან მგზავ-



რებს.

ბაჯუ ესალმება დაბადებიდან დედასავით შეზრდილ მთებს.

წყინს, მაგრამ არც წყინს, რადგან მიდის ქალაქში, ზღაპარ ქალაქში, სადაც ურმები უცხენოდ დადიან! აგონდება დატოვებული დედა, მაგრამ პატარა გულს იტაცებს ისევ ქალაქი, ზღაპარი-ქალაქი.

დაბა ცაგერში აღრიალდა ავტომობილი. ბაჯუ შეშფოთდა, ბაჯუს სიზმარი ეგონა, ბაჯუს მოაგონდა უცხენო ურმები.

ავტომობილის ჯერ შეეშინდა, უკან დაიხია, მერე მიუახლოვდა, ხელით შეეხო და როდესაც შიგ ჩასვეს, დარწმუნდა სრულებით, რომ უცხენო ურმების სიარული შესაძლებელი ყოფილა.

გოგი პატარა ბაჯუს უხსნიდა ყოველივეს და მამასავით ევლებოდა თავს. ქუთაისის სადგურში მატარებელს მისცეს მესამე ზარი. მატარებელი დაიძრა. ბაჯუ შეშფოთდა და ფართე, ჩვილი არ-

წივის თვალების მსგავსი თვალები შიშით აევსო და გოგის მაგრად ჩაჰკიდა ხელი.

— რომ გადაბრუნდეს ეს სახლი, მაშინ რას ვიზამთ?

გოგის გაეცინა და ბაჯუმ მის სახეზე უშიშროება ამოიკითხა.

ბაჯუ ტფილისს მამე შეეჩვია.



ერთხელ ოთახში ელექტრონის სანათურს ხელით ჩაქრობა დაუპირა და როდესაც მიზანს ვერ მიახწია, შუშას მუშტი დაარტყა. ოთახში მაყურებლები იცინოდენ. ბაჯუმ დაირცხვინა და იგრძნო, რომ ზღაპარ-ქალაქის საიდუმლოებას ჯერ კიდევ არ იცნობდა.

ბაჯუს შიშიანი თვალები მეორე სართულის ფანჯრიდან ხშირად აკვირდებოდა ქალაქის მოძრავ და ფართე ქუჩებს. ბაჯუს ტფილისი იტაცებდა მაგრამ ხშირად აგონდებოდა მშობელი მთები, სადაც გაიზარდა, სადაც პირველად გონს მოვიდა, სადაც მივარდნილი ბილიკები მისთვის ფართე ქუჩებზე უფრო სწორე და ჩქარი სავალი გზებია, სადაც ახსოვს ღელეებზე გოჯილებისა და სათამაშო წისქვილების აგება, სადაც ბევრი შაშვის ბუდე გადმოუსხამს, სადაც ჰყავს საყვარელი დედა, ბებერი მურია და ძმა-ბიჭები. აუჩვილდებოდა გული, მაგრამ გოგი, საყვარელი გოგი—მამის მაგიერი, ბაჯუს არ აატირებდა, ახალ სანახაობისკენ გაიტაცებდა და გაართობდა.

პატარა ბაჯუს გოგიმ მასწავლებელი აუჩინა და მან მალე წერა-კითხვაც შეისწავლა.

ბაჯუმ ახლა წერა-კითხვაც იცის, ბაჯუს აღარ დასჭირდება სხვისი ნაწერი დედასთან გასაგზავნად, თვითონ არის ნასწავლი, თვითონ დასწერს დედასთან გასაგზავნ წერილს, რომ არ დაივიწყოს საყვარელი შვილი მარინემ, რომელსაც ახსოვს ბაჯუს თბილი, ფუნთრუშა ხელები და ტუჩები, რომელსაც ახსოვს ფართე, ჩვილი არწივის თვალების მსგავსი თვალები... ბაჯუს უყვარდა და უყვარს დედა, ბებერი მურია და მშობელი სვანეთის ცაცაბო მთები, თვალმიუწვდენელი კოშკები.

— მამა, ბავშები რომ დადიან ბევრი ერთად, წითელი ნაჭრებით კისერზე და ხშირად შუბლზე ხელმოფარებული იძახიან: „მზად ვართ“, ისინი რას აკეთებენ, — შეეკითხა ბაჯუ ერთხელ გოგის.

— ისინი? პიონერები არიან, მუშების და გლეხების შვილები, რომლებიც ერთად თავშეყრილი სწავლობენ ძია ლენინის, მე რომ სურათი გაჩვენე და აგიხსენი, მის ანდერძს და, რომ გაიზრდებიან, მტრები იქნებიან ყოველივე უსამართლობის და ჩაგვრის.

პატარა ბაჯუს ჩვილი არწივის თვალების მსგავსი თვალები გაუბრწყინდა, ცნობისმოყვარეობით გოგის თვალებში შეხედა;

— მე არ მიმიღებენ, რომ მათთან ვისწავლო?

— მიგიღებენ, როგორ არა. მე შენ მათთან მიგიყვან, ისინი გულკეთილები არიან, უყვარსთ შენისთანა პატარა ამხანაგები.

— მერმე, წითელი ნაჭერი რომ არ მაქვს?

გოგიმ გაიღიმა და ჯიბიდან ამოიღო ფართე წითელი ცხვირსახოცი და კისერზე შემოახვია. ბაჯუ გასწორდა, მარჯვენა ხელი შუბლზე მიიფარა და ხმამაღლა დაიძახა:



— მზად ვარ!

პატარა ბაჯუ ერთი თვის შემდეგ ტფილისის ქუჩებში ბარაბანით წინ მოუძღოდა პიონერების კოლექტივს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტფილისი 1905 წელში

(მონაწილის დღიურიდან).

ა.

— მერე? მერე?— ეკითხებოდენ ბავშები მასწავლებელს, რა იგი 1905 წლის მონაწილის დღიურს ფურცლავდა მთაწმინდაზე, სადაც გასასეირნებლად აეყვანა მას მოწაფენი შემოდგომის ერთ თბილ დღეს...

— მერე და, აი, გეტყვით, ჩემო საყვარელო ბავშებო...

— გვიამბე, გვიამბე...

მასწავლებელმა დაიწყო დღიურის ფურცვლა...

„ეს იყო ათას ცხრაას მეხუთე წელს, ამ ოცი წლის წინად. მე თქვენ გიამბობთ როგორ იბრძოდენ მაშინ თავისუფლებისათვის, რომლითაც დღეს ვხარობთ...

მაშინდელი ბავშებიც ისე წვალობდენ და იტანჯებოდენ მონობაში, როგორც მათი მშობლები—მუშები და გლეხები. ბევრი მათგანი შემდევ კარგი რევოლიუციონერი დადგა, ბევრი დაიხოცა ყაზახების მიერ, ბევრი აწვალეს, ბევრი ქუჩებში დაეხეტებოდა მშიერ-მწყურვალი, ტიტველი, რადგანაც დედ-მამა დაუხოცეს“.

— მე დედა მეტყვის ხოლმე მაშინდელ ამბებს, ყაზახებს როგორ დაეწვათ ის სახლი, სადაც ახლა ვცხოვრობთ,— ჩაერია ვანო.

— მამაჩემი ამბობდა, მაშინ თურმე ძალიან ცუდი ცხოვრება ყოფილა! მთავრობა სასტიკად სდევნიდა ყველას, ვინც თავისუფლებაზე კრინტს დასძრავდაო...

— მოიცადეთ, მასწავლებელს მოვუსმინოთ, გააფრთხილა გოგიმ ამხანაგები.

— ჰო, ჰო, მე გეტყვით ყველაფერს, ჩემო პატარებო...

„საზოგადოდ, რევოლიუციები რუსეთის მაშინდელ იმპერიაში რამდენიმე ათეული წლებით სწარმოებდა. მეფის მთავრობის მიერ მშრომელი ხალხის წვალება დიდ უკმაყოფილებას ბადებდა როგორც ქალაქის მუშებში, ისე სოფლის გლეხობაში, მაგრამ იმ პატარ-პატარა აჯანყებებს მთავრობა სისხლში ახრჩობდა, აჯანყებულებს მონობის უღელს ადგამდა, მეამბოხეებს ციხეებში ამწყვდევდა, ციმბირში ასახლებდა, ბორკილებს ადებდა და კატორღაში გზავნიდა მადნების მაღაროებში სამუშაოდ. უმრავლესობა იხოცებოდა; უფრო მძიმე დამნაშავედ ცნობილებს ან იქვე ჰკლავდენ, ან სიკვდილს მიუსჯიდენ: ხვრეტდენ, სახრჩობელაზე ჩამოჰკიდებდენ. არავის ინდობდენ...

მუშებს ბევრს ამუშავებდენ ბურჟუები და მცირე ხელფასს აძლევდენ; გლეხებს სახნავ-სათესი მიწა ცოტა ჰქონდათ—ისინი მემამულეების მიწას ამუშავებდენ, მაგრამ მათი ნამუშევარი თითქმის სულ ან მემამულეს მიჰქონდა, ან მთავრობის გადასახადებში მიდიოდა. ყველგან იზრდებოდა უკმაყოფილება მაშინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ ვერ შეკავშირებულიყვნენ, რომ დაეკრათ მთავრობისთვის, ჩამოეგდოთ, აი, როგორც ამ რვა წლის წინად, 1917 წ. რევოლიუცია რომ მოხდა...

1905 წელში, რომელიც ითვლება რევოლიუ-

ციონური მეოცე საუკუნის დასაწყისად, მოძრაობა გაიზარდა, მუშებმა წითელი დროშები ააფრიალეს, გაიფიცენ; გლეხებმაც მუშებს მიჰბაძეს და ზოგიერთ სოფლებში ხომ მემამულეთა კარმიდამოს ცეცხლი წაუკიდეს, პატრონები გამოაძევეს...

ამ მოძრაობას ხელი შეუწყო იაპონიასთან ომში რუსეთის დამარცხებამ...

— შორსაა იაპონია? შეეკითხა პატარა მაყვალა და შესცინა მასწავლებელს.

— ო, ძალიან შორს, შორეულ აღმოსავლეთში; რამოდენიმე ლამაზი კუნძულია დიდ, ანუ წყნარ, ოკეანეზე. მე ხვალ გაჩვენებთ გეოგრაფიულ რუკაზე.. ჰო, აი, ამ პატარა იაპონიამ დაამარცხა 1904—5 წლებში დიდი რუსეთი და იფეთქა კიდეც რევოლიუციამ.

საერთოდ ყოველივე ომს რაიმე ცვლილება მოჰყვება ხოლმე სახელმწიფოში და მაშინაც ასე მოხდა.




გურიის სკოლის ცხოვრებიდან 1905 წ.

მთავრობა ხალხს ბრძოლის ველზე ერეკებოდა და მათ ოჯახებს კი აქ აწიოკებდა, და რა ომში წასული ჯარისკაცები დაბრუნდნენ შინ, ვინც გადარჩა იაპონელების ტყვიას, აჯანყებულ მუშებს და გლეხებს შეუერთდნენ...

— ყველგან აჯანყდა ხალხი, თუ მარტო რუსეთში?—არ ესვენებდა მაყვალა და ფუნჩულა ხელებით ეკიდებოდა კალთაზე.

— ყველგან, ყველგან, ჩემო მოუსვენარო ქა-გონავ, მაშინდელ რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა მხარეებში.

— საქართველოშიც?—იკითხა ქეთინომ.

— მოიცა, ნუ უშლი,—გააფრთხილა ვანომ.

ბავშები დიდ ინტერესს იჩენდენ წარსულის ამბების გაგებაში, დიდის ცნობისმოყვადეობით ისმენდენ მასწავლებლის საუბარს, რაიც იმას მეტ ხალისს ჰგვრიდა, და ისიც სიამოვნებით უხსნიდა..

ბ.

— საქართველო ყველაზე უფრო აღფრთოვანებით ჩაება რევოლიუციონურ მოძრაობაში; მისი ყოველი მხარე ცეცხლში გაეხვა; მეამბოხენი ისე გაძლიერდნენ, რომ ბევრგან მთავრობა უძლური იყო ბრძოლაში, მაგრამ მაინც ყოველ ღონეს ხმარობდა ერთობის ჩასახრჩობად,—ასე ეძახდენ მაშინ მოძრაობას. თავად-აზნაურობამ შეადგინა რაზმი გლეხების დასასჯელად,—გლეხები მას შავ რაზმს ეძახოდენ,—მათ საწინააღმდეგოდ გლეხებმაც შეადგინეს წითელი რაზმი და გაჩაღდა ბრძოლა.

ასე იყო ქართლში, ზემო იმერეთში და სხვაგან.

საქართველოში მოძრაობის გული იყო ჩვენი დედაქალაქი ტფილისი და მეც მინდა დღეს ამაზე შევჩერდე, ზოგიერთი რამ გიამბოთ, რაც აქ მოხდა მაშინ.

— ძალიან კარგი იქნება, მასწავლებელო, გთხოვთ.

— აბა, სმენა.

— ჰო, კარგი, დასხედით.

აჯრიამულდენ ბავშები, მასწავლებელს შემოუსხდენ გარშემო, სმენად გადაიქცენ.

მასწავლებელი ფურცლავდა ღღიურს, ტფილისის მიდამოებს აჩვენებდა, შორიდან ათვალიერებინებდა.

— აგერ, მარილიანი ტბა, ნაძალადევის თავზე, ხუდადოვისეული ტყე, აგერ, გორაზე, ძმათა სასაფლაო. იმ ტბასთან შეიკრიბენ პირველად, ფარულად, ტფილისის მუშები, ააფრიალეს წითელი დროშა, მოისმინეს რევოლიუციონური სიტყვები, იმღერეს მარსელიეზა, ინტერნაციონალი; ბევრჯერ გაურეკია იქიდან ყაზახებს ასეთი კრებები; აგერ, დიდუბე! ვინ იცის, რამდენი სახლი დაუნგრევია მაშინდელ მთავრობას იქ ზარბაზნებით, სადაც კი ეჭვს მიიტანდა, რომ მისი მოწინააღმდეგე ხალხი ცხოვრობდა; აი, საბურთალო, ლისის ტბა. აქაც

ისეთივე ამბავი ხდებოდა, როგორც მარილიან ტბაზე; აი, ვერის თავზე ვარაზის ხევი, სადაც მაშინ იწვრთვნებოდენ ამ უბნის „დრუჟინიკები“ სროლაში; აგერ ავლაბარი, სადაც ქაში იყო მოთავსებული ფარული სტამბა: იქ იბეჭდებოდა ხოლმე მთავრობის საწინააღმდეგო ფურცლები და ვრცელდებოდა ხალხში.—ეს იყო რევოლიუციის დამარცხების შემდეგ; მერე იპოვა ის მთავრობამ, დაიჭირა; აჰა, მეტეხის ციხე, სადაც ამწყვევდენ მაშინ რევოლიუციონერებს, ყრიდენ მათ ნესტიან დილეგებში, საკნებში, აწამებდენ ბორკილებში; აი, ბოტანიკური ბაღი, ისტორიულ ნარიყალას ციხის ნანგრევებს იქით, სადაც არაერთხელ ხდებოდა ფარული კრებები; აგერ, შორს, ორთაჭალის ციხე, სადაც სახრჩობელის ბოძები იყო მუდმივად აღმართული და სიკვდილმისჯილ მუშებს და გლეხებს გასანთლულ თოკზე ჩამოჰკიდებდენ ხოლმე ჯალათები; აი, ესეც მთაწმინდა, სადაც აგრეთვე ხშირად ხდებოდა ხოლმე ფარული კრებები და, მთავრობას რომ ეჭვი არ აეღო, ბურთის თამაშს გამართავდენ ხოლმე განგებ, ან ქეიფს და ასე...

უხსნიდა მასწავლებელი და დაწვრილებით უამბობდა, თუ ტფილისის რომელ უბანში რა მოხდა მაშინ, რა შედეგი გამოიღო, რითი დათავდა...

გ.

— ყოველ უბანში ხდებოდა ფარული კრებები, სადაც ხშირად დარაჯის მოვალეობას ასრულებდენ მაშინდელი ბავშები, მუშის შვილები, რომ, თუ პოლიცია, ან ყაზახები გამოჩნდებოდენ, კრებისთვის ადრევე შეეტყობინებინათ, რომ კრება არ დაეჭირათ; უბნებში იყო წრეები, გაჩაღებული მუშაობა, შეიარაღებული რაზმები,—განაგრძობდა მასწავლებელი.

— მთავრობა უფრო მეტად ნაძალადევს ემტერებოდა, რომელიც უფრო მუშური უბანი იყო, სადაც მზადდებოდა მთავრობაზე შეტევა, სადაც იყო მოთავსებული რევოლიუციონური ბიურო.

ტფილისის ქუჩები მრავალი სისხლის ღვრის მოწმეა, მას ბევრი ვაება გადაუტანია, ბევრჯერ შეზანზარებულა რევოლიუციონერთა ყიჟინით, ყუმბარების გრიალით, მარსელიეზის სიმღერით...

1905 წელს წითელი დროშა პირველად 23



გურიის ცხოვრებიდან 1905 წ. —ნასაკირალზე შეტაკება.

იანვარს აეშვა მაშინდელ გოლოვინის და ახლანდელ რუსთველის გამზირზე იქ, სადაც ოპერის თეატრია.

კვირადღე იყო, მზიანი. ხალხი ბლომად სეირნობდა. მუშების მცირე ჯგუფმა აუშვა პატარა წითელი დროშა და მარსელიეზის სიმღერაში გაისმა:

— ძირს თვითმპყრობელობა!

— გაუმარჯოს თავისუფლებას!.. ისმოდა დემონსტრანტებში; მაშინ იყო რომ ორი ტომარა პროკლამაციები გაფანტეს.

რადგანაც მთავრობა შეჯგუფების უფლებას არ აძლევდა ხალხს, ამიტომ დემონსტრანტებიც დაფანტული იყვნენ.

ხალხმა არ იცოდა, თუ რაში იყო საქმე. შემდეგ, როდესაც გოროდოვოი გაქანა მედროშისაკენ, რომ წაერთმია მისთვის დროშა, ვიღაცას ხელში იელვა რევოლვერმა. დაიჭრა პოლიციელი და ამავე დროს გამოჩნდა ყაზახთა პატრული, მაგრამ შეშინდა, გაიქცა; გაბედული დემონსტრანტები კი მღეროდენ, მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებს ისროდენ...

ჯაშუშები ჩუმად ცარცით ჯვრებს უხატავდენ მონაწილეებს ზურგზე, რომელთაც შემდეგ პოლიცია აპატიმრებდა; ბევრი გაგზავნეს თავპირგასისხლიანებული ციხეში, ბევრმა კიდევ საპიორთა ქუჩით მტკვისკენ გაქცევით უშველა თავს, ზოგი ხალხში აერია, ყაზახები კი, ეს მუდმივი ჯალათები რევოლიუციის, ცხენებით სთელავენ მოსეირნე ხალხს, მათრახს ურტყავდენ, ერეკებოდენ, არვის ინდობდენ...

დ.

— ხშირად ხდება გაფიცვები; მუშები ეკონომიურ მოთხოვნებთან ერთად პოლიტიკურ მოთხოვნებსაც აყენებენ. ისინი ბატონებს ხშირად მუქარით ათმობინებენ, მაგრამ მთავრობა შველის ბატონებს, იჭერს გაფიცულებს; აწვალებს, უნდა გამოტეხა, თუ ვინაა მათი ხელმძღვანელი, სადაა და სხვა, მაგრამ მუშები გაცემას წამებას არჩევენ...

ხშირად მთელი ტფილისი იფიცება. დუქნებსაც კი აკეტინებენ მებრძოლნი მეპატრონებს.

პირველ მაისს, რომელიც მუშათა დღედ ითვლება, მთავრობამ ზომები მიიღო, რომ ქალაქში არ გამოსულიყვნენ მუშები, მაგრამ აქა-იქ მაინც ახერხებენ ამას, ქალაქის განაპირა მიდამოებში ეწყობა მიტინგები, მოემართებიან ქალაქისკენ მჭიდრო რიგებით, მაგრამ პოლიცია, ყაზახები კვლავ ესხმიან თავს, სცემენ, დასჭრიან, აპატიმრებენ!.. მუშები მაინც იბრძვიან.

ოღონდაც კი სადმე ააფრიალონ დროშა, ოღონდაც შეკრების უფლება მიეცესთ, რათა შეეძლოსთ რევოლიუციონური სულის ყვილი ააგუგუნონ... და მუშები ყოველ ხერხს მიმართავენ...

აგერ, ერთ ქუჩაზე მიასვენებენ მიცვალებულს. წინ მიუძღვის მღვდელი, ბავშებს მიაქვთ გვირგვინი, ყველა დაღვრემილი მისდევს კუბოს, რომელსაც ტირილით მიჰყვება ქალი; აჰა, შეჩერდენ მოედანზე, კუბო დაასვენეს; ხალხი თანდათან იკრიბება; ერთბაშად კუბოს ხუფი გადაიგდება და იქიდან წითელი დროშით წამოხტება ლურჯხალათა მუშა, აიყრება პროკლამაციები, მღვდელი ანაფორას იხდის, პარიკს მოიძრობს, მარსელიეზას იწყებს...

მაყურებელი ხალხი გაკვირებულია ამ ამბით..

კვლავ ყაზახები, შეტაკება, ცემა...

კუბოს რომ ქალი მისდევდა ტირილით, სახელოდან კეტს იძრობს და მასზე მათრახით გადმოწვდილ ყაზახთა ოფიცერს თავში დაჰკრავს, ცხენიდან გადმოაგდებს...

თმებით ათრევენ, მეტეხში ამწყვდევენ მას.

ე.

— გამოღვიძებული ტფილისის მუშები ამაყად მიიწევენ წინ. მათ არაფერი აშინებს, იბრძვიან...

29 აგვისტოს ქალაქის თვითმართველობაში დანიშნული იყო ხმოსნების კრება კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ. ეს ერობა ვითომდა დიდი მოწყალება იყო მთავრობის მხრით.

ამ საღამოს დიდძალი მუშა მოაწყდა ერევნის მოედანს, მაგრამ დარბაზის კარი არვინ გააღო, ქალაქის თავი არ გამოჩნდა.

მუშებმა ვეღარ მოითმინეს ეს მოტყუება, მათ იგრძნეს, რომ ყველას ეშინია მათი შეკავშირებული გამოსვლის... მათ სწყუროდათ თავისუფლება მათ უნდათ სთქვან თავისი სიტყვა — და შეამტვრიეს კარი, დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ ალყა შემოარტყეს ყაზახებმა შენობას, დიდძალი დახოცეს ქალებიც, ბავშებიც...

ამ ამბით ტფილისი უფრო გაღიზიანდა, შურისძიების ცეცხლი დაინთო მის გულში, მას არ შეეძლო თავის ასეულ შვილთა სისხლის დაღვრა ვისმესთვის ეპატიებია, და 25 სექტემბერს, ღამით ტფილისის ოთხ უბანში იგრიალა ყუმბარებმა ზედიზედ, რამდენიმემ ერთსადაიმავე დროს.

ეს იყო სასახლესთან, ორთაჭალაში, ვადავოზნი ქუჩაზე და სადგურთან — მოედანზე, სადაც იყო იმ ყაზახთა ყაზარმები, რომელთაც დახოცეს მუშები 29 აგვისტოს.

რამოდენიმე ყაზახი მოკვდა, ბევრი დაიჭრა.

მთავრობა და მუშა ხალხი დაუპირდაპირდენ ერთმანეთს.

ვ.

— რუსეთიდან აღმაფრთოვანებელი ამბები ისმის; რევოლიუციონური მოძრაობა ფართოვდება; ამავე დროს საქართველოს ყოველი კუთხიდან ტფილისს ესმის ერთობის ყიჟინა. მთელი გლეხობა აგრარულ მოძრაობაში ჩაება, ხმა აღამაღლა, თავისი უფლებები მოითხოვა; წითელი რაზმი მოქმედობს, შავრაზმელებს თავზარსა სცემს...

მთავრობა შეფიქრიანდა, რევოლიუციონური ტალღა დღე-დღეზე უქადოდა მის ტახტს წალეკვას, და დათმობაზე წავიდა ხალხის მიმართ: 17 ოქტომბერს გამოსცა მანიფესტი, რომლითაც ანიჭებდა თავისუფლებას კრების, პრესის და სხვა...

რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ ეს მთავრობის ოინი იყო, მან ამით დროებით შეაჩერა ხალხის რისხვა, თავისი ძალები დარაზმა, მოწინააღმდეგე სააშკარაოზე გამოიტყუა და შემდეგ დაჰკრა...

მანიფესტი ტფილისში მოვიდა 18 ოქტომბერს და ბორკილშემსუბუქებულმა ტფილისმა თავისუფლად ამოისუნთქა. ახლანდელ მუშათა სასახლის წინ გაიმართა მიტინგი, აეშვა წითელი დროშები, გაისმა რევოლიუციონური სიმღერები...

მიტინგი გაემართა მეფის მოადგილის სასახლისკენ, რომ განეცხადებია თავისუფლად მუშების გულისნადები, მრავალი ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნა წარედგინა, მაგრამ დიდების ტაძართან გადაეღობა ცხენოსან დრაგუნთა რაზმი და არ გაუშვა.

ხალხი პირველად ხედავს დრაგუნებს. მას ჯარისკაცების არ ეშინია, მას იგინი ისე არ სძულს, როგორც ყაზახები და, ალბათ, მთავრობამაც ამიტომ აღარ გამოუშვა ყაზახები: მას არ სურდა მათი გამოჩენით ხალხის გაღიზიანება... ყაზახებს ის უკიდურესი შემთხვევისათვის ინახავს...

მიტინგი მეტეხის ციხეზე წავიდა, რათა გამოეშვებინებია ტუსაღები; მეტეხზე უკვე მოსჩანდა პატიმართა მიერ სარკმელებიდან დროშებად გადმოკიდებული წითელი ხალათები, ხელსახოცები, წითელი ბალიშები...

რევოლიუციონური მისვლით რკინის კარი იღება, ტუსაღები თავისუფლდებიან...

მუშათა უბნებში ზედიზედ იწყობა მიტინგები, წითელი დროშების ლამაზი ფრიალი შვენის ქუჩებს, სიმღერები აზანზარებენ ქალაქს. .

## ზ.

— ამუშავდა მეფის მომხრე ხალხი. მთავრობისავე შემწეობით, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“ დაარსდა და მანიფესტაციით გამოემართა გოლოვინის პროსპექტზე. მათ მოჰქონდათ სამეფეროვანი დროშები, მეფის სურათები, ხატები. ისინი მღეროდენ „ღმერთო, ჰფარვიდე მეფეს“. ეს იყო სამეფო ჰიმნი მათ მოუძღოდა მღვდელი გოროდცევი და სხვები; პროცესიაში ბევრი ერია გადაცმული პოლიციელი, სამხედრო პირები, ჩინოვნიკები, ჯაშუშები; ეს იყო რევოლიუციონური მიტინგების და დემონსტრანტთა საპასუხო გამოსვლა; მთავრობა ამგვარად ნეიტრალიტეტს იცავდა, ვითომც არცერთს არ ეხმარებოდა, ჯარი გამოიყვანა წესიერების დასაცავად; მაგრამ ყველა ხედავდა, რომ ეს პროცესია იყო მთავრობის მოწყობილი...

ამავე დროს ნაძალადევში გაიმართა დიდი მიტინგი, მთელი ტფილისის მუშები იქ იყვნენ... ეს იყო 22 ოქტომბერს ..

„ჭეშმარიტ რუსთა“ პროცესიიდან ვაჟთა პირველ გიმნაზიასთან ვიღაცამ რევოლვერი გაისროლა პროვოკაციის მიზნით. ეს იყო, ალბათ, ადრევე დანიშნული ნიშანი, რომ დაეწყოთ ხოცვა გამკლელთა, მაღაზიების რბევა, რაიც ნაწილობრივ აასრულეს; მრავალი დახოცეს; შევარდენ გიმნაზიაში.

— აქიდან გვესროლეს, დაჰკათ!—ყვიროდენ ისინი, და თერთმეტამდე მოსწავლე ბავში იქვე დახოცეს, გიმნაზია ააფორიაქეს. ესროდენ ყველას, ვისაკ მოახელთ'დენ; მათი თავხედობა იქამდის მივიდა, რომ ზოგიერთმა ჯარისკაცებმა, რომელნიც ყარაულად იდგენ კადეტთა კორპუსის და ოპერის თეატრის შუა, ჩუმად პროცესიაში მიუშვეს ტყვები... ზანზარებდა ქალაქის მარჯვენა მხარე.

ნაძალადევში მიტინგი დაიშალა, გაურბოდენ შეიარაღებულ ხულიგანთა ბრბოსთან შეჯახებას...

მთავრობამ ეს მოიმიზეზა და მუშებს შეკრება აუკრძალა...

## თ.

— ქალაქში წესიერების დაცვას, ავაზაკების ალაგმვას მუშები თავისთავზე იღებდენ, განაპირა უბნებს მორიგეობით ყარაულობდენ.



გურიის ცხოვრებიდან 1905 წ. დამსჯელი რაზმების მოქმედება.

რა გავლენა მოახდინა, რომ ძალა-უფლებაში მუშები თვით ერეოდენ? ერთ მშვენიერ დღეს, მაშინდელ ერევნის და აწ თავისუფლების მოედანზე, შეიკრიბენ მთელი ტფილისის ქურდები და ჯიბგირები. მიტინგი ყველას ყურადღებას იპყრობდა. მათ გადასწყვიტნს, რომ ამიერიდან ხელს იღებენ თავის ხელობაზე და პატიოსან შრომას უბრუნდებიან. მათ წარმომადგენლები გაგზავნეს ნაძალადევის ბიუროში, სადაც შეჰფიცეს და განუცხადეს თავისი დადგენილება.

— თუ რაიმე ქურდობა, ან ჯიბგირობა მოხდა ტფილისში, პასუხს ჩვენ ვაგებთ.—განაცხადეს მათ, და, მართლაც, ვიდრე რეაქციამ საბოლოოდ არ გაიმარჯვა, როდესაც კვლავ წამოჰყვეს თავი ბნელმა ძალებმა, მანამდე ტფილისში არ მომხდარა ქურდობა და ჯიბგირობა.

აი, ასეთ ანგარიშს უწევდენ ტფილისის მცხოვ-

რებნი ნაძალადევის ბიუროს. მუშების ორგანიზაციას, რაიც ალიზიანებდა მთავრობას...

ი.

— მიუხედავად რევოლიუციონური პარტიების ცდისა, რომ საქართველოში მაინც არ მომხადრიყო თათარ-სომეხთა შეტაკება, ძმათა შორის სისხლის ღვრა, 22 ნოემბერს ეს მაინც დაიწყო...

ვიღაც სომეხმა მოჰკლა ბაზარში ბებერი მეჩაიე სპარსელი და მეთულუხე (წყლისმომტანი) თათარი; ახლა თათრებმა მოჰკლეს მეწვრიმალე სომეხი და ასე დაიწყო მთავრობის მოწყობილი და სანატრელი ამბავი.



1905 წლის ცხოვრება რეაქციის დროს. იარაღის. გადამალვა.

თათრები ცოტანი იყვნენ, სახლებში ჩაიკეტნენ. სომხის ხუმბები (რაზმები) ავეტარანის ქუჩიდან (მეტეხის გვერდზე) და ბოტანიკური ბაღის მაღლობებიდან უშენდენ შაითან-ბაზარს, ტყვიებით დაცხრილეს მეჩეთის მინარეთი, მაღაზიების და სადგომების კედლები; საქმე გამწვავდა, თვით მთავრობა შეფიქრიანდა, ველარ დაამშვიდა მოწინაალმდევენი და, ბოლოს, ნაძალადევის ბიუროს მიმართა ესისრა შუამავლობა, შეერიგებინა, და თანაც 500 ბერდანის თოფი გადასცა თოფხანიდან... და შემრიგებელი „დრუჟინები“ გამოვიდნენ. ზოგი თავისი იარაღით, ზოგი ამ ბერდანკებით გაემართენ თათრის ბაზრისკენ, ააგეს ბარიკადები; მათ მკლავებზე ჰქონდათ წითელი ბანტები, თეთრი მკლავსახვევები და წითელი ჯვარიც—ნეიტრალობის გამოსახატავად.

თათრები სომხის და სომხები თათრის უბნებში „დრუჟინიკების“ მცველობით გად ჰყავდათ..

პარტიები ცდილობდენ მოწინააღმდეგეთა შერიგებას, მათს წარმომადგენლებს იწვევდენ ნაძალადევის ბიუროში; ამავე დროს შაითან-ბაზარს ჩოადგა 500 ბორჩალოელი თათარი თანამორწმუნეთა დასახმარებლად, მაგრამ „დრუჟინიკები“ გადაელობნენ წინ, სთხოვეს უკან გაბრუნება; „დრუჟინიკებს“ ნაბრძანები ჰქონდათ, არაფრის გულისთვის არ ესროლათ მოწინააღმდეგეთათვის, რაიც მათ პირნათლად შეასრულეს...

მაგრამ ერთი „დრუჟინიკი“ მაინც მოკვდა და სამი „დრუჟინიკი“ უგზო-უკვლოდ დაიკარგა!

კ.

— რუსეთიდან მოდიოდა რევოლიუციის დამარცხების, რეაქციის გაძლიერების ამბავი; მთავრობა ახლა ყველგან აშკარა შეტევაზე გადავიდა ხალხის მიმართ; უკანასკნელი ცდა აჯანყებისა მოსკოვის მუშათა უბანში—პრესნაში, სისხლში ჩაალრჩვეს. ეს იყო ნიშანი მთელ სახელმწიფოში ასეთივე ნაბიჯებისა.

ტფილისში კვლავ სამხედრო წესებია, მთავრობა სდევნის თავისუფლების ნატამალსაც-კი. უმთავრესად ემტერება მუშათა უბანს—ნაძალადევს; მისი ალგვა უნდა. ის, თუმცა აშკარად ვერა, მაგრამ ფარულად ეცემა თავს, ალყას არტყავს. ესაა დეკემბრის 18-ს; ამ ღამეს ნაძალადევს ხუდადოვისეულ ტყის მხრით იცავდა 10 „დრუჟინიკი„-მუშა. ცხრა მათგანი ეცემა უთანასწორო ბრძოლაში, მეათე დაჭრილი უშველის თავს, დაბლა ჩამოდის, ამ ამბავს ატყობინებს მუშებს. ყველა ფეხზე დგება, მაგრამ გვიანღაა: უამრავი ჯარი, ყაზახები, ჟანდარმერია, პოლიცია არტყია მათ გარს, სავსეა ქუჩები. დაიწყო ჩხრეკა, აწიოკება, დაპატიმრება, ცემა...

მიესიენ ახლა სხვა უბნებსაც...

ქუჩებში ყაზახთა პატრულები დადის. საკმარისია თვალში არავინ მოუვიდესთ, რომ იჭერენ, სცემენ, ჰკლავენ; ღამე გავლა საშიშია, არ დაგინდობენ...

უბნებში აქა-იქ, „დრუჟინიკები“ ფრთხილად არიან, თავიანთ უბნებს იცავენ მოულოდნელი თავდასხმისაგან ..

ლ.

— 22 დეკემბერს, ბაზარში ორ ალაგას ესროლეს ყაზახებს ყუმბარები, დახოცეს; ხალხი თავზარდაცემული გარბის. ბევრი მშვიდობიანი მცხოვრებნი, მოქალაქენი ერთ სახლს მიაწყდნენ, რომელიც ახლაცაა—ერთი სართული-ღა—ბაზრის შუაგულში, სადაც იყო სავაჭროები, სახელოსნოები,

სჩაიე მოთავსებული. მთავრობამ ალყა შემოარტყა ამ სახლს, დააპრალა, ყუმბარა აქედან გადმოაგდეს ტერორისტებმაო. არავინ გამოუშვა გარეთ. მოიტანეს ზარბაზანი და სამჯერ ესროლეს, დაანგრიეს, მეორე დილამდე იწოდა, არავის უშვებდენ გარეთ. ისმოდა საშინელი ღრიალი, კვნესა...

მეორე დილით რამდენიმე ათეული მოკლული, დამახინჯებული, დამწვარ-დახრუკული ადამიანი ამოიღეს, რომელთა შორის მრავალი იყო ქალი და ბავშიც ერია...

ასეთი სისასტიკით დაიწყო რეაქცია...

გამწარებული ტერორისტები სადაც მოახელებდენ მთავრობის ხალხს, მზეს უბნელებდენ, მაგრამ მთავრობა იმ სახლს სწვავდა, მცხოვრებთ ხოცავდა, რომლის ახლოსაც მოხდებოდა მკვლელობა...

გ.

— საქართველოს ყოველ კუთხეს შეუტიეს მთავრობის დამსჯელმა რაზმებმა, რომელთაც ცეცხლს მისცეს ქალაქები, სოფლები. ქართლი, იმერეთი, გურია და სხვა მხარეები საშინელი წამების მოწმენი შეიქნენ: იმათ ხომ რევოლიუციის ბუდედ სთვლიდენ...

საქართველოს მცხოვრებთა მეოთხედი დევნას განიცდის; ციხეები ვერ იტევენ დაპატიმრებულთ. ყოველდღე გადის მატარებლები ციმბირისაკენ, ტუსაღებით; დაიწყო ხვრეტა; ამუშავდა სახრჩობელა...

რევოლიუციონური რაზმები ხან სად ეცემიან დამსჯელ რაზმებს და ხან სად! ხოცავენ, იარაღს ჰყრიან ჯარის ნაწილებს, ხაზინებს ხელში იგდებენ, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში მარცხდებიან...

ასეთი იყო, მოკლედ, ტფილისი 1905—6—7 წლებში...

ნ.

— აი, მოკლედ იმ სურათების გადაშლა, რომელსაც ჰქვიან 1905 წელი...

თქვენოდენა მაშინდელი ბავშები ახლა უკვე დავაჟკაცებულნი არიან, კომუნისტურ პარტიაში დარაზმულნი, რომლის აღებული ხაზიც ისტორიამ გაამართლა და ოქტომბრის რევოლიუციით დადაფნა...

თქვენა ხართ ოქტომბრის ყვავილები იმ ოქტომბრის ბაღში, რომელიც აყვავდა ათას ცხრაას მეხუთე წელში დაღვრილ მშრომელთა სისხლით გაპოხიერებულ ნიადაგზე, რომლის გადაჭიმულ კალთებზე აიგო მუშათა და გლეხთა თავისუფლება, შრომის მეუფება...

ის საყვარელი წითელი დროშა, რომელიც მოწამეა ამდენი საარაკო ბრძოლის, ახლა ამაყად იბერტყავს კალთებს თავისუფლების ჰიმნით...

მის სისხლისფუნჯებიან დაფლეთილ კალთებს ამშვენებს ჩაქუჩ ნამგლის გადაჯვარედინება, ხუთქიმიან ვარსკვლავით, რომელიც არის ნიშანი, სიმბოლო მთელი მსოფლიოს ხუთივე მატერიკის ერთ დიად კომუნაში მოქცევის, ერთ დიად შრომის მსოფლიოს ამღერების.—დაათავა მასწავლებელმა და გადახედა ბავშებს ღიმილით, რომელნიც ამ სურათების აღწერით დაფიქრებულნი შეჰყურებდენ მას...

სეზმან ერთაწმინდელი.



აჭარისტანი—სოფ. დიდი ჯამეს პიონერები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბავშები იმპერია-ლისტური ომის შემდეგ

ძნელი სათქმელია, თუ რამდენი ბავში დაიღუპა იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებში! ისინი სიცივ-შიმშილის გამო იღუპებოდენ თავის მშობლებთან ერთად.

მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ზარბაზნების საზარელი გრგვინვა შესწყდა, ომის გავლენა მშრომელებზე და მათ შვილებზე დღესაც დიდია, რაც უტყუარი ციფრებით და ფაქტებით ნათლად შუქდება თანამედროვე პრესაში.

ინგლისური ბურჟუაზიული გაზეთი „ტაიმსი“ ერთ-ერთ თავის ნომერში სწერს:

„ომმა სერბიაში 500,000 ბავში დააობლა; ამათში 150,000 სრულიად უპატრონოა. ჭლექიანების რიცხვი აურაცხელია...“

„ჩეხო-სლოვაკიაში ბალახს საჭმელად ხმაროპენ, პურს თივისაგან და ხის ქერქისაგან აკეთებენ. ბევრი ისეთი სოფელია, სადაც სრულიად არ მოიპოება რძე. სიტიტვლისა და შიმშილის გამო ბავშებს არ შეუძლიათ სკოლაში სიარული და სწავლა“.

„მცირე აზიაში მოზარდთა და ბავშთა ათასები მთელი კვირეების განმავლობაში უსაჭმლოდ იყვნენ და მხოლოდ მცენარეთა ფესვებით იკვებებოდენ. მათ განუზომელ ტანჯვას აშკარად მოწმობს მათი გაფითრებული სახე და ღრმად ჩაცვინული თვალები.

„ავსტრიაში ხშირად შეხვდებით ქუჩაში 1—5 წლის ბავშებს, რომელნიც შიმშილის გამო ისე არიან დაავადებული, რომ ჯერ ფოფხვაც კი არ ტირიან“

„ვერსალის ზავით განადგურებულ და გაძარცულ გერმანიაში ხომ უარესი მდგომარეობაა!“

იქ მთელი რიგი მომავალი თაობისა დაღუპვის გზაზეა დამდგარი; ჭლექი და რახიტიზმი აქ ადვილად ჰპოულობენ მსხვერპლს და ნიადაგი ისეთი ეპიდემიური სენის გავრცელებისა, რომელიც შეიძლება მთელ ევროპას მოედვას, უკვე მზად არის.

ჟენევაში 1920 წელს მომხდარ „ბავშთა დაცვის საერთაშორისო კონგრესზე“ აღნიშნული იყო, რომ „გერმანიაში ომის უახლოეს წლებში უეჭველად დაიღუპება $2^1/_2$ მილიონი ბავში, თუ სასწრაფოდ არ იქნება მიღებული რაიმე ზომები მათი კვების გასაუმჯობესებლად. 6 მილიონ ბავშს მოელის სერიოზული საფრთხე, რადგანაც მათი ჯანმრთელობა უკვე შერყეულია“.

ყველა ეს 1920 წლის ცნობებია.

შემდეგ წლებში გერმანიის პროლეტარიატის მდგომარეობა უფრო გაუარესდა, განსაკუთრებით ფრანგების მიერ რურის ოლქის დაჭერის შემდეგ, რის შემდეგაც დაღუპვის გზაზე დამდგარი ბავშები უკვე დაიღუპენ და მათი ადგილი ახალმა კანდიდატებმა დაიჭირეს: სიკვდილის შემთხვევები იმდენია, რომ კუბოები აღარ ყოფნისთ და ბავშებს უბრალო ყუთებში ათობით ასაფლავებენ საერთო სასაფლაოზე. არ აქვთ სუდარა და მიცვალებულებს ქაღალდში ახვევენ.

„პრავდა“-ში სწერია: „ბერლინში სინათლის ნაკლებობის გამო 8 საათზე იძინებენ... შიმშილი აიძულებს ბერლინის მცხოვრებლებს ქალაქ გარეთ

გასვლას და ნაკარტოფილარ მინდვრებში დარჩენილ კარტოფილის მოთხრას, მიუხედავად იმისა, რომ ამ მინდვრებს შეიარაღებული მცველები იცავენ, რომელნიც იარაღის ხმარებასაც კი არ ერიდებიან. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც პოლიციამ მოჰკლა ერთი 13 წლის ბიჭი და მძიმედ დასჭრა 15 წლის გოგო, რადგან ისინი ნაზერალა კარტოფილს იღებდენ.

იმავე „პრავდა“-ს ერთ-ერთ ნომერში სწერია, რომ „მთელ გერმანიაში 3 მილიონზე მეტი ბავშია ჭლექით დაავადმყოფებული; ჭლექიანი ბავშების 80 პროცენტი ბერლინში არის“.

რა ზომებს ხმარობს ბურჟუაზია ამის წინაალმდეგ?—უმნიშვნელო მოწყალება, ქველმოქმედება, თათბირები!

გვაგონდება ის მგლები, რომლებიც თავებს იმტვრევდენ ბატკნების დასაცავად.

ბურჟუაზიის წარმომადგენლები ხშირად და აშკარად აღიარებენ თავის უძლურებას ამ საკითხის გადაჭრაში. მაგ.: გერმანელი ექიმი, პროფესორი მაქს გრუბერი გადაჭრით ამბობს: აუცილებელია, რომ 10—15 მილიონი (გერმანიაში სულ 61 მილიონი მცხოვრებია) ბავში ამოწყდეს ამა თუ იმ საშუალებით. გერმანიას არ ძალუძს მათი გამოკვება. ეროვნული თავმოყვარეობა (!) კი ვერ დაუშვებს მათხოვართა კადრის შექმნას“.

მაგრამ ომმა არც გამარჯვებული ქვეყნების პროლეტარ-ბავშებს დააყარა ხეირი.

იქნება ამერიკელი პროლეტარი-ბავშები მაინც ცხოვრობენ კარგად? ამერიკას ხომ არც კი მიუღია სამისო მონაწილეობა 1914—18 წ. იმპერიალისტურ ომში და განადგურების მაგივრად მან იმდენი ოქრო დააგროვა, რომ არც კი იცის, ვის მიჰყიდოს. ისინი ხომ თავისი ძვირფასი საჭმელებით ასუქებენ ჯიშიან ღორებს!

აი, რას სწერს ამის შესახებ ამერიკელი ვილიამ ხეივუდი თავის წერილში „ბავშის შრომა და ქველმოქმედება ამერიკაში:“

„შეერთებულ შტატებში ბავშები ასიათასობით იხოცებიან შიმშილით. ამ დღეში არიან არა მარტო უმუშევარნი, არამედ ისინიც კი, ვისაც მარჩენელი სამუშაოზე ჰყავს“.

ქ. ლერენსში „ამერიკულ შალის და ბამბის ტრესტის“ წინააღმდეგ გაფიცვის დროს გაფიცულთა ასეული ბავშები გაგზავნეს სხვადასხვა ქალაქებში. მათი საექიმო შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყველანი დასნეულებულები არიან ცუდის კვების გამო, და რომ მათი ბედია—ნელნელი სიკვდილი შიმშილის გამო.

როგორია მდგომარეობა იმ პროლეტარ ბავშებისა, რომელნიც თვითონ მუშაობენ ქირით?

„ახალ ორლეანში არსებობს „საზოგადოება ია“. მისი უმთავრესი საქმე კრევეტკების (საჭმელი ლოკოკინას) კოლოფებში მოთავსებაა. ამ მუშაობაში უმთავრესად ბავშთა შრომით სარგებლობენ. ყოველწლივ ნიუ-იორკიდან და სხვა ქალაქებიდან ქ. ახალ ორლეანში მრავალი ობოლი იყრის თავს. ისინი „საზოგადოება ია“-ში პოულობენ სამუშაოს. ეს ბავშები ავადმყოფდებიან განსაკუთრებული პროფესიონალური სნეულებით: მათ თითებზე სძვრებათ კუნთები, რაც გამოწვეულია კრევეტების ქიმიური რეაქციის გავლენით. წარმოების მეპატრონეები ამ გარემოებას არ აქცევდენ ყურადღებას, ვიდრე არ გამოირკვა, რომ შხამი, რომელიც თითებზე კუნთებს ხრწნის, მოქმედობს აგრეთვე კოლოფებზე და შლის მათ. და ეს დამღუპველები ამერიკული ბავშვებისა გამოდიან საზღვარგარეთელი ბავშების ქველმოქმედთა როლში.

კიდევ ბევრი ქველმოქმედია, რომელნიც ბავშების უწყალო ექსპლოატაციას ეწევიან, მაგრამ „ქველმოქმედებაში“ ყველას გადააჭარბა თუთუნის ტრესტმა. მისმა მწარმოებლებმა მოახერხეს, რომ კონექტიკუტის შტატში საზაფხულო არდადეგები სკოლებში გაეგრძელებიათ პლანტაციების მოწევამდე, სადაც მოწაფეებს ამუშავებენ მთელი დღის განმავლობაში უმნიშვნელო ხელფასით, რითაც აუარებელი სიმდიდრე გროვდება თუთუნის პატრონთა ხელში“...

შ. რ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



მანგლისის რაიონის პიონერთა ორგანიზაცია.

# პიონერთა მუშაობის მორიგი ამოცანები

### 1. მუშაობა დაურაზმელ ბავშთა შორის.

პიონერთა კოლექტივების პრაქტიკულ მუშაობაში ხშირად არის ისეთი შემთხვევები, როდესაც კოლექტივი დიდ შინაალმზრდელობით და საზოგადოებრივ მუშაობას ატარებს, მაგრამ ამავე დროს ის ხშირად სრულიად ივიწყებს გარშემო მყოფ ბავშთა მასებს.

ეს მეტად დიდი უარყოფითი მოვლენაა ჩვენი კოლექტივების მუშაობაში.

ნორჩ პიონერთა ერთი ძირითადი კანონი ლაპარაკობს: „პიონერები რაზმავენ დაურაზმელ ბავშებს და მონაწილეობენ მათთან ერთად საერთო ცხოვრებაში“. ამის დავიწყება არ შეიძლება. რა დიდი მუშაობაც არ უნდა ჩაატაროს კოლექტივმა თავის შიგნი, მისი კარგ კოლექტივად ჩათვლა მაინც არ შეიძლება, თუ ის ამ მუშაობაში არ აბამს გარეშე ბავშებს. ამას ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა რ. ა. ლ. კ. კ. მეოთხე საკავშირო კონფერენციამ თავის რეზოლიუციაში, რომელშიც ის ლაპარაკობს, რომ მუშაობა ბავშთა მასაში ყველაზე ძირითადი და საყურადღებო მუშაობაა პიონერთა ორგანიზაციაში.

ოჯახში, ქუჩაში, სკოლაში და, ერთი სიტყვით, ყველგან არიან ბავშები, რომლებიც არ არიან პიონერთა კოლექტივების წევრები, მაგრამ რომლებსაც დიდად უნდათ პიონერებთან მუშაობა. ზოგჯერ მათი მიღება პიონერ-კოლექტივში არ არის შესაძლებელი, მაგრამ მათი ჩათრევა პიონერთა მუშაობაში არა თუ შესაძლებელია, სავალდებულოც არის.

ატარებს თუ არა კამპანიას, საუბრებს, აწყობს საღამოებს, ამა თუ იმ საზოგადოებრივ მუშაობას, გაჰყრენებს, თამაშობებს და სხვა,—კოლექტივი აუცილებლად უნდა ცდილობდეს, ამ მუშაობაში ჩაითრიოს დაურაზმელი ბავშები. შეიძლება მუშაობის დაყენება ისე, რომ კოლექტივის ყოველ კრებაზე ესწრებოდენ და მონაწილეობდენ არაპიონერები. ეს კი მეტად საყურადღებოა: ეს აახლოვებს ყველა დანარჩენ ბავშებს პიონერებთან, ხლის პიონერებს ყველა დანარჩენი ბავშების ხელმძღვანელად, აძლევს ნორჩ პიონერებს საშუალებას, გამოხატონ ყველა ბავშების ინტერესები.

ეს არ უნდა დაივიწყოს პიონერთა არცერთმა კოლექტივმა და არცერთმა პიონერმა.

ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც პიონერები „ზევიდან“ უყურებენ დანარჩენ ბავშებს ამის აღმოფხვრაც აუცილებელია. პიონერი უნდა იყოს ყველა პროლეტარულ ბავშების ამხანაგი. სადაც არ უნდა იმყოფებოდეს ის, პიონერმა ხელი არ უნდა ჰკრას დანარჩენ ბავშებს, პირიქით, ისინი უნდა

ჩაითრიოს თავის მუშაობაში. განა ამის შესახებ არ ლაპარაკობს პიონერთა პირველი კანონი—„პიონერი ყველა მუშურ-გლეხურ ბავშების ამხანაგია“.

მუშაობა ბავშთა ფართე მასებში,—აი, საით უნდა იქნას მიქცეული ჩვენი უმთავრესი ყურადღება.

### 2. მუშაობა უპატრონო ბავშთა შორის.

პიონერთა კოლექტივმა თავის პრაქტიკულ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს უპატრონო ბავშებს. მშივრები, ჩამოგლეჯილები, რომლებსაც არ აქვთ თავისი ბინა, სადაც შეიძლებოდეს ღამის გათევა,—აი, ასეთი უპატრონო ბავშები განსაკუთრებით საჭიროებენ პიონერთა ორგანიზაციებთან კავშირს. პიონერები, ერთი მხრით, ეხმარებიან რა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უპატრონო ბავშების მატერიალური დახმარების საქმეში, მეორე მხრით უნდა ცდილობდენ მოიწვიონ ისინი თავიანთ კლუბებში, თავიანთ საღამოებზე და ჩააბან ისინი მთელ თავის მუშაობაში. ეს იქნება უპატრონო ბავშებისათვის ყველაზე საჭირო დახმარება (გარდა მატერიალური უზრუნველყოფისა)—ეს შექმნის ნორმალურ, წესიერ წრეს და მოაშორებს მათ ქუჩის გამხრწნელ გავლენას.

ერთ-ერთი ამხანაგი მოგვითხრობს: „ამ დღეებში მე შევეკითხე ერთ უპატრონო 12 წლის ბავშს, იცის თუ არა მან, ვინ არიან პიონერები? მან მიპასუხა: პიონერები არიან ისინი, რომლებიც დადიან ქუჩებში ბარაბანით და დანებს ატარებენო.

ეს პასუხი მეტად დამახასიათებელია: ეს იმაზე ლაპარაკობს, რომ უპატრონო ბავშები ხშირად სრულიად არ იცნობენ პიონერებს და პიონერები კი ცოტას აკეთებენ იმისთვის, რომ გააცნონ უპატრონო ბავშებს, თუ ვინ არიან პიონერები. არა გარეგანი თვისება, არამედ შინაგანი არსება, რომლითაც სწორედ საყურადღებოა პიონერთა ორგანიზაცია—აი, რა უნდა ვუჩვენოთ უპატრონო ბავშებს.

### 3. სკოლის პიონერები და მათი ზრუნვა ჯანმრთელობაზე.

ზაფხულის განმავლობაში ნორჩ პიონერთა შორის ჩატარებულ იქნა ფართე კამპანიები გაჯანსაღებისათვის. სკოლებში მეცადინოების დაწყების შემდეგ პიონერთა ორგანიზაციების ყურადღება უწინდებურად მიქცეული უნდა იქნას ბავშების ჯანმრთელობის გაუმჯობესებისაკენ. სასკოლო მუშაობა დახუთულ ოთახებში, მთელი საათების განმავლობაში შეხუთული, უვარგისი ჰაერის სუნთქვა—ყველაფერი ეს გვავალებს, განსაკუთრებული სერიოზული ყურადღებით მოვეპყრათ არათუ მარტო პიონერთა, არამედ ბავშთა მთელი ფართე მასების გაჯანსაღების საკითხს. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბავშთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეს ყურადღება უნდა მივაქციოთ არა მარტო სკოლაში, არამედ ოჯახშიაც.



შორეულ-აღმოსავლეთის პიონერები.

როგორი უნდა იყოს მუშაობის გარკვეული ფორმები სკოლაში ბავშთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის?

თითქმის ყველა საბჭოთა სკოლებში არის ჯგუფების და საერთო-სასკოლო სანიტარული კომისიები ან რწმუნებულები.

პიონერთა ორგანიზაციების მუშაობა სასკოლო ყოფა ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში უნდა გამოიხატებოდეს არა პიონერთა ცალკე კომისიების დაარსებაში, არამედ პიონერების მონაწილეობაში საერთო-სასკოლო სანიტარულ კომისიებში. პიონერთა დამოუკიდებელ სანიტარულ კომისიების შექმნა გამოიწვევდა პარალელიზმს სანიტარულ მუშაობაში და არ მისცემდა არცერთ მათგანს მუშაობის შესაფერისად წარმოების საშუალებას.

სანიტარული კომისიების და რწმუნებულების ძირითადი ამოცანაა—თვალყური ადევნონ სასკოლო ცხოვრების სიწმინდეს და წესრიგის დაცვას. საჭიროა, სკოლის გამგის წინაშე დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ შექმნილ იქნას ბავშთა ტანსაცმელებისათვის დასაკიდი, რათა არ შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, რომ, როდესაც ბავშები მოდიან სკოლაში, თავის ტანსაცმელს, გახდის შემდეგ, დასაკიდის უქონლობის გამო, თავის პარტაზე არ იდებდენ და არ ჯდებოდენ მასზე გაკვეთილების დროს.

აუცილებელია, რომ სკოლა ყოველთვის იწმინდებოდეს თავის დროზე, მოწაფეები დასვენებისას თავის დროზე გამოდიოდენ ჯგუფებიდან გა-

რეთ, მოწაფეებს ჰქონდესთ თავისი სხეული დასუფთავებული და დაწმენდილი და ა. შ.

ჩვენ აქ ჩამოვთვალეთ მხოლოდ სანიმუშო მაგალითები სანიტარული მუშაობისა, რომელსაც ატარებენ სანიტარული-კომისიები პიონერთა ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით, საერთოდ კი სანიტარული საკითხები სკოლაში მრავალია. ყველა მათგანს შესაფერის ყურადღებას უნდა აქცევდეს სანიტარული კომისია.

ბავშების სანიტარულ მუშაობაში ჩათრევა—ერთი უმთავრესი პირობაა გაჯანსაღების კამპანიის ჯეროვანად ჩატარებისათვის.

უნდა ახსოვდეს ყოველ პიონერს, რომ სასკოლო ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღების საქმეში უმთავრესი ადგილი პიონერთა ორგანიზაციებს უნდა ეჭიროს.

### 4. პიონერი ოჯახში.

საკითხი პიონერის ოჯახისადმი დამოკიდებულების შესახებ—ერთი უმთავრესი და მტკივნეული საკითხთაგანია პიონერთა საერთო მუშაობაში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების პიონერთა მთელი პრესა ამის შესახებ ბევრს ლაპარაკობს. ძნელია ვნახოთ ისეთი ჟურნალი და გაზეთი, რომელშიც პიონერები არ მსჯელობდენ ამ საკითხის შესახებ, და ყველგან ერთიდაიგივე დასკვნა გამოაქვთ: პიონერი უნდა ემსახურებოდეს თავის მშობლებს, პიონერმა თავისი საკუთარი მუ-



პარიზის პიონერები.

შაობით ოჯახში უნდა მოიპოვოს პატივისცემა, ავტორიტეტი.

მრავალ ადგილას უკვე არის მშობელთა შორის წარმოებული მუშაობის ნაყოფი.

პიონერთა დატვირთვა კოლექტივების სამუშაოთი თანდათან კლებულობს, პიონერები უფრო მეტად ეხმარებიან მშობლებს.

მაგრამ მარტო ეს არ კმარა. აუცილებელია, პიონერებმა თავის კრებებზე, დღესასწაულებზე მოიწვიონ მშობლები, გააცნონ მათ თავისი მუშაობა.

ს. ს. რ. კ-ის ერთ-ერთ ქალაქში პიონერებმა შემოიღეს კოლექტივების კრებების მოწვევა პიონერთა სახლებში; ცდამ მნიშვნელოვანი შედეგი მისცა.

კოლექტივებმა თავის მუშაობაში ჩაითრიეს მშობლები, გაეცნენ პიონერთა ცხოვრებას ოჯახში, მოიპოვეს მშობლების თვალში დიდი ავტორიტეტი. ზოგიერთი კოლექტივები უკვე მთლიანად გაეცვნენ თავისი პიონერების ცხოვრებას ოჯახში და ხელმძღვანელობენ მათ მუშაობას იქ.

ნაწილი კოლექტივებისა ხშირად აწყობს მშობელთა კრებებს, რომელსაც უკანასკნელ ხანებში მშობელთა 100 პროცენტი ესწრება კრებებზე. პიონერები აცნობენ მშობლებს თავის მუშაობას, თავის მიღწევებს.

ზოგჯერ კრებები ნამდვილ პოლიტიკურ-განმანათლებლობითს ხასიათს იღებს. პიონერები მშობლებს აცნობენ რევოლიუციონურ დღესასწაულებს, მიმდინარე კამპანიებს და სხვ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მუშაობის შემდეგ მშობელთა დამოკიდებულება პიონერებისადმი გაუმჯობესდა.

პიონერები ოჯახშიც უნდა იყვენ ნამდვილი ნორჩი ლენინელები.

ასეთია მომავალი მუშაობის მორიგი ამოცანები.

# შვილდოსანი ვილჰელმ ტელ.

**პიესა სამ მოქმედებად.**

**მოქმედნი პირნი.**

ჰერმან ჰესლერ—მეფის მოადგილე (ლანდფოგტ.)
რუდოლფი—მისი შვილი
ჰერტრუდა—მისი ძმისწული
ვილჰელმ ტელ—მონადირე
ჰედვიგა—მისი ცოლი
ვალტერ—მისი შვილი
ბებია—ჰედვიგას დედა
მაუერ } მონადირეები, ადგილობრივი
ფიურსტი } მცხოვრებნი
ოფიცერი
ჯაშუში
1, 2 } ყარაული
1, 2, 3 } ვაჭრები
ჰანსი—პატარა ბიჭი
გოგონა—ზამთრად ჩაცმული.
ბავშები, მსახურები, სტუმრები, ყარაულები, მონადირეები,

მოქმედება სწარმოებს მე-XV-ე საუკუნეში, შვეიცარიაში, ფრივალდშტედის ტბის პირად.

**მოქმედება პირველი.**

მინდორი მთებში, ვილჰელმ ტელის ქოხის წინ. ქოხის წინ სხედან: ვილჰელმ ტელი, ფიურსტი, ბებია და მაუერ. გოგონები სხედან ირგვლივ, ნახევარწრედ. შუაში დგას ჰედვიგა. ჰერტრუდა შემოდის და სდგას განცალკევებით.

## გამოსვლა I.

**ჰედვიგა** (ხელში თაიგული უჭირავს). იწყება გაზაფხულის დღესასწაული, გოგონებო, მოდით აქ. ხედავთ, ხელში მინდვრის ყვავილების თაიგული მიჭირავს? შიგ ერთი თეთრი და ერთი წითელი ასკილის ყვავილი ურევია. მოკიდეთ ყველამ ხელი ღეროების ბოლოებს. ვინც თეთრ ასკილს ამოიღებს, ის ზამთარი იქნება, ვინც წითელს...

**გოგონები.** იქნება გაზაფხული! იქნება გაზაფხული.

**ბებია.** ის რა გოგონაა, ცალკე რომ სდგას იქ? სადაური ხარ შენ, გოგონა?

**ჰერტრუდა.** (ეჩხადად) კუსნახტიდან ვარ!

**ბებია.** მერე, ვინ გამოგიშვა ამსიშორეზე მარტოკა? ვინ არიან შენი მშობლები?

**ჰერტრუდა.** მე ობოლი ვარ!

**ჰედვიგა.** თამაშობა გინდა?

**ჰერტრუდა.** მინდა!

**ჰედვიგა.** აბა, გოკონებო, მიიღეთ ახალი ამხანაგი.

**გოგონები.** მივიღებთ, მივიღებთ! (ყველა ჰკიდებს ხელს ყვავილების ღეროებს: ჰერტრუდა ამოიღებს წითელ ასკილს) გაზაფხული, გაზაფხული!

(მორთავენ გაზაფხულად, მეორეს კი რთავენ ზამთრად).

**გოგონა, ზამთრად ჩაცმული** (მღერის).

თეთრად მოსილი ვარ მე ზამთარი,
მიყვარს სიცივე, ყინვა და ქარი,
ტყეში და ველად თოვლი მოვფინე,
და ფრინველებმაც სული გატფრინეს! [1])

**გუნდი.** არ ვართ, ზამთარო, შენი მოსურნე!

**გოგონა, ზამთრად ჩაცმული** (მღერის).

კლდიდან ყინულნი გადმოწვებიან,
მდინარეებიც იყინებიან,—
ბავშები სახლში იკეტებიან,
ცეცხლთან ერთმანეთს ესუტებიან...
გათოშილია მთლად არემარე!

**გუნდი.** არ ვართ ზამთარო შენი მოსურნე!

**გოგონა, ზამთრად ჩაცმული:**

მონადირენო, ზამთარში ყინვა
საშიში არის და მოსაფრთხელი...

[1]) ამ პიესის ყველა ლექსი თარგმნილია ლადო **გეგეჭკორის** მიერ.

თუმც შვილდ-ისრით აღჭურვილნი ხართ,
ჰაგეუინებათ მაინც თქვენ ხელი,
და დაგიცდებათ ხრამისკენ ფეხი!

**გუნდი.** შენს თავს, ზამთარო, რისხვა და მეხი!

**ჰერტრუდა, გაზაფხულად ჩაცმული** (მღერის).

მე-კი მომწყინდა სამხრეთში ყოფნა,
მოვდივარ, ჩემი დაგიცვა დები...
ზამთარიც ქარბუქს სულ მაღლა აგდებს,
რომ თვალუწვდენი გაჰყინოს მთები!
მდინარის ტალღამ გაალხოყინვა,
გამოაცოცხლა მიდამო, არე,
და საქანელი მოჰფინა ველად!

**გუნდი.** მაშ, გაზაფხულო, შენ გაგვახარე!

**ჰერტრუდა.** მთაში სადამურს უკრავს მეცხვარე,—
მთის კაბადონზე დასცურავს მთვარე,
მოკაზმულია ნაზ ყვავილებით
მთელი მიდამო და არემარე...

**გუნდი.** მაშ, გაზაფხულო, შენ გაგვახარე!

(ზამთარს აგდებენ. გაზაფხულს ჰკაზმავენ ყვავილებით. თამაშობა გრძელდება).

**ბებია.** აგერ მესამოცდაათჯერ ვისმენ ამ სიმღერას და ყოველთვის ისე მახარებს, როგორც პირველ გაგონებაზე.

**ჰედვიგა.** რა თქმა უნდა! მეათასეჯერაც არ მობეზრდება კაცს გაზაფხულის შეხვედრა.

**ვილჰელმ ტელ.** ბიჭებო, ბიჭუნებო, მოდით, მაუერს ვთხოვოთ, გვაჩვენოს თავისი ძალა.

**ყველა.** ჰო, ჰო, მაუერ, გვაჩვენე შენი ძალა.

**მაუერ.** (ზარმაცად ზის შუა) რათ გინდა ჩემი ძალა?

**ბებია.** როდესაც პატარა გოგონა ვიყავი, ჩვენ გვყავდა აქ ერთი მონადირე ფრიდრიხ შტურმ,—დაიღუპა, ეშმაკის კლდიდან გადმოვარდა,—ისეთი ძლიერი იყო...

**მაუერ.** (წამოიწევს). ჩემზე ძლიერი იყო?

**ბებია.** შენზე ძლიერი! შენისთანას ოთხს აიყვანდა ერთი ხელით და წაიყვანდა. იცი, რას შვრებოდა? ჩვენ ყველა დავიჭერდით ხელში ბაწრის ერთ თოკს, მეორეს კი ის გასწევდა, ყველას გადაგვიტანდა.

**მაუერ.** (ადგება) მოიტა ბაწარი!

**ბავშები.** ბაწარი! ბაწარი!

(მოაქვთ ბაწარი. მაუერი იჭერს ერთ თავს, ბავშები მეორეს და სწევენ. პირველად არ არის გამორკვეული, ვინ ვის დასძლევს, მაგრამ მერე მაუერი გადაიტანს ყველას. უცებ ბაწარი წყდება და გადაცვივდებიან სხვადასხვა მხარეს. ხარხარი)

**ვილჰელმ ტელი.** ყოჩაღ, მაუერ, ყოჩაღ!

(უცებ გაისმის საყვირის ხმა, ყველანი დაჩუმდებიან).

## გამოსვლა მე-II.

(იგინივე, ოფიცრები და ჯარისკაცები).

**ოფიცერი** (სიჩუმეში) ჰეი, თქვენ, მოქალაქენო! თქვენი ბატონის ლანდფოგტის ჰესლერის ძმისწული, სახელად ჰერტრუდა, გამოვიდა დღეს დილით სახლიდან და აღარ დაბრუნებულა,—უთუოდ, გზა დაეკარგა მთებში. ტანზე აცვია (კითხულობს): ცისფერი, ოქრომკედით მოქარგული კაბა...

**ვილჰელმ ტელ.** ამნაირად მორთული ქალიშვილები მთებში არ დადიან.

**ოფიცერი.** ენა დაიმოკლე! „ცისფერი, ოქრომკედით მოქარგული კაბა და თავზე ახურავს ქუდი სირაქლემის... ჰმ... სირაქლემისფრთიანი". გაიგეთ? ნახა ვინმემ თუ არა!

**ხმები.** ჩვენ არ გვინახავს ამნაირი ქალი.

**ოფიცერი.** ერთი სიტყვით, ლანდფოგტის ბრძანებაა, უსათუოდ უნდა იპოვოთ ქალბატონი ჰერტრუდა და მოიყვანოთ. გაიგონეთ? ამას გარდა, ლანდფოგტი გიკრძალავსთ თქვენ ამ ველური სიმღერის მღერას! ამ თქვენ წყეულ მთებში ისეთი ხმოვანი ეხო იცის, რომ მათ ბრწყინვალებას თავი აატკივა თქვენმა სიმღერებმა... (მიდის ძახილით: ქალბატონო ჰერტრუდა! ქალბატონო ჰერტრუდა! (საყვირები).

## გამოსვლა მე-III.

იგინივე, ოფიცერსა და ჯარისკაცებს გარდა. რამოდენიმე
ხანს სიჩუმეა. ყველანი შემკრთალნი არიან.

**ჰედვიგა.** მე მენანება ჰერტრუდა, თუ მართლა მთებში დაიბნა. ამბობენ, კეთილი გოგონააო.

**ჰერტრუდა.** ჰერტრუდა სრულიადაც არ დაბნეულა მთებში და არ დაკარგულა.

**ყველა.** (გარს შემოეხვევიან). შენ საიდან იცი?

**ჰერტრ.** როდესაც სასახლესთან მოვდიოდი, მარია შემხვდა—მეჯინიბეს ქალი.

**ბავშები.** ჩვენ ვიცნობთ მაროს.

**ჰერტრ.** და მარიამ მითხრა... ჰო .. მითხრა, რომ ჰერტრუდა დაიმალა, რადგანაც ჰესლერი ემუქრებოდა, დაგსჯიო.

**ყველანი.** რისთვის?

**ჰერტრ.** რუდოლფს წაეჩხუბა, ლანდფოგტის შვილს, და სცემა.

**ყველანი.** ყოჩაღ, ჰერტრუდა! მაშ, აბა, ახლა მოდით, ისევ ვითამაშოთ!

**ჰედვიგა.** მხოლოდ გახსოვდესთ, რომ ლანდფოგტმა მკერა აგვიკრძალა.

**ვილჰელმ ტელ.** სისულელეა! ჰესლერი—ბატონია იქ, დაბლა, თავის სასახლეში, აქ კი, მთებში, ბატონები ვართ ჩვენ—გლეხები.

**ფიურსტი.** დიაღ, ოდესღაც ვიყავით აქ ჩვენ ბატონები.

**ვილჰელმ ტელ.** ეჰ, კარგია ერთი! კაცი უნდა მამაცი იყოს, გამბედავი!

(შორიდან ისმის ძახილი: „ჰერტრუდა'' საყვირის ხმება).

**ფიურსტი.** ვუსმენ ამ საყვირის ხმებს და მაგონდება ამ ათი წლის წინ... აჰ, ასი წელიწადიც რომ ვიცოცხლო, არ დამავიწყდება ის საშინელი დღე: როდესაც შინ მოვდიოდი, ნადირობიდან დაბრუნებული, გზაში ორი ცხენოსანი შემხვდა.. ერთს გულზე ახალუხი გაწეწილი ჰქონდა და ისე ცხოვლად მახსოვს, გულზე გველეშაპი ჰქონდა ამომწვარი... გაზაფხულის მწყერზე უფრო სწრაფად მოფრინავდენ. ერთს რაღაცა ეჭირა ხელში, ნაბდის ქვეშ.

**ჰედვიგა.** საშინელებაა, ფიურსტ, რასაც შენ ამბობ.

**ფიურსტ.** ჰო, და როდესაც სახლში მოვედი, ვნახე, ჩემი ცოლი შეკრული ეგდო იატაკზე, ჩემი მარგარიტას აკვანი-კი ცარიელი იყო... ამბობენ, ბავში იმიტომ მოიტაცეს, რომ ვიღაც ბრმა ჰერცოგი მოატყუეს, რომელსაც თავისი შვილი მოუკვდაო.

**ვილჰელმ ტელ.** ნუთუ მაშინვე არ მოგინდა, რომ წასულიყავი და გაგეპო გული რომელიმე იმ ოქროს ძერასთვის? არა, შვეიცარელები გადაგვარების გზას დაადგენ: იმის მაგივრად, რომ მოითხოვონ, თხოულობენ... იმის მაგივრად, რომ შური იძიონ,—ტირიან.

**ჰედვიგა.** კარგი, კმარა ვილ, ნუ ყვირი ასე: ჰესლერის ჯაშუშები დაეხეტებიან ტყეებში.

**ვილ. ტელ.** მე არ მეშინია არავითარი ჯაშუშების. მე მაქვს შვილდი და ისარი, ჰესლერს კი ბოროტი გული, რომელიც შეიძლება...

**ჰედვიგა.** ვილ! ვილ!

**ვილ. ტელ.** ჰო, კარგი, ამნაირი ლაპარაკი ყოველთვის მაბრაზებს! სად არის ვალტერი?

**ჰედვიგა.** თავისი ახალი შვილდის გასასინჯავად წავიდა.

**ვილ. ტელ.** ყოჩაღ, ვალტერ! ნამდვილი მონადირეა! განა საკვირველია, ახალი შვილდის გასინჯვა რომ ამჯობინოს დღესასწაულზე დასწრებას?

**ჰედვიგა.** მე მეშინია, უფსკრულში არ გადავარდეს კლდიდან... ისეთი უშიშარი არის.

**ვილ. ტელ.** კარგია, ერთი. განა რეინის მიდამოების ჭაობებშია დაბადებული? მარჯვეა, როგორც ჯიხვი. თქვენ, ჰეი, ბავშებო! ვინც მომართავს ჩემ შვილდს, ნებას მივცემ, ერთჯერ გაისროლოს ისარი.

(ბიჭები გარს ეხვევიან და ყველა ცდილობს მოამართოს შვილდი). აი, თქვენ... გულს ნუ გაიტეხთ! არც ისე ადვილია თქვენი პაწია ხელებით ლარის დაჭიმვა. (იღებს შვილდს). ხედავთ ხეს, აი, იმ ხრამის გაღმა?

**ჰედვიგ.** ნუ ტრაბახობ ვილ, ისარი ვერ მიაღწევს იქამდის!

**ვილ. ტელ.** აბა, აი, ვნახოთ. დაითვალეთ სამი...

**ყველანი.** ერთი!

**ვ. ტელ.** არა, ერთმა რომელიმემ...

**ყველანი.** ერთი!

**ვ. ტელ.** თქვენ გეუბნებიან, ერთმა რომელიმემ დაითვალოს. დაითვალე შენ, ჰანს.

**ჰანს.** ერთი... ორი...

(შორიდან ისმის ყვირილი).

**ვ. ტელ.** რა ამბავია? (დაუშვებს შვილდს).

**ყველა.** ეს ვალტერის ხმაა!

**ჰედვიგა.** ღმერთო ჩემო! ვალტერი ყვირის, მიშველეთ!

## გამოსვლა მე-IV.

იგინივე და ვალტერ.

**ვალტერ.** (შემორბის) მამა. . დამიფარე!

**ვ. ტელ.** რა მოხდა?

ყველანი შემოეხვევიან ვალტერს.

**ვალტერ.** მე წავედი მთებში ახალი შვილდის გასასინჯავად. გამოვარჩიე მიყრუებული ადგილი, ამოვიღე ნიშანში ერთი ხე და დავიწყე ისრის სროლა. უცებ ტყეში გაისმა გაბრაზებული ხმა. პატარა მინდორზე გამოვიდა ერთი დიდიკაცი და პატარა ბიჭი ახლდა. დიდკაცს ხელში თავისი ქუდი ეჭირა. ამ ქუდს თურმე ჩემმა გასროლილმა ისარმა ბუმბული გააგდებინა. ეს კაცი ყვიროდა, ვითომც მე მისი მოკვლა მდომოდეს და მომვარდა ამოღებული ხმლით. მე გამოვიქეცი, ისინი ჩამორჩენ კარგა მანძილზე; ამ ჩვენ ბილიკზე არ შეეძლოთ დამწეოდენ.

**ვ. ტელ.** არ იცი, ვინ არიან?

**ვალტერ.** მე არასოდეს არ მინახავს ისინი, უთუოდ ახალი ლანდფოგტის კარისკაცია.

**ვ. ტელ.** ჰესლერის კარისკაცი?

**ვალტერ.** აი, ისინიც!

**ფიურსტ.** დიდებულო მთებო, დაგვიფარე ჩვენ, ეს ხომ თვითონ ჰესლერია.

### გამოსვლა მე-V.

იგინივე, ჰესლერი და რუდოლფი. ჰერტრუდა მიდის და ამოეფარება კლდეს.

**ჰესლერი.** (აჩვენებს ხმლით ვალტერისკენ) აი, ის ავაზაკი. შეკარით.

**ვ. ტელ.** ნება მომეცით მოგახსენოთ, თქვენო ბრწყინვალება, რომ ეს ავაზაკი არ არის, ჩემი შვილია, ვალტერ ტელ.

**ჰესლერ.** მერე რაა? ეს სრულიად არ ამტკიცებს, რომ ავაზაკი არ არის. შეკარით.

(ყველანი უძრავად დგანან).

**ჰესლერ.** ჰეი, თქვენ, ჯალაბებო!.. იქნება არ იცით, ვინ ვარ? მე თქვენი ლანდფოგტი ვარ, თქვენი მბრძანებელი ჰესლერი.

**ვ. ტელ.** მე ტელი ვარ, მთის მონადირე.

**ჰესლერ.** ხმა გაიკმინდე! რაში მეკითხება შენი ვინაობა... აიღე მაგარი თოკი, შეუკარი შენ შვილს ხელები და წაიყვანე ჩემ სასახლეში... ჩვენ იქ გადავაჩვევთ მაგას ჩვენზე თავდასხმის სურვილს. ჩვენ კარგი წკეპლები გვაქვს ჭკუის სასწავლებლად! (ვ. ტელ იცინის. მონადირეები აღშფოთებული დრტვინავენ). როგორ ბედავ სიცილს?

**ვ. ტელ.** მე ვიცინი იმიტომ, რომ თქვენი ბრწყინვალება სასაცილო რამეებს ლაპარაკობს.

**ჰესლერ.** (წაიწევს მისკენ) გაიმეორე, რა თქვი?

**ვ. ტელ.** (რისხვით) გავიმეორო?

**რუდოლფი.** ვაი! ვაი! მეშინია ამ მონადირის.

**ჰესლერ.** (უკმაყოფილოდ) სრულიადაც არ უნდა გეშინოდეს ამათი, რუდოლფ. ეს ხალხი ჩვენ ვერას გაგვიბედავს, რადგანაც ჩვენ ამათი ბატონი და მბრძანებელი ვართ.

**რუდოლფი** (ტირილით). წავიდეთ შინ!

**ჰესლერ.** ახლავე წავალთ, ნუ ტირი... ჩვენ მხოლოდ ვკითხავთ ჰერტრუდას შესახებ. ჰეი.., ხომ არ მოსულა თქვენთან პატარა ქალი, სახელად ჰერტრუდა?

**ხმები.** ჩვენთან მოვიდა დღეს ერთი გოგონა.

**ჰესლერ.** მერე?

**ხმები.** ეს გოგონა კიუსცნახტელი ობოლი გოგონა იყო...

**ჰესლერ.** სად არის?

**ყველანი.** მართლა სად არის? გაზაფხულო, გაზაფხულო! სად არის გაზაფხული?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჰერტრუდა.** (გამოდგება კლდეს უკან) აქა ვარ!

**ჰესლერ.** ჰერტრუდა!

**ბავშვები.** როგორ? ეს არის ჰერტრუდა?

**ჰესლერ.** საძაგელი გოგო! შენ უთუოდ გინდა, რომ ჩაგკეტო ოთახში და არსად არ გაგიშვა. როგორ ბედავ მთებში მარტო სირბილს? შენ ხომ იცი, რომ მე პირობა მივეცი ჩემ განსვენებულ ძმას, მე ვუპატრონებ მეთქი.

**რუდოლფი.** შენ რომ მოკვდე, მთელ შენ მემკვიდრეობით დარჩენილ ქონებას მონასტერს გადასცემენ.

**ჰესლერი.** დაჩუმდი... (ჰერტრუდას) საიდან გაქვს ეს კაბა?

**რუდოლფ.** მე ვიცი, საიდან აქვს.

**ჰერტრ.** არ გაბედო თქმა.

**რუდოლფ.** არა, ვიტყვი!

**ჰერტრუდა.** არ გაბედო, არ გაბედო მეთქი! (ქვებს ესვრის).

**რუდოლფი** (ტირილით) შუბლში მომარტყა. ვაი, ვაი.., მაგას კაბა მარიამ მისცა, მეჯინიბეს შვილმა.

**ჰერტრ.** ტყუილია!

**რუდოლფ.** მართალია! და მარიას ახლა კარგად გაწკეპლავენ.

**ჰესლერ.** მე დიდიხანია ვაპირებ იმის გაწკეპვლას.

**ჰერტრ.** მაშ, მე აღარ ჩამოვალ ამ კლდიდან.

**ჰესლერ.** ჩამოდი ახლავე!

**ჰერტრ.** არ ჩამოვალ, სანამ მარიას არ აპატიებთ.

**ჰესლერ** ჩამოდი მეთქი!

**ჰერტრ.** არ ჩამოვალ!

**ჰესლერ.** კარგი, მაშ, დარჩი სამუდამოდ.

**ჰერტრ.** მერე რა! დავრჩები, აქ არავინ არ მცემს და არც მლანძღავს დილიდან საღამომდის...

**რუდოლფ.** არა, ნუ დასტოვებ აქ ჰერტრუდას: მე ვიღას ვეთამაშო... შენ ხომ ამისთვის ჩამოიყვანე ჩვენთან.

**ჰესლერ.** ჩამოდი ამსაათში.

**ჰერტრ.** სიტყვას მაძლევთ, რომ მარიას არ დასჯით?

**ჰესლერ.** კარგი, გაძლევ სიტყვას.

(ჰერტრუდა ჩამოდის კლდიდან)

**რუდოლფი.** (ჰერტრუდას) შენ ახლა ჩაგკეტავენ და არსად აღარ გაგიშვებენ!

**ჰერტრუდა.** მერე, შენ რომ გეშინია მარტო

კლდეებში სიარული; მე კი არ მეშინია.

**რუდოლფი.** არც მე მეშინია!

**ჰერტრ.** აბა, ადი ამ კლდეზე!

**ჰესლერი.** გაჩუმდი... აბა, ახლა, ვალტერ ტელო, განვაგრძოთ ჩვენი ბაასი.

*სცენაზე ცოტა ბნელდება.*

**რუდოლფი.** ვაი... ვაი.. რათ დაბნელდა ასე ერთბაშად?..

**ჰესლერი.** მართლა რა ამბავია...

**ვ. ტელი.** შავი ღრუბელი გადაეფარა მთებს.

*(შორს მეხი გავარდება).*

**ჰესლ.** წავიდეთ!

**რუდოლფ.** *(ტირილით)* გზაში დავიბნევით.

**ვალტერ.** *(ჰერტრუდას)* მე გაგაცილებთ პირდაპირ ბილიკამდის.

*(შორიდან ისმის საყვირის ხმები).*

**ჰესლერ.** ეს ჩვენი მოსამსახურეები გვეძებენ.

**რუდოლფ.** ჩქარა, ჩქარა!

**ვ. ტელ.** დაიცა, ჰესლერ, მე არ მინდა, რომ შენ ცუდი აზრის დარჩე ჩვენზე.

*(აიღებს შვილდ-ისარს).*

**ჰესლერი.** *(ხეს ამოეფარება)* რა ამბავია?

**ვ. ტელ.** ოჰ... ნუ გეშინია, ჰესლერ, მე მხოლოდ მინდა დაგიბრუნო ფრთა, რომელიც ჩემმა შვილმა მოაწყვიტა შენ ქუდს. ხედავ არწივს, მიფრინავს, უნდა ავდარს გაასწროს. *(ისვრის ცისაკენ. არწივი ჩამოვარდება. ტელ ჰგლეჯს ფრთას და აწოდებს ჰესლერს)* წაიღეთ ვილჰელმ ტელის სამახსოვროდ.

**ჰესლერი.** დარწმუნებული იყავი, ვილჰელმ ტელ, მე შენ არ დამავიწყდები.

## გამოსვლა მე-VI.

*(იგინივე, ჰესლერის, ვალტერის, რუდოლფის და ჰერტრუდას გარდა, რომლებიც მირბიან, რომ გაუსწრონ ავდარს. სცენა თანდათან ბნელდება. ელვა-ჭექა).*

**ჰედვიგა.** რა საშინლად თქვა: მე შენ არ დამავიწყდებიო.

**ბებია.** უწინ არავინ ასე არ გველაპარაკებოდა: ცუდი დრო დაგვიდგა, ცუდი დრო.

**ტელ.** ჩვენზეა დამოკიდებული— კარგ დროდ გადავაქციოთ! ტყუის ჰესლერი! ამ მთებში ის კი არა, ჩვენ ვართ ბატონი! ტყუილად კი არ შეეშინდა გაზაფხულის ქარბუქის.

**ჰედვიგა.** ნუ ლაპარაკობ ასე... გაგიგონებს.

**ვ. ტელ.** *(მკაცრად)*, ჰედვიგა, წადი, ვახშამი მოამზადე. ყველანი მშივრები ვართ და წვიმაც ახლავე დაასხამს.

**ჰედვიგა.** *(მიდის)*. რა მწყინს, რომ ის პატარა მწყემსი გოგონა ნამდვილი მწყემსი არ გამოდგა. კარგი გოგონაა!

**ვ. ტელ.** დალახვროს ეშმაკმა! გოგონა მეც მომეწონა. მგონია, დარჩებოდა კიდევაც ჩვენთან.

*(ბავშვები გარბიან).*

## გამოსვლა მე-VII.

*ვ. ტელ. ფიურსტი და მაუერ, შემდეგ ვალტერი.*

**ვ. ტელ.** *(ფიურსტს)* აბა, შენ რას იტყვი, მეგობარო...

**ფიურსტ.** სასიხარულო არაფერია.

**ვ. ტელ.** მე კი მწამს... მე მწამს, რომ დადგება დრო, და არც ისე შორს არის, როდესაც გლეხობა გასწყვეტს მონობის საზიზღარ ბორკილს და გარეკს ბატონებს წყეული ვენისაკენ.

**ფიურსტ.** ძველი თქმულებაა, რომ ეს უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც როზენვალდის კლდე მოსკდება და ბარში ჩამოვარდება.

**მაუერ.** როზენვალდის კლდე? მე დღეს სწორედ იქ ვიყავი; რაღაც სასწაულით არის გამაგრებული, ქვეშ ნიადაგი სულ დაწეულია. საკმაოა ერთი დავკრა, რომ...

**ვ. ტელ.** რას ამბობ?

**მაუერ.** მოსკდება და ჩაგორდება ბარში!

**ვ. ტელ.** *(სტაცებს ხელს ხელში)* მართლა? შენ შეგიძლია ჩამოაგდო კლდე?

**მაუერ.** *(ისწორებს კუთხეებს)*. მგონია შევიძლებ...

**ვ. ტელ.** ჩამოვარდნის ხმა მეხივით გავარდება მთელ ტბაზე. საუცხოვო ნიშანი იქნება აჯანყებისათვის.

*(ელვა-ჭექა)*

**ვალტერ.** *(უცებ გამოდის)*. აჯანყებისათვის?

**ვ. ტელ.** სწორედ, ვალტერ... ჩქარა ოთხი კანტონის ტბაზე გავარდება ხმა მომსკდარი ზვავისა და მაშინ მთელი ქვეყანა აინთება უცებ ხმელი ფიჩხივით! ხანძარი შედგებავს ირგვლივ ათას ვერსს. თვითონ იმპერატორი დაინახავს ვენაში თავის ციხე-დარბაზიდან ცეცხლის ალს, და გვირგვინი შედრკება მის თავზე! იმ დღეს ჩვენ ისევ თავისუფალი გავხდებით, როგორც მთის არწივები, და მაღალი ხმით დავსძახებთ ჩვენ ძველ სიმღერებს!

**ვალტერ.** (აღტაცებით) მამა, მე მინდა რომ ეს მოხდეს დღეს.

**მაუერ.** მე ახლავე წავალ... და ჩამოვაგდებ კლდეს.

**ვ. ტელ.** ასე ჩქარა არა, ჩემო ბავშვებო, ასე ჩქარა არა... ჯერ ყველასთვის არ შეგვიტყობინებია. ჯერ კიდევ არ არის გალესილი ყველა მახვილი. ჯერ ყველა შვილდებისათვის არ გაუბამთ ახალი ლარები.

**ჰედვიგას ხმა** (ქოხიდან) ვილჰელმ! ვალტერ! სადა ხართ?

**ვ. ტელ.** მოვდივართ! დღეს პირველი მაისია. ჯერ კიდევ სამჯერ დაიბადება და მოკვდება თეთრი მთვარე, სანამ მთელ სოფლებს შემოვივლიდეთ. ჰესლერის ჯაშუშები სწრაფი და თვალმახვილებია. იმათ არ გამოეპარებათ ჩვენი ფეხის ხმა, ჩვენი ნავების შხაპუნი. მაგრამ ჩვენ ვივლით უხმოდ, როგორც მთვარის ლანდები, და ჩვენი ნიჩბები ტბაში ჩუმად ჩაეშვებიან, როგორც ნაფირის ფიჭვების სახეები. ჩვენი პაროლი: ტყე და მთები.

(ქარი ამოვარდება).

**ყველანი.** (იმეორებენ) ტყე და მთები.

**ფიურსტ.** (იყურება ბარისაკენ) სანთლები აინთო ჰესლერის სასახლეში.

**ვ. ტელ.** წავიდეთ, ვალტერ! დედაშენი გველოდება (უცებ გაჩერდება). სადაა შენი ახალი შვილდისარი? დაკარგე?

**ვალტერ.** (შეშკრთალი). არა, მამა, არ დამიკარგავს.

**ვ. ტელ.** მაშ სად არის? (გაჩერებული ქოხის კარებში).

**ვალტერ.** (ცოტა ხნის შემდეგ). ჰერტრუდა ჰესლერს ვაჩუქე (მიდიან ქოხში).

## გამოსვლა მე-VIII.

მაუერ და ფიურსტი.

**მაუერ.** ტელი ამბობს, რომ მთვარე სამჯერ დაიბადება და მოკვდება, სანამ ნებას მოგცემ, კლდე გადმოაგდოო. სამჯერ (დაფიქრდება) ერთი.. ორი... სამი... დიდი დროა! (მიდის) იქნება მთვარემ გაიგონა ჩვენი ლაპარაკი და დაჩქარდეს. (მიდის მოსასხამში გახვეული).

**ფიურსტ.** (მარტო). კარგია, როდესაც მძლავრი ხარ კაცი, ეჰ! ჩემი მარგალიტა რომ მყავდეს, ახლა ამ ქარიშხალში მარტო წასვლა არ მომიხდება ჩემ ქოხში (მიდის).

(ქარი გრიალებს).

## მოქმედება მეორე.

მოედანი ალტდორფზე, ბაზარი.

## გამოსვლა I.

ვაჭრები მღერიან თავიანთ სავაჭროებთან.

**ცხვირსახოცების გამყიდველი.**

ცხვირსახოცი...
ათი, ოცი,
ცოლისათვის,
ქალისათვის,
თუ არ იხმარ, არ გაცვდება,
ჯიბეშიაც ჩაიდება...
აბრეშუმის და წითელი,
ტრედისფერი და ყვითელი.

**ტკბილეულობის გამყიდველი:**

მაქვს სხვადასხვა ტკბილეული,
გემრიელი ხილეული!
ამოიღეთ, თუ გაქვთ ფული,
გაუხარეთ ბავშვებს გული,
შეიწუხეთ ოდნავ თავი
და იყიდეთ საწუწნავი!

**იარაღების გამყიდველი:**

აი, შვილდი და ისარი,
თვითონ მევე გავაკეთე,
მჭრელი დანა ისეთია,
რომ ეშმაკსაც დააფეთებს.
ნუ ძუნწობთ, შვეიცარელნო,
ყმაწვილებო და ბებერნო,
ამოიღეთ მანეთები,
სხვას არა აქვს ასეთები!

## გამოსვლა მე-II

იგივენი, ოფიცერი და ყარაული.

**ოფიცერი.** (ხელში ჰესლერის ქუდი უკავია. სამჯერ დაუკრავს საყვირს, ყველანი დაჩერდებიან). მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის ნაცვალი, სახელგანთქმული და დიდებული ლანდფოგტი ჰერმან ჰესლერი ამით გიბრძანებსთ: ამ ქუდს, რომელსაც დავკიდებთ ამ ჭილოკზე (ჰკიდებს ქუდს ჭილოკზე), სალამი მისცეთ ისე, თითქოს ეს ქუდი მის, მეფის ნაცვლის, თავზე იყოს დახურული. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს, დაატუსაღებენ, როგორც იმპერატორის ხელისუფლების მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაალმდეგეს, როგორც მეფისნაცვლის ურჩ მტერს (კითხვას ათავებს). გესმით, თქვენ, გაუთლელო გლეხებო? სალამი ქუდს!

(ბევრი უკრავს თავს, ზოგი უკმაყოფილოდ დრტვინავს, ორი ყარაული დგება ჭოლოკთან).

## გამოსვლა მე-III.

იგინივე, ოფიცერს გარდა, ვალტერი და მაუერ.

**ვალტერ.** გამარჯობათ, მეგობრებო!

**ხმები.** გაგიმარჯოს, ვალტერ! აბა, ვნახოთ ახლა, დაუკრავ თუ არა თავს მეფისნაცვლის ქუდს.

**ვალტერ.** ქუდს უფრო ხალისით დავუკრავ. ვიდრე თვითონ მეფისნაცვალს.

ხ ა რ ხ ა რ ი.

1 **ყარაული.** შენ, ჰეი, ძუძუმწოვარავ, სიცილის ნება არ არის!

**ვალტერ.** აბა, ტირილს გვიბრძანებთ?

2 **ყარაული.** არც ტირილის ნებაა.

**ვალტერ.** მაშ, რას გვიბრძანებთ?

1 **ყარაული.** ხმა გაიკმინდე! აი, რას გიბრძანებენ.

2 **ყარაული.** და თავი დაუკარი.

**ვალტერ.** (თავს უკრავს) გამარჯობა, ჰესლერ, რა მოგივიდათ, რომ ასე გამხდარხართ?

ხ ა რ ხ ა რ ი.

1 **ყარაული.** ჰეი, ასეთს გთხლიშავ ამ ჩემი შუბით, რომ...

**ვალტერ.** (რაღაცას ეჩურჩულება მაუერს).

**ხმები.** ეყოფა მეფისნაცვალს ჩვენი აბუჩად აგდება!

**ბაუერი** (მღერის).

ნიავი, ნაზი ნიავი,
მთებში ცელქობდა, ხტებოდა,
ნიავი, ნაზი ნიავი
ფოთლებს ეთამაშებოდა:—
როგორი დადგა დროება,
სჭირს სამშობლოში ცხოვრება!

1 **ყარაული.** ჰეი, შენ, არ შეიძლება ამნაირი სიმღერის მღერა.

2 **ყარაული.** აბა, ერთი მოკიდე მაგას ხელი.

მიდიან მაუერთან, მაუერი მოხვევს. ორივეს მკლავებს, მუხრუჭივით მოუჭერს ხელებს და განაგრძობს სიმღერას. სანამ ის მღერის, ვალტერ ართმევს ერთ ვაჭარს ხერხს და ნახევრად გადახერხავს ჭოლოკს.

**მაუერი** (მღერის).

ნიავი, ნაზი ნიავი,
მონადირეებს ხვდებოდა,
ნიავი, ნაზი ნიავი
მათ ყურში ეუბნებოდა:
აბა, ჰერი, ჰერი, ჰერი,
ძირს ჰესლერი, ძირს ჰესლერი!

(გაუშვებს ხელს).

**ბიჭები** (ბანს აძლევენ). ძირს ჰესლერი, ძირს ჰესლერი.

1 **ყარაული.** ნამდვილი დათვია!

2 **ყარაული.** სწორედ დათვია. ჰეი, შენ, ვინ ყვიროდა ძირსო, შენ ყვიროდი? შენ ყვიროდი?

(ბიჭები გარბიან, თავს არიდებენ მათ).

## გამოსვლა მე-IV.

იგინივე, ვილჰელმ ტელ და ფიურსტ).

**ვ. ტელ** გამარჯობა, მოხუცო! (ერთ ვაჭარს) ტყე და მთები.

1 **ვაჭარი.** გაგიმარჯოს, ტელ. მთები და ტყე.

**ვ. ტელ.** (მეორეს) როგორია ხარ, მეგობარო? ტყე და მთები.

2 **ვაჭარი.** შენ როგორ ხარ? მთები და ტყე.

**ვ. ტელ.** (ბიჭს). გემრიელი მყინვარე შაქარი გაქვს? ტყე და მთები.

**ბიჭები.** გემრიელი და ცივი, ყინვასავით. მთები და ტყე.

**ფიურსტ.** ყველამ იცის ჩვენი პაროლი.

(სიტყვებს „ტყე და მთები“ და „მთები და ტყე“ ყველანი ნელის ხმით წარმოსთქვამენ).

**მაუერ.** ტელ, დღეს დაიბადა მთვარე მესამეჯერ. ტყე და მთები.

**ვ. ტელ.** კარგი დათვლა გცოდნია, მაუერ. მთები და ტყე. ვის იჭერენ იქ ყარაულები?

**არარივ. ვაჭარ.** იმათ, ვინც თავს არ დაუკრავს ჰესლერის ქუდს, აი, იქ ჭოლოკზე რომ ჰკიდია. ხომ არ გინდა, ტელ, სალამი მისცე.

**ვ. ტელ.** სალამი მივცე ქუდს! ხა-ხა-ხა. (ყარაულებს) მეგობრებო, უთუოდ თქვენ სრულიად არ გცხავთ თქვენ მუზარადებში, რომ ასე დარბიხართ წინ და უკან.

1 **ყარაული.** შენ შენ გზაზე წადი!

2 **ყარაული.** მხოლოდ ჯერ ქუდს დაუკარი თავი.

3 **ტელ.** (1-ლ ყარაულს). შენ მოგიკითხა მამიდაშენმა შულცმა, იმან, რომელმაც შენ გამოგ-

ზარდა, მშობლების გადაცვალების შემდეგ რომ დაობლდი... იჩქარე, ნახე, თორემ ჩქარა მოკვდება შიმშილისაგან: გუშინ ჰესლერმა უკანასკნელი ძროხა წაართვა. (მეორე ყარაულს) მამაშენი იქ მოკვდა საპატიმროში, რომელსაც შენ ყარაულობდი. რამდენი მოკცა ამისთვის შენ ჰესლერმა?

**1 ყარაული.** ეი, შენ, ბევრს ნუ ლაყბობ!

**2 ყარაული.** წადი, ტელ, შენ გზაზე.

**ვ. ტელ.** გრცხვენოდესთ. ნუთუ საკმაო თავზე ჩაფხუტი დაიხუროთ და ხელზე ხელთათმანები ჩაიცვათ, რომ ურჩი მგლები მშიშარა ძაღლებად გადაიქცეთ? ძაღლებს სცემენ, მაგრამ ისინი ყველაფერს ითმენენ, ოღონდ ბატონმა გამოხრული ძვლები გადაუყაროს. განა ჩვენ ერთად არ დავდიოდით სანადიროდ, როცა პატარა ბიჭები ვიყავით? (დანარჩენი ყარაულები უახლოვდებიან და ყურს უგდებენ). განა თქვენ ამ ხეობაში არ დაიბადეთ, განა ჩვენ ერთად არ ვბანაობდით ჩვენ რეჰანსავით ცისფერ ტბაში? რა არის თქვენთვის ჰესლერი? რა ხართ თქვენ ჰესლერისათვის? ნუთუ შეიძლება ადამიანის გულის ყიდვა ფულით? აი, ჰესლერმა ჩამოჰკიდა ჭოლოკზე ქუდი და ბრძანება გასცა, თაყვანი ეცითო. განა ჰესლერმა არ გაავსო ციხეები ჩვენი ძმებით? განა ასობით არ ჩამოახრჩო მან სრულიად უდანაშაულო ჩვენი სოფლელები ჩვენი სამშობლოს ასწლოვან ფიჭვებზე? აბა, თქვენ, შეიცარიელებო! დაუკარით თავი მის ქუდს! თაყვანი ეცით! მე კი მაგრად ჩამოვიცვამ ქუდს თავზე და შევძახებ მათ, ვისაც ჰესლერმა ჯერ კიდევ მთლად ვერ დაუყრუა ყური თავისი წყეული ოქროებით: კმარა!

**ხმები.** კმარა!

(ყარაულების ერთი ნაწილი უერთდება მოპასუხეთ, ნაწილი კი უვირის: დაუკარით თავი ქუდს. ხმაურობა და არეულობა).

**ხმები.** ჰესლერი მოდის! ჰესლერი მოდის!

(ბევრი მირბის, ვაჭრები საჩქაროდ ალაგებენ საქონელს. ჩოჩქოლია. უცებ სიჩუმე ჩამოვარდება).

## გამოსვლა მე-V.

(იგინივე, ჰესლერი, რუდოლფ და ჰერტრუდა).

**ჰესლერ.** რა ამბავია? ვაჭრებმა ხომ ჩხუბი არ ატეხეს ბაზარში?

**1 ყარაული.** აი, ამ გლეხმა თავი არ დაუკრა ქუდს.

**ჰესლერ.** (ვერ ცნობს ტელს). მერე, რა? თქვენ დაგავიწყდათ ბრძანება? წაიყვანეთ ციხეში. რა არის აქ სალაპარაკო!

**ვ. ტელ.** (გამოუსხლტება ყარაულებს). გამიშვი, მეგობარო, მე ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ მსურს ვიბაასო ამის შესახებ.

**რუდოლფ.** ეს ის მონადირეა! ის მონადირე!

**ჰესლერ.** რომელი მონადირე?

**რუდოლფ.** აი, მაშინ მფრინავი არწივი რომ ჩამოაგდო. ჩასვი ეგ ციხეში, მეშინია მაგისი.

**ჰერტრუდა.** ეს ვილჰელმ ტელია! ვალტერ? სადაა ვალტერ?

**ვალტერი.** მე აქა ვარ, ჰერტრუდა!

**ჰერტრუდა.** შენი შვილდ-ისარი ისევ უვნებლად მაქვს. მე უკვე ვისწავლე შვილდის მოწევა და ისრის ნიშანში მოხვედრა.

**ჰესლერი.** ჩუმად! (ვ. ტელს). გამარჯობა, მეგობარო! მე ძალიან კარგად მახსოვხართ შენც და შენი მამაცი შვილიც... მაშ ეს შენ არ გინდა დაუკრა თავი ჩემ ქუდს? აბა, რასაკვირველია! აბა, როგორ ეკადრება ამისთანა დიდებულ მონადირეს ქუდი მოიხადოს ვიღაც მეფისნაცვლის ქუდის წინაშე. (უცებ გაბრაზდება) ყური მიგდეთ თქვენ, გაუთლელო გლეხებო! მე მახვილი ყური მაქვს და თქვენ კი ზორბა ყრონტი. ამიტომ მე ბევრი რამ მესმის ისეთი, რაც თქვენ არ გსურთ რომ მესმოდეს! მე ვიცი, რომ თქვენ ღამღამობით იკრიბებით მშიერ მგლებივით ტბის უდაბურ ნაპირებზე და მუშტებით ემუქრებით ჩემ სასახლეს! აი, რას გეტყვით მე თქვენ: თავი დაანებეთ თქვენ ამ სისულელეს! ჩემი ხელისუფლება ურყევია, აი, ამ ჭოლოკით! (დასჭკრავს თავის ჯოხს ჭოლოკს, ჭოლოკი ტკაცანით გადატყდება).

**რუდოლფ.** ვიღასაც გადაუხერხავს ჭოლოკი.

**ჰესლერ.** ვინ გადახერხა ჭოლოკი? (სიჩუმე) ძალიან კარგი! (ტელს) ამისთვის შენ აგებ პასუხს.— (გაუქნევს ჯოხს).

**ვალტერ.** (დადგება მამის წინ) მე გადავხერხე.

**ვ. ტელ.** სულელი ბიჭი...

**რუდოლფ.** დასაჯე ერთი ძალიან.

**ჰერტრ.** (სტაცებს ხელში ხელს ჰესლერს) აპატიე. მე გთხოვ აპატიოთ! მე დარწმუნებული ვარ, რომ ჭოლოკი გადახერხა... უცაბედად.

**რუდოლფ.** არა, განგებ! არა, განგებ!

**ჰესლერ.** ნუ ჩხუბობთ. მე, რასაკვირველია, ვაპატიებ. დამშვიდდი, ჰერტრუდა, და გახსოვდეს, რომ მეფისნაცვლის ძმისწულმა უნდა იცოდეს თავის დაჭერა... მიპატიებია შენთვის, დიდებულო მონადირის შვილო. (კმაყოფილების ჩოჩქოლი) მიპატიებია შენთვისაც, დიდებულო მონადირევ (ისევ კმაყოფილების ჩოჩქოლი) მიპატიებია თქვენ ორივესთვის, მაგრამ მე ძალიან მომეწონა, ვილჰელმ ტელ, შენი ისრის სროლა... მინდა ერთხელ კიდევ დავტკბე შენი ხელოვნური სროლის ხილვით.

**ვ. ტელ.** მიბრძანეთ და მე მოვახვედრებ სწორედ ნიშანში, როგორიც უნდა იყოს ის, თუ ისარი შესძლებს მიღწევას.

**ჰესლერ.** შორს აღწევს შენი ისარი?

**ვ. ტელ.** ასი ნაბიჯის მანძილზე მოვახვედრებ, აი, ამ ვაშლს (ართმევს ვაშლს ვაჭარს).

**ჰესლერ.** (ართმევს მას ვაშლს) საუცხოვოა... თქვენ, უთუოდ, ყველას გსურთ ნახოთ და დატკბეთ ტელის სროლით, არა?

**ხმები.** ოჰ, რასაკვირველია!

**ჰესლერი.** (ტელს). მაშ ესროლე და გადმოაგდე ეს ვაშლი შენი შვილის თავიდან (ხალხში შეშფოთებული ჩოჩქოლი).

**ჰერტრ.** რაო? რაო?

**რუდოლფ.** ოჰ, რა საინტერესოა!

**ჰერტრ.** მე არ მინდა! მე არ მინდა.

**ჰესლერ.** (გაბრაზებული) კმარა! მომბეზრდა ეს ბოლოს და ბოლოს. წაიყვანეთ ახლავე სახლში.

**ჰერტრ.** მე არ წავალ, არ წავალ.

**ჰესლერ.** (ყარაულებს) წაიყვანეთ ახლავე.

**ჰერტრ.** სინჯეთ ერთი, ხელი მახლეთ!

**რუდოლფი.** წადი ახლავე!

**ჰერტრ.** (უსხლტება ხელიდან) არ მომეკაროთ.

**ვალტერ.** ნუ გეშინია, ჰერტრუდა, ეს სრულიადაც ისე საშიში არ არის. მე სრულიადაც არ მეშინია.

**ჰერტრ.** მართლა?

**ვალტერ.** ჩვენი ტყის კანტონები სახელგანთქმულია ისრის მსროლელობით და ვილჰელმ ტელი კი პირველია იმათში.

**ჰესლერ.** ესროლე!

**ვალტერ.** (მამას) გადმომიგდე ვაშლი.

(მამა გადაუგდებს, დაიჭერს და მიაქვს. ისმის სცენის გარედან მისი ძახილი: „ასი ნაბიჯია“).

**ფიურსტ.** მეგობარო, არ შედრკე.

**ვ. ტელ.** (ერთ ისარს ინახავს გულზე, მეორეს კი ადებს მშვილდს) ჩუმად!

(სიჩუმე ჩამოვარდება).

**ჰესლერ.** მე ვითვლი სამს, და, თუ მესამეჯერ არ ისვრი, შენ შვილს ჩამოვახრჩობ... ერთი... ორი... სამი...

(ტელი გაისროლის ისარს).

**ყველანი.** ვაშლი გადმოვარდა.

**ფიურსტ.** რა ბედნიერებაა!

(ვალტერს მოაქვს ისრით გაგმირული ვაშლი და აგდებს ჰესლერის ფეხებთან).

**რუდოლფ.** მხოლოდ ეს იყო?

**ჰერტრ.** არ გინდა, რომ შენი თავიდანაც გადმოაგდონ ვაშლი?

**ჰესლერ.** ყოჩაღ, ტელ, ყოჩაღ! ერთი მითხარი, რისთვის შეინახე გულზე კიდევ ერთი ისარი?

**ვ. ტელ.** რომ ამეცდინა, ამ ისრით გავგმირავდი შენ გულს.

**ჰესლერ.** მე იმედი მაქვს, ვილჰელმ ტელ, რომ ჩვენ უკანასკნელად არ ვხვდებით ერთმანეთს... (დაცინვით) თავისუფალი შვეიცარია!

**ვ. და ყველანი ერთად.** თავისუფალი შვეიცარია!

**ჰესლერ.** (შეკრთება და უნებურად უკან დაიხევს. მერე მკვახედ რუდოლფს) წავიდეთ, სასახლეში გველოდებიან!

## გამოსვლა მე-VI.

იგინივე, გარდა ჰესლერისა, რუდოლფისა და ჰერტრუდასი.

**ფიურსტ.** შენი ისრის გასროლის შესახებ, ტელ, იმღერებს ჩვენი შთამომავლობა.

**მაუერ.** (მიდის მათთან) როდის გადმოვაგდო კლდე? მე აღარ მინდა მეტი მოცდა.

**ვ. ტელ.** სამი დღის შემდეგ სასახლეში რუდოლფის დაბადების დღეს დიდი წვეულება ექნებათ. ამ წვეულებაზე მთელი დიდკაცობა მოიყრის თავს.

**ვალტერ.** კიდევ ეს გრძელი სამი დღე...

**ვ. ტელი.** ისე გაირბენს, როგორც სამი წამი. მზის ჩასვლისას, მაუერ, კლდესთან უნდა იყო. როდესაც სასახლის კოშკზე საყვირი დაიყვირებს...

**მაუერ.** რომ არ გაისმას?

**ვ. ტელ.** მაშინ ან დაივიწყე რა არის თავისუფლება, ან გადახტი თვითონ უფსკრულში, რადგანაც ეს იმის ნიშანი იქნება, რომ გაიმარჯვა ჰესლერმა.

**ვალტერ.** საყვირი დაიყვირებს, საყვირი დაიყვირებს... (ვაჟრები ჯგუფ-ჯგუფად მიდიან, რადაცას ჩურჩულით მსჯელობენ).

**მაუერი.** მაშ, ასე, სამი დღის შემდეგ... ტყე და მთები...

**ფიურსტ.** სსსუ... აქ, ბუჩქებში რაღაცამ გაიშრიალა.

**ვ. ტელი.** გველია ან ხვლიკი... (ვალტერ ესვრის ქვას ბუჩქში). დიაღ, სამი დღის შემდეგ. მთები და ტყე. (მაუერი და ფიურსტი მიდიან).

**ვ. ტელ.** (ალერსით) აბა, ვალტერ, შენ თუმცა პატარა ბიჭი ხარ, მაგრამ დღეს ნამდვილი მთის მონადირესავით გეჭირა თავი. მადლობელი ვარ შენი, ვალტერ.

**ვალტერ.** (იცინის) მადლობელი მე ვარ შენი, რომ ხელი არ ააცდინე. მაგრამ ჰერტრუდა ხომ საუცხოო გოგონაა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვ. ტელ.** მართალია, ოქრომ ვერ დააბრმა-ვა ჯერ. აბა, ჩაჯექი ახლავე ნავში და წადი ურში. უთხარი... ყველას... ტყე და მთები.

**ვალტერი.** ტყე და მთები. (ყველანი მიდიან სხვა-დასხვა მხრით).

## გამოსვლა მე-VII.

რამოდენიმე ხანს სცენა ცარიელია. მერმე ბუჩქებიდან გამოდის ჯაშუში. ისრესავს ქვით და-შავებულ მხარს, იქით-აქეთ იყურება და ქურდუ-ლად მისდევს ვალტერს.

## მოქმედება მე-III.

ჰესლერის სასახლეში.

### გამოსვლა პირველი

1-ლი და მე-2-ე ყარაული, მერე ჯაშუში.

**1 ყარაული.** შენ, ჰეი! რაო, რომ ხვნეში, თითქოს ზურგზე წისქვილის დოლაბები აგკიდეს.

**2 ყარაული.** დიაღ, ცუდია, ძმავ. მართლაც, მამაჩემი სატუსაღოში მოკვდა და მე კი...

**1 ყარ.** მგონია, მართლა არ სტყუოდა ვილ-ჰელმ ტელი მაშინ, მშიშარა ძაღლები რომ დაგვიძახა.

**2 ყარ.** ოდესღაც ხომ ჩვენც, მე და შენ, მთებში სიმღერებს დავძახოდით შვეიცარიის თა-ვისუფლების შესახებ.

**1 ყარ.** ეს შენ შემაცდინე და წამომიყვანე მეფისნაცვლის სამსახურში.

**2 ყარ.** სტყუი! მე კი არა, შენ შემაცდინე.

**1 ყარ.** არა, შენ!

**2 ყარ.** ეს შენ იყავი!

**1 ყარ.** სტყუი!

**2 ყარ.** სტყუი! (მიიწევენ ერთმანეთისაკენ სა-ჩხუბრად).

**ჯაშუში.** მე უნდა ვნახო მათი უგანათლებუ-ლესობა!

**1 ყარ.** შენ კიდევ დასაბეზღებლად მოხვედი?

**2 ყარ.** დაიკარგე აქედან.

**ჯაშუში.** გამატარეთ . . . . . . . . .

**1 ყარ.** მის უგანათლებულესობას დღეს შენ-თვის არ სცალია.

**2 ყარ.** მისი უგანათლებულესობა დღეს წვეუ-ლებისათვის ემზადება საქეიფოდ.

**1 ყარ.** და შენი ყბედობის მოსასმენად დრო არა აქვს.

**ჯაშუში.** (აჩვენებს განსაკუთრებულ ნიშანს) გვირ-გვინი და ტახტი.

**ორივე. ყარ.** ტყე და მთები! (გინწისკვრით გამოაგდებენ ჯაშუშს და შემდეგ თვითონ გამოდიან).

## გამოსვლა მე-II.

ჰერტრუდა და რუდოლფი.

**ჰერტრ.** (შემორბის, ხელში მტრედი უჭირავს). ეს შენი კი არა, ჩემი მტრედია.

**რუდოლფი.** არ გაბედო გაშვება.

**ჰერტრუდა.** (გააქცევს რუდოლფს და გაუშვებს მტრედს ფანჯარაში). გაფრინდი!

**რუდ.** როგორ ჰბედავ? შენ უნდა გახსოვდეს, რომ მე დღეს სწორედ თორმეტი წლის გავხდი. და ეს ნიშნავს, რომ მე მთელი წლით შენზე უფრო დიდი და ჭკვიანი ვარ.

**ჰერტრ.** მე ყველგან მარტო დავდივარ და შენ კი გეშინია. მე ვალტერ ტელმა მშვილდ-ისარი მა-ჩუქა, შენ კი არა.

**რუდ.** მე რომ მოვინდომო, მამა ოქროს მშვილდ-ისარს მიყიდის.

**ჰერტრ.** რა სისულელე სთქვა, ოქროს მშვილდ-ისარს არ აკეთებენ.

**რუდ.** მე მოვინდომებ, — და გააკეთებენ. და შენი ვალტერი თუ ჩამივარდა ხელში, ისეთს ვცემ, რომ...

**ჰერტრ.** შენ სცემ?

**რუდ.** მე!

**ჰერტრ.** შენ ის ნეკით მიგბეგვავს.

**რუდ.** რაო?

**ჰერტრ.** ვალტერ მოდის!

**რუდ.** (შეშინებული) სად?.. სად?..

**ჰერტრ.** აჰა, შეგაშინა?.. მე გოგო ვარ და შენზე ყოჩაღი ვარ მაინც. (გამოსტაცებს წელზე ჩამოკიდებულ ხანჯალს). წამართვი, აბა, ნახე ერთი.

**რუდ.** მოიტა აქ ახლავე! (მისდევს დასაჭერად).

**ჰერტრ.** ციფ... ციფ... ციფ...

**რუდ.** შენ იმიტომ მოგიყვანეს, რომ მე მხია-რულად ვყოფილიყავი, და შენ კი მაჯავრებ.

**ჰერტრ.** ციფ... ციფ... ციფ... მე დედოფალა არა ვარ და არც სათამაშო.

**რუდ.** მამამ ერთხელ სთქვა, რომ მემკვიდრე-ობა რომ არ ჰქონდეს, დიდიხანია გავაგდებდიო.

**ჰერტრ.** ციფ... ციფ... ციფ...

**რუდ.** (მისდევს ჰერტრუდას და ბოლოს წამოედება სკამს, დაეცემა, ტირის). საძაგელი გოგო. აი, მე ვეტყვი მამას! (მიდის).

## გამოსვლა მე-II.

ჰერტრუდა, მერე ჯაშუში.

**ჰერტრ.** (გადაუგდებს მიმავალ რუდოლფს ხანჯალს) აჰა... აჰა, მტირალა... არა! მთებში ცხოვრება ბევ-რად უფრო სასიამოვნოა!

**ჯაშუში.** (დაგლეჯილი ტანისამოსი აცვია, შემორბის და მაშინვე მოხურავს კარებს). სად არის მეფისნაცვალი? გვირგვინი და ტახტი!

**ჰერტრ.** რა გნებავთ თქვენ?

**ჯაშუში.** ქალბატონო ჰერტრუდა... ღალატია! ყარაულებს არ უნდოდათ ჩემი აქ შემოშვება, მე კი ნამდვილი ცნობები მაქვს მოსახსენებელი. გვირგვინი და ტახტი. (აკეთებს ნიშანს).

**ჰერტრ.** (სასტიკად იმეორებს ნიშანს) ტახტი და გვირგვინი... მაგრამ მე არ ვიცი, სად არის მეფისნაცვალი... წვეულებისათვის ემზადება.

**ჯაშუში.** ყოველი წუთი ძვირფასია... სამი დღის წინ მე გავიგონე ტელისა და სხვა გლეხების ლაპარაკი... სწორედ დაღუპვისათვის აპირობენ ქეიფის დროს შემოპარვას სასახლეში...

**ჰერტრ.** მერე, მერე..

**ჯაშუში.** უნდა ხელისუფლება ჩაიგდონ ხელში... მე დავზვერე ტელის შვილი ვალტერ... ნავით წავიდა ურში. ჩემი თანაშემწე, რომელიც მე მაშინვე გამოვგზავნე ჰესლერთან, გლეხების მხარეს გადავიდა .. იმათი პაროლია—ტყე და მთები. როდესაც ვალტერის ნავი მოშორდა ნაპირს, მე ავიღე ჩემი შურდული.

**ჰერტრ.** (შეშინებული) რაო?

**ჯაშუში.** ამოვარჩიე კარგი, რგვალი ქვა და ვისროლე...

**ჰერტრ.** აჰ...

**ჯაშუში.** მაგრამ ავაცდინე!

**ჰერტრ.** (გახარებული) რა კარგია... ესე იგი... აჰ, რა ცუდია.

**ჯაშუში.** მცველები აჯანყებულების მხარეს გადადიან.

**ჰერტრ.** ყველანი?

**ჯაშუში.** ავსტრიელებიც კი, ვენიდან ჩამოსულები, თავისუფლების შესახებ მსჯელობენ, და ლანძღავენ დიდებულებს... მე ახლავე მივრბივარ, შევატყობინო ყველას, ვინც ერთგულია. თუმცა ერთგულნი ცოტანი-ღა დარჩენ. უთხარით ყველაფერი ეს ჰესლერს! გვირგვინი და ტახტი! (გადახტება ფანჯარაში).

## გამოსვლა მე-IV.

(ჰერტრუდა, ჰესლერ, რუდოლფი)

**ჰესლერი.** შენ კიდევ აჯავრებ რუდოლფს? საზიზღარო გოგო, ხვალვე გაგგზავნი ისევ ვენაში. დღეს კი მხიარულების მაგიერ იჯექი შენ ოთახში.

**ჰერტრ.** არც მინდა მე თქვენი მხიარულება. აი, ახლა განგებ არაფერს აღარ გეტყვით.

**ჰესლერი.** ეს კიდევ რას ნიშნავს?

**ჰერტრ.** ეს ნიშნავს: ტყე და მთები... არავის თქვენ არ უყვარხართ და არც ეშინია თქვენი. (მიდის).

**რუდ.** (სლუკუნებს). სთქვა, რომ ვალტერი შენზე ლონიერიაო.

**ჰესლერი.** ხვალვე გავგზავნოთ ვენაში. (ტაშს შემოჰკრავს) გაშალეთ სუფრა. ერთი საათის შემდეგ სტუმრები შემოიკრიბებიან.

(სცენაზე ბნელდება. ცოტა ხნის შემდეგ დაიწყება მუსიკა. როდესაც სცენა განათდება, სიღრმეში გამოჩნდება მდიდრულად მორთული სუფრა და მორთული ქალ-ვაჟები წყვილ-წყვილად მიდიან მუსიკის ხმაზე. დასხდებიან მაგიდასთან. რუდოლფი ზის ჰესლერის გვერდით).

## გამოსვლა მე-V.

(იგინივე და ჯაშუში).

**ჯაშუში.** (მიიპარება ჰესლერთან) ის, რაც გითხრა ჰერტრუდამ, სრული ჭეშმარიტებაა.

**ჰესლ.** (სილას გააწნავს) აჰ, შე საზიზღარო. შენც მიბედავ იმის თქმას, რომ მე არავის არ ვუყვარვარ? და არავის ეშინია ჩემი? (ჯაშუში გაჰქავთ).

**ხმები.** მომღერალი! მომღერალი!

## გამოსვლა მე-VI.

(იგინივე და ტელ, მომღერლად გადაცმული).

**ვ. ტელ.** (მღერის).

მეფემ იხმო მომღერალი,
უთხრა:—აბა, ჩემო კარგო!
ჯერ მიირთვი ქადა, ღვინო
და შემდეგ კი უნდა მარგო...

გთხოვ გაართო დღეს სტუმრები,
ჩემი ძმები, მეგობრები!
უპასუხა მომღერალმა:

— მზარეული თუმც ამზადებს
გემრიელსა მწვადს და ქადებს,
მაგრამ ყველა ჩანთქას წყალმა...
აბა, რაღა მემღერება,—
როცა ვხედავ, თუ რაც ხდება,

მოუსპეს თავისუფლება
და ციხეში სული ხდებათ
ჩემს ძმებსა და მშობელთ—ყველას!
არსაიდან ველით შველას!

მეფე გაწყრა და უბრძანა:
აწამეთ ეს მომღერალი!
ვერ შეჭამა მწვადი, ქადა
ისე დახუჭა მან თვალი!

**რუდ.** მე სრულიადაც არ მამხიარულებს ეს სიმღერა.

**ჰესლ.** (მოდუშული) რა სულელური სიმღერა წამოიწყე! იმღერე ისეთი რამ, რომ ყველანი წამოხტენ და ცეკვა დაიწყონ, როგორც ქორწილში. აბა, (გადაუგდებს ოქროებით სავსე ქისას).

**ვ. ტელ.** (ქისას არ იღებს მღერის).

ჩემო შვილო, შენ ნუ სტირი,
კიდევ ცოტა მოიცადე...
საზეიმოდ მოემზადე,
აგვშორდება გასაჭირი!

თუმც-კი ბევრი განვიცადეთ!..
ბედიც მალე გაგვიღიმებს,
და წელშიაც ვავსწორდებით.
ჩვენი პაროლი იქნება:

ტყე და მთები, ტყე და მთები!
(მოიხსნის ნიღაბს და წვერებს)
ტყე და მთები, ტყე და მთები!

**ხმები.** (სცენის გარედან) მთები და ტყე, მთები და ტყე!

**ვ. ტელი.** აჰა, აი, ესეც! ყველანი წამოხტენ, იცეკვეთ ახლა.

**ჰესლ.** ჰეი, აქეთ! გვირგვინი და ტახტი.

**მცველები.** ტყე და მთები!

**ჰესლ.** ღალატი... (ისმის ნიშნეული საყვირის ხმები და შორეული გუგუნი, რომელიც უფრო და უფრო ახლოვდება).

## გამოსვლა მე-VII.

(იგინივე, ვალტერი, ფიურსტი, და სხვა შვიცლონები).

**ვ. ტელი.** ფიურსტ, ვალტერ, გესმით, მეხი გავარდა! ეს როზენვალდის კლდე გადავარდა ბარში. ჰეი, მეგობრებო, მონადირენო! შეჰკარით ყველანი.

**ჰესლ.** (ამოიღებს მახვილს) იქით... რუდოლფ! გვირგვინი და ტახტი.

**ვ. ტელი.** ტყე და მთები. (იბრძვიან მახვილით)

**ჰესლ.** გვირგვინი და ტახტი! (უცებ წააქცევს ტაბურეტს ტელის ფეხ ქვეშ და მივარდება ფანჯარაში გადასახტომად. შვეიცარიელები იჭერენ. სცდილობს გამოუსხლტდეს ხელიდან. ბრძოლაში ტანისამოსი გაეხევა).

**ფიურსტი.** გველეშაპი აქვს გულზე! გველეშაპი აქვს გულზე (მივარდება ჰესლერს). სადაა ჩემი შვილი? შენ მომტაცე ჩემი გოგონა...

**ჰესლ.** შენი შვილი? გაგიჟდი თუ? მე რა ვიცი?

**ვალტ.** ფიურსტ, ფიურსტ, მე გეტყვი. სად არის შენი ქალიშვილი. სად არის ჰერტრუდა?...

## გამოსვლა მე-VIII.

(იგინივე და ჰერტრუდა).

**ჰერტრ.** (შემორბის) აქა ვარ...

**რუდ.** ვაი, მეშინია!

**ფიურსტ.** ჰესლერ, მითხარი, ვისი არის? გეფიცები, გადაგარჩენ, მაგრამ თუ არ იტყვი... (მიაბჯენს ხანჯალს გულზე).

**ჰესლ.** მარგალიტა ფიურსტია!

**ფიურსტი.** (ჩაიკრავს გულში ჰერტრუდას) ჩემო შვილო, ჩემო შვილო!

**ჰერტრ.** (ტაშის კვრით) ტყე და მთები!

**ვ. ტელ.** (აჩვენებს ჰესლერზე; რუდოლფზე და სხვებზე) შეჰკარით ყველანი და წაიყვანეთ ციხეში. ჩვენ მაგათ ნუ დავხოცავთ. გავიყვანოთ ხვალ შარა გზაზე და ვუთხრათ: გაგვეცალონ. (ყველანი მიჰყავთ).

ახლა, მეგობრებო, დამშვიდებით. ხელისუფლება ჩვენ ხელშია, მაგრამ ჩენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ღირსი ვართ ამ ხელისუფლების. ფიურსტ, შენ მოასწრებ დასტკბე მარგალიტას ცქერით, ახლა — საქმეა. ჯარისკაცები ყველანი ჩვენს მხარეზეა?

**ხმები.** (ეზოვლის მხრით) ჩვენს მხარეზეა.

## გამოსვლა მე-IX.

იგინივე, ჰესლერისა, რუდოლფისა და სტუმრების გარდა, და მაუერ.

**მაუერი.** უფ!.. კლდე უფრო მძიმე გამოდგა, ვიდრე მე ვფიქრობდი.

**ყველანი.** გაუმარჯოს მაუერს!

**მაუერი.** (ისხამს თასში ღვინოს). გაუმარჯოს თავისუფლებას! (ვ. ტელი ართმევს ღვინოს და გადააქცევს).

**ვ. ტელი.** ჩვენ დაგისხამთ შენ ჩვენ ძველ, მთის ღვინოს.. მხოლოდ ხვალ, დღეს კი არა. (აჩვენებს ფანჯრისაკენ) ყველგან მთებში ცეცხლია გაჩაღებული. ტყის კანტონები ალსდგა... მთელი გლეხობა, ყველა მონადირეები ალსდგენ ბატონების წინაალმდეგ .. გესმით, როგორ ზრიალებენ ზარები, როგორ ყვირიან საყვირები? უპუ იძახის გამარჯვების სიმღერას.. დიაღ, ჩვენ ახლა შეგვიძლია ვიმღეროთ ჩვენი სიმღერები უშიშრად, რომ ვინმე ბოროტმა არ გაგვიგონოს! წავიდეთ მთებში, მეგობრებო, წავიდეთ მთებში.

**ვალტერი** (ხალხს).

თუ მოგწყინდათ ბარად ყოფნა,
ჩვენ გვესტუმრეთ მაღალ მთებში,

ააფრენთ და გადაგარბენთ
ბილიკებზე დიდ კლდეებში;

შეგაყვარებთ ალპიური
მცენარეთა საამო სუნს,
სუფთა ჰაერს თქვენ იგემებთ,
გარემოსაც ვერ დასდებთ წუნს.

მთის წყაროში ჭრელი, ცელქი
კალმახები დასცურავენ,
და ღრეებში ნიავ-ქარნი
გუგუნითა აღნიშნავენ,—

კარგად მსროლელ ვილჰელმ ტელზე,
ხალხის მტერი რამ გადენა,
გაიმარჯვა, მშვილდ-ისარი
სტყორცნა და შორს გადადენა...

წამობრძანდით, ჩვენსა, ჩვენსა,
დაიჯერეთ და იწამეთ,—
მაგრამ ახლა გვიანია,
რადგან დადგა უკვე ღამე!
(სცენაზე დამდება. ფარდა.
დასასრული).

# გამოქვაბულთა დროის ადამიანები მე-20 საუკუნეში.

გამოქვაბულთა დროის ადამიანების არსებობა ჩვენ საუკუნეში, როდესაც მეცნიერებამ უმაღლეს დონეს მიახწია და როდესაც მთელი დედამიწის ზურგი გაცნობილი და შესწავლილია,—დაუჯერებელ ამბავს წაავავს.

მიუხედავად ამისა, ეს ფაქტია. აფრიკის ჩრდილო ნაწილში, შუაგულ ტუნისში, უკანასკნელ წლებში აღმოაჩინეს რამდენიმე ტომი, რომელნიც აქამდე პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებას ვერ გასცილებიან.



ქალ. დიურატი.

აფრიკის მოხეტიალე და მესაქონლეობის მიმდევარი ტომები უთმობდენ საცხოვრებელ ადგილებს მათზე უფრო მეომარ და გამარჯვებულ ტომებს და, თავდაცვის მიზნით, გამოქვაბულებში იხიზნებოდენ.

ადგილის მდებარეობისა და ნიადაგის პირობების მიხედვით შეიქნა სხვადასხვა სახეობის საცხოვრებელი გამოქვაბული. ქალაქი დიურათი ერთ-ერთი საკვირველი ადგილთაგანია დედამიწის ზურგზე.

ურგამის ზეგანის სხვა ქალაქების დაგვარად დიურათის გამოქვაბულებებში ბინადრობს ხალხი, რომელსაც „მღოღავს“ ეძახიან: ეს სახელწოდება იმიტომ მიაკუთვნეს მას, რომ დიურათის გამოქვაბულებს, ერთი-მეორეზე აყუდებულს უსწორმასწოროდ, არც კიბეები და არც ხეირიანი გზები არ გააჩნია. მცხოვრებლები ფორთხვით მოსდევენ დაქანებულ ბილიკებს, გამოქვაბულებისაკენ რომ მიუძღვება.

ქალაქის მიდამოებში დაფანტულია თხების დიდი ჯოგები. თიკნები ხმამაღლა ბღავილით მიხტიან დიურათის ვიწრო ბილიკებზე და ისმის მწყემსი ბიჭების სტვენა, ყიჟინა და მათრახის ტკაცატკუცი. თხების ნაწილს აბანაკებენ ქვემო სართულში მოწყობილ ფარეხში, დანარჩენს კი საკვირველი სიმარდით წაასხამენ ხოლმე ზევით, რამდენიმე ასეული ფუტის სიმაღლეზე.

ნიადაგი მთის მაგარ ფენას წარმოადგენს, რომელსაც მოსდევს უფრო რბილი და ფხვიერი სილთიხა; უკანასკნელს ისევ მაგარი ფენი მოსდევს, ხოლო ამას - რბილი სილთიხა. ფენების ასეთი თანამიმდევრობის გამო დიურათში ყველა გამოქვაბული ერთგვარად არის მოწყობილი. მთის მაგარი ფენები სწევენ იატაკის და ჭერის მაგივრობას. რბილ სილთიხას ადვილად გამოსთოხნიან ხოლმე, კედლებს გალესავენ დუღაბით და ამრიგად მზადაა ოთახი, დაახლოვებით 20 ფუტის სიგრძისა, 8 ფ. სიგანისა და 8 ფ. სიმაღლისა. ამავე დროს ჭერი კამარისებურადაა გამოკვეთილი.

გამოქვაბულში არავითარი ავეჯულობა არ მოიპოება.

მამაკაცების სადგომში დგას ხანდახან საწოლი—კლდის ნატეხიდან. საწოლზე გდია ალფა-ბალახით გატენილი ლეიბი, ან შინ ნაქსოვი სქელი შალის საბანი.

დედაკაცების ნაწილში დგას საქსოვი დაზგა და გადებულია თაროები, რომელზედაც აწყვია თიხის ჭურჭელი და უზარმაზარი კოკისმაგვარი ქი-

ლები ზეთის, ზეთისხილის და ინდისხურმის შესანახავად.

შეიხის გამოქვაბულში ასეთ ქურჭელთან ერთად ხშირად შევხვდებით თუნუქის საკონსერვო კოლოფები. ეს და სააფთიაქო აბების კოლოფები ჩამოკიდებულია შეიხის გამოქვაბულში—როგორც ხელოვნების იშვიათი ნაწარმოები.

გამოქვაბულების განათება ძალიან მარტივადაა მოწყობილი.

ერთ-ერთ კედელში ამოკვეთილია რბილი სილთიხა ჯამის მსგავსად, შიგ ზეთია ჩასხმული, ჩაშვებულია მეშის პატრუქი და, ამგვარად, ლამპარი მზადაა.

ყოველი გამოქვაბულის წინ მოწყობილია პატარა აივანი-ეზო, რომელზედაც ისვენებენ და ტკბებიან სუფთა ჰაერით ქალები.

ღამით ამავე აივანზე ღამეს ათევენ თხები და ცხვრები.

დუირათი და ე. წ. „მღოღავების" სხვა ქალაქები გამოკვეთილია კლდოვან გორაკებში, რომელთა სიმაღლე ხშირად ათასს ფუტს აღემატება.

ქუჩები ტერასებივით მისდევენ ერთი-მეორეს და მიიმართებიან გორის თხემისაკენ, რომელიც ამავე დროს სიმაგრეს წარმოადგენს, სადაც ინახება საზოგადოებრივი მარაგი საზრდო სანოვაგისა თუ სხვა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ დუირათი წარმოადგენს ერთგვარ კომუნას და ამიტომაა, რომ იგი იმარაგებს სანოვაგეს საყოველთაო საჭიროებისათვის.

ქალაქში წყალი არ არის.

ალიონიდან შუალამემდე მიეშურებიან ქალები და ბავშვები უახლოესი ოაზისაკენ წყლის მოსატანად. დაუსრულებელ რიგებად მიიმართები ვიწრო ბილიკებით ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით უამრავი ხალხი და წყლის რუმბებით დატვირთული ვირები.

ასი მილის მანძილზე ხსენებული მხარიდან ცხოვრობს იმავე რასის სხვა ტომი. მისი ცხოვრება რამდენიმედ განსხვავდება დუირათის მხარის მოსახლეების ყოფა-ცხოვრებიდან.

ქალაქი მედენინი ამართულია ზუმ-ბატუინის მხარეში, სწორ ვაკეზე.

მედენინელები თვითონ აგებენ თავიანთ ხელოვნურ მთებს უზარმაზარი ნალის მსგავსად.

ერთ გამოქვაბულს დააშენებენ მეორეს, მესამეს—და ამგვარად ეწყობა მრავალსართულიანი გამოქვაბული. ერთი-მეორეზე მთის მაგივრად მიშენებულ გამოქვაბულებს „რორფას" უწოდებენ.

მთელი ეს პატარა ხალხი, ე. ი. მთელი ახალგაზრდა და ხანში შესული ჯანსაღი მოსახლეობა 9—10 თვეს წლის განმავლობაში ქალაქ გარეთ ატარებს.

იგი დასდევს ჯოგებს და გადადის ერთი ოაზიდან მეორეში.

„რორფებში" რჩებიან მხოლოდ ღრმა მოხუცებულები და სულ პატარა ბავშვები. ესენია, რომ სდარაჯობენ შეკრებილ სანოვაგის მარაგს, ქსოვენ საბნებს, ან შალის ფართო ქსოვილებს ზოლებიან ჭრელ კარავებისათვის, სწნავენ ბალახ-ლერწამისაგან კალათებს ბოსტნეულობისა და ხილის შესანახად და აკეთებენ თიხის ჭურჭლეულობას.

ქალაქი მედენინი რამდენიმე ნალისებურ გამოქვაბულს წარმოადგენს—ერთმანეთის მიმდევნოდ, ან უწესრიგოდ დაშენებულს ერთი-მეორეზე.

მედენინელებისთვის კიბეები უცნობია. ნამდვილი მაიმუნების სიმარდით მიცოცავენ ისინი თითქმის ციცაბო კლდეებზე, მოხუცებულების გამოუკლებლივ.

სახლებს მედენინში სარკმლები არა აქვს. კარი გაკეთებულია მაგარი ხისგან, დაახლოებით 1 ფუტის სისქისა და 3 ფ. სიმაღლისა.

საყურადღებოა, თუ როგორ იკეტება ეს კარი: კარი გადარაზულია შიგნიდან რკინის სქელი რაზით. გაღება შეუძლია მხოლოდ თვით პატრონს დიდი, უზარმაზარი—არა უმოკლეს კარგი ლეკურისა—გასაღებით, რომელიც წარმოადგენს დიდ ჯოხს, ბოლოზე დაკიდებული რამდენიმე კაკვით. კაკვები მირგებულია კარის ჭუჭრუტანებზე, რომელთა საშუალებით იკეტება კარი. „გასაღებს" კაკვებით გამოსდებენ ხოლმე ჭუჭრუტანებს და კარიც იღება.

მედენინის დასავლეთით, 60 მილის მანძილზე, ქალაქი მატმატი მდებარეობს. ეს ქალაქი ყველა გამოქვაბულ ქალაქზე უფრო უცნაურია.

მატმატის ვაკე გარშემორტყმულია საშუალო სიმაღლის მთებით, რომელთა მწვერვალზე ახლაც დარჩენილა ძველი კოშკების ნაშთები.

მატმატას მოსახლეობამ დიდი ხანია, რაც უარი თქვა მთის გამოქვაბულებში ცხოვრებაზე. თავდასხმის დროს სიცოცხლის თუ ქონების დასაცავად მათ უკეთეს საშუალებას მიაგნეს.

პირველი შეხედვით, ქ. მატმატა უდაბნო ვაკეს წააგავს. აქა-იქ ამოთხრილია რგვალ-რგვალი ჭები, ანუ ორმოები—აბა, ვის მოუვა აზრად, რომ აქ, მიწის ქვეშ, იმალება დიდი ქალაქი 12 ათასი მცხოვრებით. თვითეული ამ გადუხურავი ჭის დიამეტრი უდრის 60 ან 70 ფუტს. მთელ ვაკეზე მხოლოდ 3 შენობაა ამართული: მეჩეთი, სკოლა და ქარვასლა, ისიც ფრანგებისგანაა აშენებული სულ ბოლო დროში.

ქალაქ მატმატას უჭირავს მიწის ქვეშ 3 კვადრატ მილზე მეტი სივრცე. ქალაქში შესასვლელად საჭიროა გაიარო მთელი რიგი ვიწრო გვირაბების, რომელიც თანდათან დაბლდება და იხსნება დიდ და ღია ეზოებად. ეს ეზოები 30 ფუტის სიღრმეზე მდებარეობენ და სწორედ მათი ხვრელებია, რომ მოსჩანს ზევიდან ორმოებად. მიხვეულ-მოხვეულ და ვიწრო გვირაბებს ორივე მხრიდან არტყია საქონლის ბაგეები, საკუჭნაოები—მარაგის შესანახად და ცალკე ოთახები—საცხოვრებლად. ზოგჯერ ოთახები ორ სართულად არის აგებული და გამოსავალი აქვთ ზემოხსენებულ ღია ეზოებში.

როდესაც მტერი უნდა დაეცეს ქალაქს, სადარაჯოებიდან სასწრაფოდ აცნობებენ მცხოვრებლებს ამის შესახებ. ისინიც შედენიან საქონელს და თვითონაც იმალებიან ვიწრო გვირაბებში. ამგვარად, მტერი ვერას აკლებს მათ.

მატმატის ნიადაგი მაგარ სილთიხას წარმოადგენს.

როდესაც მიწა მშრალია, ის საკმაოდ გამძლეა, მაგრამ როგორც კი წვიმას დაუშვებს, სილთიხა ლბება და ხშირად მთელი რაიონები ქალაქისა იფხვნება და წაილეკება ხოლმე.

ქალაქში ქუჩები არ არის. მიწის ზედაპირზე მიიკლაკნება მხოლოდ ძალიან ვიწრო ბილიკები, რომელნიც ერთვიან ზოგ ადგილას ასეთივე დაკლაკნილ და ვიწრო გვირაბებს. მოსახლეობა უმთავრესად მწყემსებს წარმოადგენს, მაგრამ ამასთანავე მებაღეობასაც ეწევა. აშენებენ ზეთისხილისა და ინდისხურმის, პალმების ბაღებს. საერთოდ ტუნისში გამოქვაბულებში მცხოვრებთა რიცხვი 30.000-ს აღწევს. ეს ხალხი ძალიან მშვიდობიანია, თავისებურად კულტურული და ცნობისმოყვარე.

როგორც სჩანს, ეს ხალხები ოდესღაც არაბთა ტომს ეკუთვნოდენ, მაგრამ შემდგომ ჩამოშორებიან ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მობინადრე არაბებს და დასახლებულან შუაგულ ტუნისში. ამგვარად, მოწყვეტილან განაპირა მოსახლეობის საომარ და მშფოთვარ ცხოვრებას. ამჟამად ხსენებული ქალაქების კულტურის, ზნე-ჩვეულებათა და ისტორიის შესასწავლად მუშაობს რამდენიმე ევროპული ექსპედიცია.

**თარგმანი X.**

# ზღაპრული ქვეყანა ატლანტიდა.

უძველესი დროიდან მოახწია ჩვენამდე გადმოცემამ, თითქოს ოდესღაც არსებობდა დიდი და ძლევამოსილი ქვეყანა, რომელშიაც ჰყვაოდა კულტურა და უხვად იყო გაბნეული სიმდიდრე და მშვენიერება. ამ ზღაპრულ ქვეყანას ატლანტიდას უწოდებენ.

იგი იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ დაუმონავებია ხმელთაშუა ზღვის მთელი სანაპირო და იქ მობინადრე ხალხებზე გაბატონებულა.




გადმოცემა იმასაც კი მოგვითხრობს, თითქოს ზღვის ერთ-ერთი ღმერთი, რომლის მიმართ რაღაც საწყენი ჩაუდენიათ ატლანტიდის მცხოვრებლებს, ის განრისხებულა მათზე, რომ აუზვირთებია უდიდესი წყლები და მთელი ქვეყანა წაულეკავს. დაღუპულა ატლანტიდა, ჩაძირულა ტალღებში, და აღარაფერი არ დარჩენილა მისგან, გარდა ზემოხსენებული ლეგენდისა. საიდან წარმოიშვა ეს დიდებული და ზარდამცემი ზღაპარი?

უსაფუძვლოდ ასეთი ლეგენდები არ ითხზებიან. სჩანს, მართლაც უნდა მომხდარიყო საშინელი ამბავი, მართლაც უნდა დაღუპულიყო უზარმაზარი ქვეყანა, და ეს ამბავია, რომ მოედო მთელ ქვეყანას.

ბევრი მეცნიერი დაფიქრებულა ამ ამბავზე და მრავალი კვლევა-ძიების შემდეგ ასეთ დასკვნამდე მისულან:

ქვეყნიერება მუდამ ისეთი არ ყოფილა, როგორიც ახლა. წყალი და ხმელეთი ისე არ ყოფილა განაწილებული, როგორც ჩვენს დროში, და როგორც ჩვენს გეოგრაფიულ რუკებზეა ნაჩვენები. ქვეყნიერების სახე იცვლებოდა. ოდესღაც ზღვის და ხმელეთის მოხაზულობა სულ სხვა იყო. არსებობდა მთელი ქვეყნები, ხალხები, მრავალი კულტურა, რომელიც ახლა გაქრა და დაიღუპა.

ასე დაემართა ატლანტიდასაც. ზღაპარი არ გეგონოსთ—ნამდვილად არსებობდა ასეთი ქვეყანა. იგი იყო გადაჭიმული ევროპა-აფრიკა-ამერიკას შორის და, როგორც ჩვენს რუკაზეა ნაჩვენები, ევროპასა და აფრიკას ცენტრალ ამერიკასთან აერთებდა.

ისიც მართალია, რომ ეს ქვეყანა ჩაიძირა, როგორც მოგვითხრობს ლეგენდა, და მასზე ამჟამად ატლანტის ოკეანეს მშფოთავი ტალღები დანავარდობენ.

ეს უბედურება უზარმაზარი ვულკანების ცეცხლფრქვევისა და ძლიერი მიწისძვრით ყოფილა გამოწვეული.

ასე ჩაიძირა ატლანტიდა და მხოლოდ მისი უმაღლესი მწვერვალები ლა მოსჩანს წყალს ზევით. ესენია, რომ ატლანტის ოკეანის კუნძულების (სახელდობრ, კანარის, აზორის, მწვანე კონცხის და მადერას) სახელწოდებით არიან ცნობილი.

მაგრამ საქმე ისაა, თუ როგორ აღმოაჩინა ადამიანმა ყოველივე ეს?

დიდი დაკვირვებანი და მედგარი კვლევა-ძიება იყო ამისთვის საჭირო.

1898 წ. ატლანტის ოკეანეს ფსკერზე აღმოაჩინეს ქვები, რომელიც ასეთებად შეიძლება გადაქცეულიყო მხოლოდ ჰაერზე ვულკანის მოქმედების დროს.

აქედან წარმოიშვა აზრი, რომ იმ ადგილებზე, სადაც ახლა ზღვის ფსკერია, ოდესღაც ხმელეთი ყოფილა.

საიდან ვიცით ჩვენ, რომ ატლანტიდა დედამიწის უზარმაზარ პირს წარმოადგენდა? ატლანტის კუნძულზე აღმოაჩინეს ხმელეთის ლოკოკინათა ნიჟარები, ასეთივე ლოკოკინები ცხოვრობენ აფრიკასა და სამხრეთ-ევროპაში.

რაკი ამ ლოკოკინებს ცურვა არ შეუძლიათ, მათ არ შეეძლოთ გადმოსვლა კანარის კუნძულებზე ევროპიდან ან აფრიკიდან. მათ შეეძლოთ გადმოსახლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს კუნძულები ხმელეთით იყო შეერთებული აფრიკა-ევროპასთან.

გარდა ამისა, კანარის კუნძულებზე სხვა ცხოველებიც არის აღმოჩენილი, სწორედ ის ცხოველები, რომელნიც ცხოვრობენ ევროპა-ამერიკასა და აფრიკაში.

კიდევ ერთია საყურადღებო: კანარის კუნძულებზე მეცნიერებმა ისეთი ლოკოკინები იპოვნეს, რომელნიც ცხოვრობდენ აფრიკაში მაშინ, როდესაც ევროპა ყინულით იყო მოცული.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ატლანტიდა არსებობდა და დაიღუპა მხოლოდ ყინულოვანი ეპოქის შემდგომ, ანუ 15—17 ათასი წლის წინათ. იაპონიის მიწისძვრა და ვულკანების ცეცხლის ფრქვევა უნდა გვაგონებდეს, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელია, დედამიწის ზურგის რომელიმე ნაწილი ისევე შთაინთქას და წყლით დაიფაროს, როგორც ეს ხუთმეტი ათასი წლის წინათ მოხდა ატლანტიდაში, რომლის საიდუმლოება ნელ-ნელ იხსნება თანადროული მეცნიერებისათვის.

X.

## „საჰაერო მამონტების“ ოჯახი.

„საჰაერო მამონტები“—აი, რა უწოდეს ამერიკელებმა თავიანთ დირიჟაბლებს, რომლის საშუალებით ისინი მთელს ქვეყნიერებაზე გამარჯვების მოპოებას აპირობენ.



უძლიერესი აგიტაცია საჰაერო მშენებლობის სასარგებლოდ ამჟამად სწორედ შეერთებულ შტატებში სწარმოებს.

ასაგებად განზრახული დირიჟაბლების ტიპები „საჰაერო მამონტების ოჯახს“ წარმოადგენს, რომელთა ნიმუშები (მოდელები) უკვე მზადაა და მუშაობაც დაწყებულია.

ზევით მოთავსებულ სურათზე ნაჩვენებია საჰაერო გოლიათი, რომლის სწორს არც ერთი სახელმწიფო არ ამზადებს. მისი მოცულობა 200.000 კუბ. მეტრს უდრის, სიგრძე კი 350 მეტრზე მეტს.

იგი დანიშნულია გრძელი უწყვეტი რეისებისათვის მიწის ბირთვის ერთი ბოლოდან მეორემდის, მეორე „მამონტი“, ცოტა მომცრო, საჰაერო კრეისერია მაგარი ტიპისა, განსაკუთრებით სამხედრო მიზნებისათვის დანიშნული, ბოლოს, „ბალღი“ ამ „ოჯახისა“ —ე. წ. „პონი ბლიმპი“ – 35 მეტ. სიგრძისაადა მოცულობით – დაახლოვებით 16.000 კუბ. მეტრი. მის ღია დასაჯდომ ადგილს მხოლოდ 3 მგზავრი ეტევა და პილოტი. ამ ტიპის დირიჟაბლი შესაჯიბრადაა დანიშნული. განზრახულია ამგვარი მცირე სიდიდის დირიჟაბლების მთელი სერიის დამზადება, სანადირო და მეთევზეობის მიზნებისთვის, მისი სისწრაფე საათში 50 მილს უდრის და საწვავი მასალის მარაგი 20 საათსა ჰყოფნის.

# ამოცანა ექვს წუმწუმაზე

როგორ დავალაგოთ ექვსი ღერი წუმწუმა, რომ უდიდესი მოედანი დაიკავოს?

### ამოცანა ხელსახოცზე.

იმის შესამოწმებლად, აქვს თუ არა ხელსახოცს კვადრატის ფორმა, თქვენ მას დიაგანალზე კეცავთ ხოლმე ისე, რომ ორივე ნახევრის ნაწიბურები თანხვდენილი იყოს.

საკმაო თუ არა ასეთი შემოწმება და, თუ არა, რატომ?

### ამოცანა აუზებზე.

არითმეტიკის და ალგებრის ყველა სახელმძღვანელოებში შეხვდებით ამგვარს ამოცანებს:

მაგალითად, „**აუზში გაყვანილია ორი მილი ერთი მილით ცარიელი აუზი 5 საათში ივსება, მეორე მილით კი 10 საათში იცლება. რამდენ საათში აივსება აუზი, ორივე მილი რომ გავხსნათ?**

ამგვარ ამოცანებს ასე სწყვეტენ:

5 საათში პირველი მილი აუზის ერთს მეხუთედს აავსებს ($^1/_5$); მეორე მილი კი 1 საათში ერთს მეათედს სცლის ($^1/_{10}$); მაშასადამე, ორივე მილი რომ იყოს გახსნილი, აუზში თვითეულ საათში ჩავა $^1/_5 - ^1/_{10} = ^1/_{10}$-ლი.

მაშ, მთელი აუზი 10 საათში აივსება.

ეს ამოცანები ამგვარად წყდებოდა ჯერ კიდევ გერან ალექსანდრიელის მიერ 2000 წლის წინ; ასე სწყდება იგი ახლანდელს სკოლებშიც.

ამოცანის ამგვარი გადაწყვეტა კი სრულებით არ არის სწორი!

რატომ?

---

ახსნა № 1—გასართობი: 1. ლარი
2. ენა
3. ნეკი
4. ია
5. ნარი
6. ისარი
= ლენინი

შარადა: ლი—ბ—კნე—ხტი = ლიბკნეხტი
რებუსი: ლენინი მოკვდა, ლენინიზმი ცოცხლობს.
№ 7—8—შარადა: რუ-ს-თავ-ელი=რუსთაველი
№ 9—10—შარადა: ოქ-ტომ-ბერი=ოქტომბერი.
რებუსი:—ოქტომბერი იხსნის ტანჯვისაგან მთელ ჩაგრულ კაცობრიობას.

---


# განცხადება

მიიღება ხელის მოწერა

## „ჩვენ აღმშენებლობა"-ზე.

## (ტფილისის საბჭოს ორგანო)

### 1926 წლის იანვრის თვიდან.

ჟურნალი გამოდის ყოველთვიურად ქართულ და რუსულ ენაზე, ცალკ-ცალკე.

ჟურნალი თავის მთავარ ამოცანად ისახავს ქალაქის და საზოგადოდ ჩვენი მეურნეობის საკითხების გაშუქებას

### ხელის მოწერის პირობები:

| ტფილისში მიტანით | | პროვინციაში გადაგზავნით | |
|---|---|---|---|
| 1 თვით | 50 კაპ. | 1 თვით | 70 კაპ. |
| 3 თვით | 1 მან. 40 კ. | 3 თვით | 2 მან. — კ. |
| 6 თვით | 2 მან. 60 კ. | 6 თვით | 3 მან. 80 კ. |
| 9 თვით | 3 მან. 80 კ. | 9 თვით | 5 მან. 60 კ. |
| 12 თვით | 5 მან. — კ. | 12 თვით | 7 მან. 40 კ. |

### განცხადების ფასი:

| | |
|---|---|
| 1 გვერდი | 50 მან. |
| $^1/_2$ გვერდი | 30 მან. |
| $^1/_4$ გვერდი | 20 მან. |

მრავალჯერ დაბეჭდილი განცხადებების ფასი დაკლებულია. ყანზე განცხადებების ფასი 100 % ძვირია.

ცალკე ნომერი ყველგან 60 კაპ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია: აკ. წერეთლის ქ. (ყოფილი განოვის) № 2, ოთახი № 251. ტელეფ. № 8—82 (ტფილისის აღმასკომის სტატისტიკურ-ეკონომ. განყოფილება).

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# 1926 წ.

## გამოვა

## ყოველთვიური საყმაწვილო დასურათებული ჟურნალები

| | | |
|---|---|---|
| მოზრდილთათვის | **წითელი სხივი** | წელიწადი 3 |
| მცირეწლ. | **ნაკადული** | წელიწადი 22 |

ჟურნალის გამოწერა ს. ს. ს. რ. რესპუბ. ყველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

**ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწერონ**

## „წითელი სხივი"

და

## „ნაკადული"

**ხელის მოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.**

| | | |
|---|---|---|
| გადაგზავნით | „წითელი სხივი" | ერთი წლით—5 მან. |
| | | ნახევარი წლით—3 მ. |
| | „ნაკადული" | 1 წლით—3 მ. 50 კ. |
| | | ნახევარი წლით—2 მ. |

| | |
|---|---|
| ცალკე ნომერი | „წითელი სხივი"—45 კაპ. |
| | „ნაკადული"—30 კაპ. |

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 31. განათლების სახალხო კომისარიატი. „წითელი სხივის" და „ნაკადულის" რედაქცია.

**რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.**

შეკ. № 477. მთავლიტი № 261.— ტირ. 3000.

ს.მ.უ.ს. პოლიგრ. განყ. მე-3 სტამბა.